საქმე ისაა, რომ სერპენტინიტით აზოტის ქანგეულების შთანთქმისას თხევალ ფაზაში წარმოიქმნება მაგნიუმის ნიტრატი. ამ პროცესის მიმდინარეობა შეიძლება წარმოვიდგინოთ რამდენიმე საფეხურად: 1. აზოტის ქანგეულების შეღწევა აირად—თხევადი აფსკის გავლით ფაზათა გაყოფის საზღვარზე; 2. გახსნილი აზოტის ქანგეულების წყალთან ურთიერთქმედება და მჟავების წარმოქმნა; 3. მაგნიუმის ქანგით, ნაწილობრივ რკინისა და ალუმინის ქანგით, მიღებული მჟავას ნეიტრალიზაცია.

ტემპერატურის გადიდებით სითხეში აირის დიფუზიის კოეფიციენტი მცირდება. რაც შეეხება მჟავების წარმოქმნას, იგი სქემატურად შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე:




წყალად და აზოტის ქანგად  $\text{HNO}_2$ -ის ადვილად დაშლის მხედველობაში მიღებით ზემოაღნიშნული რეაქციები ჯამურად მიიღებენ შემდეგ სახეს:





ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აზოტის ქანგეულების აზოტმჟავად გარდაქმნის პროცესი უნდა ჩავატაროთ დაბალი ტემპერატურისას [4]. ეს იმით აიხსნება, რომ მხოლოდ ერთი რეაქცია და ისიც პროცესის არაგანმსაზღვრელი. სახელობრ, აზოტოვანი მჟავას დაშლის რეაქცია, არის ენდოთერმული: ყველა დანარჩენი კი აზოტქანგეულების აზოტმჟავად გარდაქმნის პროცესში არის ეგზოთერმული. აქედან ცხადია, რომ ტემპერატურის გადიდება აზოტმჟავას წარმოქმნის პროცესზე უარყოფითად მოქმედებს. რაც შეეხება საბოლოო სტადიას—მაგნიუმის ქანგით აზოტმჟავას ნეიტრალიზაციის რეაქციას




იგი ეგზოთერმულია, როგორც ყველა ნეიტრალიზაციის რეაქცია. ამიტომ ტემპერატურის გადიდება პროცესზე უარყოფითად მოქმედებს და შესაბამისად ამცირებს მასაში აზოტის შემცველობას. გამორიცხული არაა აგრეთვე მაღალი ტემპერატურის დროს მიღებული ნაწარმის ნაწილობრივი დაშლის შესაძლებლობა.

ეს მსჯელობა ეხება მრუდეთა მონაკვეთს დაახლოებით 8—12°-დან 90°-მდე. რაც შეეხება მონაცემებს, მიღებულს 2°-სას, აზოტის ქანგეულების შთანთქმის შემცირება შეიძლება იმით აიხსნას, რომ ცდებში აღვილი ჰქონდა ნაწილობრივ გაყინება (რეაქტორის კედლებთან), რაც, ცხადია, უარყოფითად იმოქმედებდა სუსპენზიით აზოტის ქანგეულების შთანთქმასზე.

ამგვარად, სერპენტინიტით აზოტქანგეულების შთანთქმის ოპტიმალურ ტემპერატურად შეიძლება მივიჩნიოთ 8—12°, მაგრამ რამდენადაც აღნიშნული ტემპერატურისას სუსპენზია საჭიროებს გაცივებას, შთანთქმის ხარისხში კი განსხვავება 12 და 20°-სას უმნიშვნელოა, შემდგომი ცდები ჩავატარეთ ოთახის ტემპერატურაზე, რაც ოპტიმალურად ჩავთვალოთ.

2. მყ: თხ. ფარდობის გავლენა. ცდები აზოტის ქანგეულების შთანთქმის პროცესზე სუსპენზიის კონცენტრაციის გავლენის დასადგენად ჩავატარეთ შემდეგ პირობებში: მიწოდებული აირის სიჩქარე—200 მლ/წუთ; ნიტროზული აირის კონცენტრაცია—8,2%; დაწვრილმანების ხარისხი—0,25 მმ; ტემპერატურა— ოპტიმალური. მყ:თხ. ფარდობის დამოკიდებულებას ვცვლით 1:2-დან 1:6-ის ფარგლებში. ცდების შედეგები გამოსახულია ნახ. 2-ზე.



ნახ. 2. მყ: თხ. ფარდობის დამოკიდებულება აზოტქანგეულების შთანთქმის პროცესზე: A — ფარდობა მყ: თხ; B — აზოტის შემცველობა მასაში (%). მრუდები: 1 — ჩამომწვარი სერპენტინიტი; 2 — გამოუწვავი სერპენტინიტი


როგორც ნახ. 2-დან ჩანს, მყ: თხ. ფარდობის გადიდებით (უფრო სწორად— თხევადი ფაზის გადიდებით) გარკვეულ ზღვრამდე აზოტის ქანგეულების შთან-

თქმა იზრდება, შემდეგ კი ეცემა. ეს იმით აიხსნება, რომ სერპენტინიტის სუსპენზიაში აზოტის ქანგეულების გატარებისას დასაწყისში აზოტის ქანგებისა და წყლის ურთიერთქმედებით წარმოიქმნება აზოტმჟავა. სუსპენზიაში წყალი უნდა იყოს ისეთი რაოდენობით, რომ უზრუნველყოს აზოტის ქანგეულების შთანთქმა და აზოტმჟავას წარმოქმნა, და შესაბამისად შემდგომ—მაგნიუმნიტრატის მაქსიმალური გამოყოფა.

სუსპენზიაში წყლის შემდგომი გადიდება, მჟავას განზავების გამო, რა თქმა უნდა, ამცირებს მაგნიუმნიტრატის წარმოქმნას.

ჩვენ პირობებში ოპტიმალურ ფარდობად შეიძლება მივიღოთ მყ.თხ.-1:4.

3. ნიტროზული აირების სიჩქარის გავლენა. პროცესზე ნიტროზული აირების სიჩქარის გავლენის დასადგენად ცდები ჩავატარეთ 100-დან 200 მლ/წუთ-მდე სიჩქარისას. აირის კონცენტრაცია იყო 8,2%; დაწვრილმანების ხარისხი—0,25 მმ; დანარჩენი პირობები ოპტიმალურია. ცდების შედეგები მოცემულია ნახ. 3-ზე.



ნახ. 3. აირის სიჩქარის გავლენა პროცესზე: A — აირის სიჩქარე, მლ/წუთ; B — აზოტის შემცველობა მასაში (%). მრუდები: 1 — გამოწვარი სერპენტინიტი; 2 — გამოუწვავი სერპენტინიტი


როგორც ნახ. 3-დან ჩანს, მიწოდებული აირის სიჩქარის გადიდებით აზოტის ქანგეულების შთანთქმა იზრდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან დროის ერთეულში (ჩვენს ცდებში—30 წუთი) ზდება მეტი აზოტქანგეულების მიწოდება და, შესაბამისად იზრდება აზოტმჟავას კონცენტრაცია და საბოლოოდ მაგნიუმნიტრატის წარმოქმნა. მშთანთქმელ მასაში აზოტის მცირე შემცველობა პროცესის საწყის პერიოდში შეიძლება აიხსნას აზოტმჟავას დიდი განზავებით. რა თქმა უნდა, პროცესზე მიწოდებული აირის სიჩქარის გადიდების დადებით გავლენას ექნება გარკვეული ზღვარი. აზოტქანგების შთანთქმის მაქსიმუმის მიღწევისას დამყარდება წონასწორობა და აირის სიჩქარის შემდგომ გადიდებას აზრი არ ექნება.

4. ნიტროზული აირის კონცენტრაციის გავლენა. სერპენტინიტის სუსპენზიით აზოტქანგების შთანთქმის პროცესზე ნიტროზული აირების კონცენტრაციის გავლენის დასადგენად ცდებს ვატარებდით 2,3-დან—14,3% კონცენტრაციისას. ცდების დანარჩენი პირობები შემდეგია: მიწოდებუ-



ლი აირის სიჩქარე—200 მლ/წუთ; დაწვრილმანების ხარისხი—0,25 მმ; დანარჩენი პირობები ოპტიმალურია. ცდების შედეგები მოცემულია ნახ. 4-ზე.

ნახ. 4. ნიტროზული აირების კონცენტრაციის გავლენა პროცესზე: A — ნიტროზული აირის კონცენტრაცია (%), B — აზოტის შემცველობა მასაში (%). მრუდები: 1 — გამოაწვარი სერპენტინიტი; 2 — გამოუწვავი სერპენტინიტი



ნახ. 4. გვიჩვენებს, რომ მიწოდებული ნიტროზული აირის კონცენტრაციის ზრდა იწვევს შთანთქმულ მასაში აზოტის რაოდენობის მნიშვნელოვან გადიდებას. ეს აიხსნება იმით, რომ ნიტროზული აირების კონცენტრაციის ზრდასთან ერთად იზრდება აირნარევი აზოტქანგების პარციალური წნევა; ეს კი პეტეროგენულ პროცესში იწვევს წყლის მიერ აზოტქანგების შთანთქმის სიჩქარის გადიდებას—რეაქციის მამოძრავებელი ძალის გადიდების გამო (თხევად და აირად ფაზათა კონცენტრაციის სხვაობა).

ამგვარად, ნიტროზული აირების კონცენტრაციის გადიდება აზოტქანგების შთანთქმის პროცესზე დადებით გავლენას ახდენს. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ აზოტქანგის დანადგარებში აზოტქანგების კონცენტრაცია დიდი არ არის, შემდგომ ცდებში ავიღეთ ნიტროზული აირის კონცენტრაცია—8,2%.

5. დაწვრილმანების ხარისხის გავლენა. ნიტროზული აირის შთანთქმის პროცესზე გამოსაკვლევი მასის დაწვრილმანების ხარისხის გავლენის დასადგენად სერპენტინიტს ვაწვრილმანებდით 0,25, 0,50, 1,00 და 2,00 მმ-მდე. დანარჩენი პირობები იგივეა, რაც წინა სერიებში.

ცდებიდან გამოიჩვენა, რომ დაწვრილმანების ხარისხის გაზრდა იწვევს აზოტქანგების შთანთქმის ხარისხის გადიდებას. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ თხევად ფაზაში სერპენტინიტიდან მაგნიუმნიტრატის წარმოქმნის პროცესში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საბოლოო ეტაპია პროცესში წარმოქმნილი აზოტქანგის ნეიტრალიზაცია მაგნიუმის ქანგით. დაწვრილმანების ხარისხის გაზრდით იზრდება თხევად და მყარ ფაზათა შორის შეხების ზედაპირი და ამასთან დაკავშირებით პროცესის ინტენსიფიკაცია.

ოპტიმალურ დაწვრილმანების ხარისხად მივიღეთ 0,25 მმ. საწარმოო პირობებში, ცხადია, დაწვრილმანების ხარისხის შერჩევა დაკავშირებული იქნება ეკონომიურ მოსაზრებებთან.

გ ა ჯ ე რ ე ბ ა მ დ ე ს ე რ პ ე ნ ტ ი ნ ი ტ ი თ ა ზ ო ტ ქ ა ნ გ ე ბ ი ს შ თ ა ნ თ ქ მ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა

სერპენტინიტით აზოტქანგების შთანთქმის პროცესზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შესწავლის შემდეგ ცდები ჩავატარეთ ოპტიმალურ პირობებში



სერპენტინიტის სუსპენზიით ნიტროზული აირების სრულ შთანთქმამდე როგორც გამოიწვევარ, ისე გამოუწვევად მდგომარეობაში.

მიღებულ გაჯერებულ ხსნარს ვფილტრავდით ბიუნნერის ძაბრზე. ნალექს ვრეცხავდით ცივი წყლით და ვსაზღვრავდით ხსნარში აზოტის შემცველობას %-ით.  $R_2O_3$ -ის გამოსაყოფად მას ვუმატებდით ამიაკს განეიტრალების მიზნით (pH — 6,8-მდე).

ხსნარს ინტენსიური არევით ვაცხელებდით ორი საათის განმავლობაში. მიღებული ალუმინისა და რკინის პიდრატებს ვაშორებდით და მაგნიუმნიტრატის ხსნარს ვაორთქლებდით წყლის აბაზანაზე კრისტალების გამოყოფამდე; შემდეგ კი ვტოვებდით 24 საათის განმავლობაში. მეორე დღეს მაგნიუმნიტრატის უხვად გამოყოფილ ნალექს ვფილტრავდით ბიუნნერის ძაბრზე და ფილტრატს ხელმეორედ ვაორთქლებდით. მიღებულ ნალექს ვუმატებდით პირველს და ვაშრობდით.

ცდების შედეგები მოცემულია 1 ცხრილში. ჩანს, რომ მაგნიუმის ქანგის გამოწვლილვა გამოიწვევარი სერპენტინიტის ნიტროზული აირებით დამუშავების შემდეგ შეადგენს 94,4%-ს, გამოუწვეავისა—68, 79-ს.  $SiO_2$  ორივე შემთხვევაში მთლიანად შლამში რჩება.

მაგნიუმნიტრატის გამოსავალი 1 კგ გამოიწვევარი სერპენტინიტიდან შეადგენს 2,36 კგ-ს, ხოლო გამოუწვეავიდან—1,49 კგ-ს.

გამოუწვევად სერპენტინიტი მაგნიუმის ქანგის მყარი მდგომარეობიდან თხევადში გადასვლის სიმცირე აიხსნება იმით, რომ ვახურებისას სერპენტინიტი განიცდის ცვლილებას შემდეგი სქემით [5,6]:



ცხრილი 1

ნიმუში	სერპენტინიტი, (გ)			ძირითადი ხსნარის შენადგენლობა (გ)			გამოცევი წყლის შემადგენლობა (გ)			შლამი შეიცავს (გ)			სერპენტინიტიდან ხსნარში გაუასუსწ ნივთთარაოდინობა (გ)			სწარბან გათყოული $Mg(NO_3)_2 \cdot 6H_2O$ რაოდენობა (%)	$Mg(NO_3)_2 \cdot 6H_2O$ გამოსავალი 1 კგ სერპენტინიტიდან (კგ)
	$SiO_2$	$R_2O_3$	MgO	$SiO_2$	$R_2O_3$	MgO	$SiO_2$	$R_2O_3$	MgO	$SiO_2$	$R_2O_3$	MgO	$SiO_2$	$R_2O_3$	MgO		
გამომწვე. სერპენტინიტი	25	10,91	1,27	10,39	0,58	5,61	0,17	4,1	10,87	0,5	0,4	59,0	94,4	94,01	2,38		
გამოუწვე. სერპენტინიტი	15	5,81	0,69	5,48	0,20	2,82	0,043	0,9	5,84	0,3	1,0	35,9	68,79	93,0	1,49		

სერპენტინიტის გახურებისას 600—700°-ის ინტერვალში სერპენტინიტის გისოსის დაშლისა და ფორსტერიტის წარმოშობის პროცესში ჩნდება შუალედი ახალწარმოქმნები, რომლებიც ანიჭებენ გამომწვარ სერპენტინიტს განსაკუთრებულ თვისებებს; მაგალითად, ადსორბციულ და ჰიდრაგლიკურ აქტივობას. ასეთი აქტიური ახალწარმოქმნებისათვის ყველაზე მისაღები ტემპერატურაა  $670 \pm 10^\circ$ . უფრო მაღალი ტემპერატურისას ჩნდება ინერტული ფორსტერიტი ( $Mg_2SiO_4$ ).

გამოუწვავი და გამომწვარი სერპენტინიტით აზოტქანგეულების შთანთქმის პროცესში მიღებული მონაცემების დაპირისპირება თავის მხრივ კიდევ ადასტურებს სერპენტინიტის დაბალტემპერატურული გამოწვისას აქტიური შუალედი ფაზების წარმოქმნას.

ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობით გამოირკვა, რომ ნიტროზული აირების შთანსათქმელად უმჯობესია გამოყენებულ იქნეს სერპენტინიტი გამომწვარ მდგომარეობაში.

### დასკვნები

1. ჩვენ მიერ დამუშავებულია მაგნიუმნიტრატის მიღების მეთოდი ნიტროზული აირებისა და სერპენტინიტის ურთიერთქმედებით.

2. პროცესის ოპტიმალური პირობებია: ა)  $670 \pm 10^\circ$  ტემპერატურისას გამომწვარი სერპენტინიტის გამოყენება; ბ) ნიტროზული აირებით სერპენტინიტის დამუშავება ოთახის ტემპერატურისას; გ) ფარდობა მყ:თხ-1:4; დ) მდნის დაწვრილმანების ხარისხი 0,25 მმ.

მიწოდებული ნიტროზული აირის კონცენტრაციისა და სიჩქარის გადიდება პროცესზე დადებითად მოქმედებს, მაგრამ პრაქტიკულად აღნიშნული ფაქტორების შერჩევა საწარმოო პირობებთან იქნება დაკავშირებული.

3. მაგნიუმის ქანგის გამოწვლილების ხარისხი გამომწვარი სერპენტინიტიდან —94,4%-ს შეადგენს. მაგნიუმნიტრატის გამოსავალი 1 კგ გამომწვარი სერპენტინიტიდან 2,36 კგ უდრის.

4. დამუშავებულ მეთოდს აქვს შემდეგი უპირატესობა: ა) მაგნიუმნიტრატი მიიღება ისეთი გამოსავალი ნედლეულისაგან—სერპენტინიტისაგან, რომელსაც არ აქვს ჭერჭერობით ფართო მოხმარება; ბ) მაგნიუმნიტრატის მიღება არ მოითხოვს აზოტმჟავას ხარჯს; გ) პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამავალი ნიტროზული აირი, რომელიც ამჟამად დანაკარგს წარმოადგენს და იმავე დროს იწვევს ატმოსფეროს გაუქუჩიანებას.

ლენინის სახელობის  
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 30.12.1962)

## ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ

В. М. КАКАБАДЗЕ, З. Г. НИКОЛАИШВИЛИ, Н. Г. МШВЕНИЕРАДЗЕ

 ПОЛУЧЕНИЕ НИТРАТА МАГНИЯ ПУТЕМ ОБРАБОТКИ  
 СЕРПЕНТИНИТА НИТРОЗНЫМИ ГАЗАМИ

## Р е з ю м е

Разработан способ получения нитрата магния путем взаимодействия нитрозных газов с серпентинитом. Установлено, что оптимальными условиями процесса являются: а) использование обожженного серпентинита при температуре  $670 \pm 10^\circ$ ; б) обработка серпентинита нитрозными газами при комнатной температуре; в) отношение т:ж = 1:4; г) толщина помола — 0,25 мм.

Установлено также, что повышение концентрации и скорости подаваемого газа оказывает на процесс положительное влияние, но практически выбор означенных факторов будет зависеть от производственных условий.

Степень извлечения окиси магния из обожженного серпентинита — 94,4%, выход нитрата магния из 1 кг — 2,36 кг.

Разработанный способ имеет следующие преимущества: а) нитрат магния получается из доступного исходного материала — серпентинита, который в настоящее время еще не находит широкого применения; б) для получения нитрата магния не требуется затраты азотной кислоты; в) в процессе могут быть использованы ныне теряемые отходящие нитрозные газы, к тому же вызывающие загрязнение атмосферного воздуха.

ბრ. დემდარინა

მდინარე რიონის ტერასები ქუთაისის მიდამოებში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ა. ჯავახიშვილმა 2.3.1962)

რიონის ხეობის არცერთ სხვა ნაწილში არაა ისე კარგად წარმოდგენილი ტერასები, როგორც ეს ქუთაისის მიდამოებშია. ახალგაზრდა აკუმულაციური საფეხურებთან ერთად აქ არის ძველი ეროზიული დონეებიც. მაგრამ ამ მხრივ რიონი გამოჩაყლის არ წარმოადგენს; ტერასები კარგად არის შენახული აგრეთვე კოლხეთის სხვა მდინარეთა ხეობებშიც.

რიონის ტერასების შესახებ ჩვენამდე საინტერესო მასალები ალ. ჯანელიძემ [1] მოგვცა. მათ შესახებ ზოგადი ხასიათის ცნობები მოიპოვება აგრეთვე ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ წერილშიც [2]. ამჯერად ჩვენ განვიზრახეთ დავახასიათოთ ისინი უფრო დაწვრილებით.

რიონის მარჯვენა ნაპირზე ქალაქის დაბალ ნაწილში წარმოდგენილია 2—3-მეტრიანი ტერასი, რომელიც კოლხეთის ალუვიურ ვაკეს განაგრძობს. მის შედგენილობაში ქარბობს სხვადასხვა ზომის კარგად დამუშავებული რიყის ქვები. რომლებაც ზოგან დაფარულია ცვალებადი სიმძლავრის თინარის ფენით. მარცხენა ნაპირზე 2—3-მეტრიანი ტერასი ვიწრო ზოლად გასდევს მაღალ ტერასებს, მაგრამ მან მიანც სათანადო როლი შეასრულა ქალაქის მდინარისპირა ნაწილის, ე. წ. ბალახენის, დასახლებისათვის. აქვე ამ ტერასს ესაზღვრება რელიეფში კარგად გამოსახული 18—22 მ სიმაღლის საფეხური, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

მეორე — 8—10-მეტრიანი ტერასი წარმოდგენილია ქალაქის პერიფერიულ ნაწილებში, მაგალითად მდინარის მარჯვენა ნაპირზე — ჭომის მიდამოებში და რიონპესის კაშხალთან, რომელიც იქვე მდებარეობს. კაშხლის ზემოთ, დაგუბების გამო, რიონის დონე ამ ტერასის სიმაღლეს გაუთანაბრდა. ეს ტერასი უმთავრესად აკუმულაციურია და ახალგაზრდა ალუვიონს შეიცავს.


მესამე — 18—22-მეტრიანი ტერასი წარმოდგენილია რიონის ორივე ნაპირზე. იგი უფრო განიერია ქალაქის ცენტრულ ნაწილში. მასზე არის გაშენებული ზოგიერთი მთავარი ქუჩა დიდი დაწესებულებებით. ტერასის ვერტიკალურ ჭრალში ცარცული კირქვებისა და მერგელების გადარეცხილი ზედაპირი დაფარულია 1,5—2 მ სიმძლავრის ალუვიონით. უკანასკნელის შემადგენლობაში მონაწილეობენ ქვიშაქვის, პორფირიტის, გრანიტისა და სხვა ქანების რიყის ქვები. ამ ტერასის შესატყვისი საფეხური რიონის მარჯვენა ნაპირზე იწ-

ყება ქალაქის ფარგლებში და ვიწრო ზოლად გრძელდება დასავლეთისაკენ წყალტუბოს გზის გასწვრივ. ერთ ადგილას ტერასის შემადგენელი რიყის ქვები დაფარულია ე. წ. გოჭოურის თიხებით.

რიონის ტერასებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შემდეგ — 60—70-მეტრიან საფეხურს. ალ. ჯანელიძე მას რიონის მეორე მთავარ საფეხურად მიიჩნევს და სალორიის ტერასის სახელით აღნიშნავს. ამ ტერასს დიდი ფართობი უკავია რიონის მარცხენა ნაპირზე. აქ იგი იწყება ქალაქის ჩრდილო პერიფერიაზე — საფიჩხიის ბაზართან; აქვე მასზე მდებარეობს ქალაქის მთავარი სასაფლაო. შემდეგ, გრძელდება რა სამხრეთისაკენ რამდენიმე კილომეტრზე, რიონსა და წყალწითელას შუა, იგი ქმნის ამაღლებულ ვაკეს, რომლის უმეტესი ნაწილი დაფარულია მუხნარით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საფიჩხიის ბაზართან ამ ტერასის სიმაღლე რიონისა და წყალწითელას დონიდან სხვადასხვანაირია — რიონიდან აღწევს 50—55 მ, წყალწითელადას — 60—70 მ. ეს შენიშნული იქნა ალ. ჯანელიძის მიერაც. ჩვენი აზრით, ეს ჰიდრომეტრიული სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ერთსა და იმავე მონაკვეთზე ამ მდინარეთა კალაპოტები გამომუშავებულია სხვადასხვა ლითოლოგიური შედგენილობის ქანებში.

წყალწითელა ვოდოვანის ხიდის ქვემოთ მდორედ მოედინება, რადგან ფხვიერ ქანებში მან ადვილად გადრმავა თავისი კალაპოტი; რიონი კი ერთ ხანს ქალაქის ფარგლებშიც მკვირვ კირქვებში განაგრძობს დინებას, ამიტომ მისი ფსკერი აქ რამდენადმე მაღლა მდებარეობს და ტალღეგსაც მეტი დახრილობა ახასიათებს, სადგურ რიონთან ალუვიურ ვაკეზე მათი დონე დაახლოებით თანაბარი სიმაღლისაა. ამიტომ ტერასის სიმაღლეც ორივე მდინარიდან ერთნაირი ხდება.

სალორიის ტერასის ფუძის ამგები ცარცული კირქვებისა და მერგელების გადარეცხილი ზედაპირი დაფარულია შეცემენტებული ალუვიური კონგლომერატით (სურ. 1), რომლის სიძლიავე რამდენიმე მეტრს აღწევს. ტერასის ვაკე ზედაპირს ახასიათებს სამხრეთისაკენ დახრილობა და შესატყვისი დაბლები.



სურ. 1. სალორიის ტერასის განივი კრილი

1. ალუვიონი

2. ცარცული მალეკები

ალუვიონის სისქე მატულობს სამხრეთისაკენ და სადგურ რიონთან ტერასის მთელ კრილში წარმოდგენილია კონგლომერატი, რომელიც შედგება ქვიშაქვის, გრანიტის, პორფირიტის, პორფირიტული ტუფბრექჩიის და იშვია-

თად კირქვის კარგად დამრგვალებული ქვებისაგან. სადგურ რიონის აღმოსავლეთით ტერასი გრძელდება სოფ. კვახჭირამდე. ამ ტერასის გაგრძელებას წარმოადგენს ისეთივე სიმაღლის საფეხური წყალწითელის მარცხენა ნაპირზე სოფ. ოდილაურში. სადგურ რიონთან სალორიის ტერასის სიმაღლე ორივე მდინარის დონიდან 40—45 მ აღწევს. ამრიგად, 7—8 კმ მანძილზე მისი სიმაღლე 15—20 მეტრით შემცირდა.

რიონის მარჯვენა ნაპირზე სალორიის ტერასის სიმაღლეს აღწევს ჯაჭვის ხიდის დასავლეთით მდებარე ბაქანი, რომლის ფუძის ამგებ ბარემულ კირქვებზე განლაგებულია მსხვილრიყიანი კონგლომერატი, რომელიც თავის მხრივ დაფარულია 30—40 მ სიმაღლერის ვოჭოურის დელუვიური თიხებით [1]. ამ უბანში თიხების დალექვამ ამაღლა 18—22-მეტრიანი ტერასი, ამიტომ ეს საფეხური არ შეიძლება ჩაითვალოს სალორიის ტერასის სინქრონულად. სალორიის ტერასის შესატყვისი არის ის ვიწრო ბაქანი, რომელიც დასავლეთისაკენ გასდევს იურული და ცარცული ნალექებით აგებულ ფერდობს; წყალტუბოს ძველ გზასთან მიახლოებისას იგი წარმოადგენს კირქვებით აგებულ ვაკეს კარსტული ძაბრებით.

შემდეგი უფრო ძველი საფეხური მდინარის დონიდან აღწევს 100—110 მ-ს, იგი კარგად არის შენახული ქალაქის ჩრდილო ნაწილში, რომელსაც მწვანეუჯავილას ეძახიან, ამიტომ მას ამ უბნის სახელი მიეცით [2]. აქ ტერასის ფუძის ამგები ბარემული კირქვები დაფარულია ინტენსიურად გამოფიტული და გაფხვიერებული ქანგისფერი ალუვიონით. მის ზედაპირზე ღრმა კარსტული ძაბრების წარმოშობა მეტყველებს ალუვიონის მცირე სიმაღლერზე. ამ ტერასის შემადგენელი ალუვიონის მსგავსი ნალექები აქა-იქ გვხვდება რიონის მარჯვენა ნაპირის მაღლობებზეც.

მდინარე რიონს ქუთაისის მიდამოებში აქვს უფრო მაღალი ტერასებიც, რომელთაგან აღსანიშნავია ალ. ჯანელიძის მიერ აღწერილი ჭომის ტერასი, რომელიც მდებარეობს ქალაქის ჩრდილო-დასავლურ ნაწილში ამავე სახელწოდების მქონე მაღლობზე. ჭომის მაღლობს ახასიათებს მოვავებული ზედაპირი, რომელიც დაფარულია რამდენიმე მეტრის სისქის კარგად დამუშავებული რიყის ქვებით; მათი უმეტესი ნაწილი ეკუთვნის ქვიშაქვებს.

ჭომის ციცაბოფერდობიანი მაღლობის ამგებ შუა იურულ ნალექებში მდებარეობს მძლავრი დიორიტული მასივი, რომელსაც ვაკე, მაგრამ უალუვიონო ზედაპირი აქვს (სურ. 3). იგი სიმაღლით რამდენიმე მეტრით აღემატება მაღლობის იურული ნალექებით აგებულ ნაწილს.

ჭომის ტერასის შეფარდებითი სიმაღლე 160—170 მ-ს უდრის, მისი მსგავსი საფეხური იქვე მდინარის მარცხენა ნაპირზე წარმოდგენილია ალუვიონს მოკლებული მოსწორებული ზედაპირის სახით.

ამრიგად, მდინარე რიონს ქუთაისის მიდამოებში აქვს შემდეგი კარგად გამოხატული ტერასები: 2—3-მეტრიანი (იგი ამავე დროს კოლხეთის ალუვიური ვაკის ნაწილიცაა), 8—10-მეტრიანი, 18—22-მეტრიანი, 60—70-მეტრიანი, 100—110-მეტრიანი და 160—170-მეტრიანი. მათი ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და დაკავშირებული იყო იმ ტექტონიკურ მოვ-



ლენებთან, რომლებიც კავკასიონზე წარმართა ალპური დანაოჭების გვიანდელ სტადიაში. ამ მოვლენებიდან ტერასების გენეზისი უმთავრესად ხმელეთის აღმავალ მოძრაობას დაუკავშირდა. ალ. ჯანელიძე რიონის ტერასების წარმოშობას მდინარის ზემო წელის აზეგებით ხსნის.



სურ. 2 კომის მალღობის კრილი ქ. ქუთაისის ჩოღღლო-აღმოსავლურ ნაწილში

- 1 კომის ტერასის აღუკვირნი
- 2 იურული ნაღვეები
- 3 დიორიტული მსივი

მდ. რიონი ქუთაისამდე სხვადასხვა ტექტონიკური რეჟიმისა და ცვალებადი მორფოლოგიური პირობების მქონე ტერიტორიაზე მოედინება. კოლხეთის ვაკის ფარგლებში ხშირი დაძირვის გამო რიონის აღწერილი ტერასების კორელაციური ნაღვეები სხვადასხვა სიღრმეზე უნდა ვივარაუდოთ. რიონის შესართავისაკენ დაძირვის სიძლიერე მეთი იყო, რაც დასტურდება ახალგაზრდა ნაღვეების სიმძლავრის მატებით ზღვასთან მიახლოებისას [3]. ამასთანავე ნაწილობრივ მხედველობაში უნდა მივიღოთ შავი ზღვის დონის ცვალებადობაც, გამოწვეული ევსტატური მოძრაობით. ლ. მარუაშვილის [4] მიერ კოლხეთის პერიფერიებზე მდინარეთა ხეობების მორფოლოგიური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება ევსტატური მოძრაობისადმი ჩვენ გაზვიადებულად გვეჩვენება; ამ მოძრაობის მნიშვნელობა ზღვიური და მდინარეული ტერასების წარმოშობისათვის საყოველთაოდ აღიარებულია, მაგრამ შავი ზღვის მიმართ ამ მხრივ საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, რადგან ეს ზღვა, როგორც ცნობილია, მეოთხეულში და უფრო ადრეც, უმეტესად ჩაკეტილი იყო. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვას სხვა მკვლევარებმაც [5].

კავკასიონისა და აჭარა-აშერეთის ქედის ფერდობებზე მაღალი ტერასებისა და სხვა მოსწორებული ზედაპირების წარმოშობა ამ ქედების სისტემატურმა აღშავალმა მოძრაობამ განაპირობა. ეს მოძრაობა ვრცელდებოდა ქედებისპირა გორაკ-ბორცვიან ზოლებშიც.

ტექტონიკური რეჟიმი თვით საქართველოს ბელტის ფარგლებშიც ცვალებადი ხასიათისა იყო, რაც, ალბათ, საფუძველად დაედო კოლხეთის ბაქნის ორ. ერთმანეთშორის მორფოლოგიურად მკვეთრად განსხვავებული ნაწილის — ალუვიური ვაკისა და პერიფერიული ამაღლებული ზოლის წარმოშობას.

გარდა საერთო ხასიათის მოძრაობებისა, რიონის ტერასების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მცირე მასშტაბის ტექტონიკურ მოვლენებსაც. მათ რიცხვს მიეკუთვნება ალ. ჯანელიძის მიერ აღწერილი სამხრული ოკრიბის შეცოცება, რომელსაც ქვემოთ შევხებით.

ტერასების ასაკის დადგენა შესწავლილი ხეობის ჩამოყალიბების ისტორიის განსაზღვრის მთავარი საშუალებაა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია რიონის ხეობის მხოლოდ აღწერილი მონაკვეთის ხნოვანება ვივარაუდოთ; ეს კი თავის მხრივ დაგვეხმარება ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ ჩვენთვის საინტერესო რელიეფის ფორმების ევოლუციაზე.

რიონის ხეობის შესწავლილი უბანი მისი არც უძველესი და არც ყველაზე ახალგაზრდა ნაწილია. ყველაზე ახალგაზრდაა ხეობის ქვემო ნაწილი, სადაც მდინარის შესართავმა ზღვის უკუდახვევის გამო განიცადა დასავლეთისაკენ გადაადგილება. ამასვე ადასტურებს ზღვისპირა ზოლში ჩატარებული ღრმა ბურღვის მასალები [1].

ოკრიბის თანამედროვე ჰიდროგრაფიული ქსელი ვერ კიდევ ზედა მესამეულში უნდა ჩასახულიყო. ამასთანავე უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ უფრო ადრე ოკრიბაში არსებობდა სხვა მდინარეებიც, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ტარცულა და მესამეული ნალექების გადარეცხვაში. უკვე კარგა ხანია, რაც თანამედროვე მდინარეების ეროზია უმთავრესად იურულ ნალექებს ეხება. რიონი მიეკუთვნება იმ მდინარეებს, რომელთა ჩამოყალიბება მიმდინარეობს სულ მცირე პლიოცენის დასაწყისიდან მაინც.


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რიონის ხეობის განვითარებაზე სათანადო გავლენა უნდა მოეხდინა სამხრული ოკრიბის შეცოცებას, რომელიც ალ. ჯანელიძემ ქვედა მეოთხეულად დაათარიდა და ვალახურ ფაზისს დაუკავშირა. ა. ცაგარელმა [6] შეცოცების ასაკად პასადენური ფაზისი ივარაუდა. შეცოცების გავლენა უფრო კარგად შეინარჩუნეს პატარა მდინარეებმა, მაგ. ტყიბულამ და შაბათაღელემ, რომლებმაც ვერ დაძლიეს შეცოცების შედეგად ამოღებული ოკრიბის პერიფერია და შემდგომი დინებისათვის გზა კირქვის ნაპრალებში გაიკვლიეს. როგორც ცნობილია, ტყიბულა ახალსოფლის ტაფობის კიდზე იკარგება და რამდენიმე კილომეტრზე მიწისქვეშა დინების შემდეგ ისევ ზედაპირზე გამოდის. ცუცხვათის ტაფობში შაბათაღელე მალარასთან შეერთების შემდეგ, ამ უკანასკნელის სახელწოდების დიდ მღვიმეში გაედინება. აღნიშნული მდინარეები, მით უმეტეს რიონი და წყალწითელა, უფრო ძველია, ვიდრე შეცოცება. პატარა მდინარეთა ძველი ხეობების ნაშთები დარჩენილია ჩრდილოეთისაკენ შეცოცებულ კირქვიან ქედზე, რომელიც ოკრიბის იურული ნალექებით აგებულ ნაწილს რკალივით ეკვრის სამხრეთიდან.

მდ. ტყიბულას შეცოცებამდელი კალაპოტის ნაშთი ახალსოფლის ტაფობის ფსკერის იმ ნაწილიდან, სადაც იგი იკარგება, 80 მ სიმაღლეს აღწევს. მაგრამ ტაფობის წინანდელი ფსკერი, როგორც ალ. ჯანელიძე აღნიშნავს ბურღვის მასალებზე დაყრდნობით, დაფარულია ტბიური ნალექებით, რომელთა სიმაღლე 80 მ-მდე აღწევს. ჰიფსომეტრიული სხვაობა ახალსოფლის ტაფობის იურული ნალექებით აგებულ ზედაპირსა და შეცოცებულ კირქვიან მალლობზე მდებარე ტყიბულას ძველ ფსკერს შორის უდრის 160 მ, რაც წარმოადგენს შეცოცების მაქსიმუმს (სურ. 3). შეცოცება რომ არ გაჩენილიყო და ტყიბულას განეგრძო სიღრმითი ეროზიის ნორმალური განვითარება, მაშინ მისი ფსკერი დაახლოებით მეზობელი მდინარეების დონემდე უნდა გაღრმავებულიყო.





მაგალითად, წყალწითელას მარცხენა შენაკადების დონე სოფ. საწირეთან ახალსოფლის ტაფობის ახლანდელი ფსკერიდან 130—140 მეტრით დაბლა მდებარეობს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ოკრიბის ზოგიერთმა მდინარემ, მაგ. წყალწითელამ, ადვილად გადაკვეთა შეცო-




სურ. 3. ახალსოფლის ტაფობის სქემატური კრილი

- 1 კორუარაფები
- 2 კარკები
- 3 ტბურინაკები

ცების შედეგად ამოღებული კარქვიანი სერი და შედარებით ნორმალურად წარმართა თავისი ხეობის შემდგომი განვითარება. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეცოცების წარმოშობის შემდეგ წყალწითელამ ახალსოფლის

*კუთაისის მიდამოებისა და სამხრული ოკრიბის სქემა*



- რიონის ტერასები
- სამხრული ოკრიბის შეყოფა

ტაფობის მეზობლად თავისი კალაპოტი გაადრმავა 60—70 მეტრით. ეს რიცხვი შეეფარდება რიონ-წყალწითელას აღწერილ საღორის ტერასის სიმაღლეს. ამ ტერასის სიმაღლის დონეები დარჩენილია კოლხეთის სხვა მდინარეულ ხეო-

ბებშიც. მახლობელი მდინარეებიდან არის ყვირილას ნაპირებზე, მაგალითად, სოფ. სიმონეთისა და სოფ. სვირის მიდამოებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სალორის ტერასი კოლხეთის ვაკისაკენ შესაძინევად დაბლდება; ზემოთ კი, დასახლებული კანიონის ფარგლებში, იგი მაღლდება 80—90 მ-მდე და წარმოადგენს კარსტული ძაბრებით მოფენილ ეროზულ ბაქანს, რომელზეც ვადის ქუთაის-ტყიბულის რკინიგზა. სიმაღლის ასე სწრაფი ზრდა შეცოცების გავლენით უნდა აიხსნას. ხოლო ტყიბულასა და წყალწითელას შეცოცებამდელ და თანამედროვე დონეებს შორის მნიშვნელოვანი პიფსომეტრიული სხვაობა გამოწვეული უნდა იყოს შეცოცების ამპლიტუდის სწრაფი მატებით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ რიონ-წყალწითელას 60—70-მეტრიანი (სალორის) ტერასისა და სამხრული ოკრიბის შეცოცების ერთდროულობის დადგენით საშუალება გვეძლევა რიონის უფრო მაღალი ტერასები მივაკუთვნოთ ადრინდელ პერიოდებს. სახელდობრ, მწვანეყვავილას (100—110 მ) ტერასი, როგორც წინათ [2], ამკერადაც დავთარილოთ მეოთხეულის დასაწყისად, ხოლო ჭომის (160—170 მ) საფეხური — ზედა პლიოცენურად, დანარჩენი დაბალი ტერასები შეცოცების შემდგომი დროის იქნება.

თბილისის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი

(რედაქციას მოუვიდა 2.3.1962)

ГЕОГРАФИЯ

Г. С. ДЕВДАРИАНИ

## ТЕРРАСЫ Р. РИОНИ В ОКРЕСТНОСТЯХ КУТАИСИ

Резюме

В окрестностях Кутаиси р. Рисни имеет следующие хорошо выраженные террасы: 2—3 м, 8—10 м, 18—22 м, 60—70 м, 100—110 м и 150—160 м. В образовании террас, кроме тектонических движений регионального масштаба, сыграли немаловажную роль локальные тектонические явления, к которым относится южно-окрибский сброс, изученный А. И. Джанелидзе. Воздействие сброса, западная часть которого проходит близ Кутаиси и датированного тем же автором нижнечетвертичным временем (валахская орофаза), оставило более наглядные среды в долинах небольших рек, каковы, например, Ткибули и Шабатагеле. Они не смогли пропилить возникшую в результате сброса возвышенную преграду по южной окраине Окрибы и проложили новые русла по подземным трещинам в известняковом массиве. Остатки древних долин этих рек хорошо сохранились в верхних частях этой возвышенности.



Учитывая высотные разницы между остатками прежних русел в современном долине упомянутых рек, а также величину амплитуды сброса, мы пришли к заключению, что с периодом образования южно-окрибского сброса можно синхронизировать 60—70 м террасу Риони, что позволяет дать предположительную датировку и другим террасам. Пятая, 100—110 м терраса может быть отнесена к началу четвертичного периода, а шестая (150—160 м) — к плиоцену. Остальные три нижние террасы при таком допущении являются послесбросовыми.

#### დაბეჭდილი ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. А. И. Джанелидзе, Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума. Тбилиси, 1940.
2. გრ. დევდარიანი. კოლხეთის ბარის მდინარეთა ქსელის მეოთხეული ისტორიის საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI, № 4, 1955.
3. А. Г. Лалиев. К вопросу геотектонической природы и истории геологического развития Колхидской низменности. Труды Геолог. ин-та АН Грузинской ССР, т. X (XV), 1957.
4. ლ. შარუაშვილი. მდინარე კოდორის ტერასები როგორც მთიან ქვეყნებში ტერასთ-გაჩენის მაგალითი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, № 1, 1960.
5. Ш. В. Лашхия. О генезисе террас Черноморского побережья Кавказа. Изв. АН СССР, серия географическая, № 4, 1961.
6. ა. ცაგარელი. სამხრეთ ოკრიბის კიდური შეცოცების ასაკის შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტ. საიუბილეო სამეცნ. სესიის თეზისები, 1961.

Т. КИКНАДЗЕ

**ОБРАЗОВАНИЯ ПЕЩЕРНОГО ЛЬДА В КАРСТОВОЙ ПРОПАСТИ  
ВАХУШТИ БАГРАТИОНИ  
(ИЗВЕСТНЯКОВЫЙ МАССИВ АРАБИКА, ГАГРСКИЙ РАИОН)**

(Представлено академиком Н. Н. Кецохели 2.15.1962)

В некоторых карстовых пещерах, помимо обычных кальцитовых натечных образований (сталактитов, сталагмитов и др.), встречаются и ледяные образования, которые характеризуются разнообразной формой и отличаются происхождением.

Ледяные образования карстовых пещер, по Г. Максимовичу, представляют собой наименее изученную часть криосферы [1]. В этом направлении некоторые шаги сделаны в РСФСР, где изучены ледяные образования Кунгурской, Балаганской и др. пещер.

Ледяные пещеры Грузии упоминаются в работах Вахушти Багратиони [2], Г. Радде [3], А. Крубера [4], Л. Маруашвили [5] и др., но надо сказать, что изучению пещерного льда в частности внимание исследователей не уделялось. В этом отношении не представляет исключения и известняковый массив Арабика, хотя ледяные пещеры и колодцы его гребневой части часто упоминаются в литературе.

Одним из интереснейших объектов для изучения пещерного льда является пещера-пропасть им. Вахушти Багратиони в массиве Арабика, которую осенью 1960 года открыла и исследовала спелеологическая экспедиция Грузинского альпийского клуба [6].

Входное отверстие пропасти представляет собой колодец, часть которого заполнена снегом. Снег конусообразно спускается в пропасть до глубины 40 м. Его концевая, нижняя, часть превращена в подземный ледник длиной 5—6 м. В первой декаде сентября 1960 г. в первом, верхнем, зале пропасти температура воздуха достигала 4—5°, пол и стены зала были мокрыми.

В середине июля 1961 г. нам пришлось второй раз посетить выше-названную пропасть и пред нами предстала совсем другая картина: входное отверстие было закрыто снегом, и нам пришлось провести снегоочистительные работы. Объем снежного конуса был больше, чем раньше. При свете фонаря стены, пол и потолок зала ослепительно блестели, всюду были ледяные образования.

По классификации пещерного льда, данной Г. Максимовичем [7], ледяные образования пропасти Вахушти Багратиони могут быть разделены на 2 типа:

1. Атмогенные (сублимационные) кристаллы — в виде тонких пластинок разной формы, диаметром 5—20 мм. Характерны правильные шестиугольные очертания. Очень нежны и при малейшем прикосновении теряют форму. Распространены на верхних частях стен зала, на высоте 1—2 м от пола. Часто сублимационные кристаллы сращены и создают сложные формы разной конфигурации, наподобие двойников кристаллов минералов (рис. 1). Подобные образования описаны Г. Максимовичем — для Кунгурской ледяной пещеры [10], Н. Гвоздецким — для Балаганской пещеры [8], А. Ступишиным — для пещер Поволжья [9] и др.



Рис. 1. Сублимационные кристаллы пещерного льда

Н. А. Гвоздецкий отмечает, что такого рода кристаллы представляют тип «атмогенных» кристаллов и возникают путем сублимации, т.е. переходом находящегося в воздухе пещеры водяного пара непосредственно в лед, минуя жидкую фазу [8].

А. В. Ступишин для Малой Сюкеевской пещеры дает следующие 4 условия, от которых зависит интенсивность образования аналогичных кристаллов: 1) степень насыщенности влагой верхнего, более теплого слоя воздуха, прилегающего к своду, с температурой около  $0^{\circ}$ ; 2) степень интенсивности воздушной циркуляции в пещере; 3) температурный градиент, или перепад температуры при движении воздушных потоков, и 4) время наблюдения [9].

В названном зале пропасти Вахушти Багратиони имеет место интенсивная циркуляция воздуха. Воздух, идущий из глубины пропасти, холодный. В сентябре 1960 года он довольно сильно дул снизу вверх и дым от зажженного на глубине 70 м костра быстро поднялся к отверстию пропасти. Сравнительно теплый воздух, поднимающийся к сводной части зала, адиабатически охлаждается и выделяет обильную влагу.

Для образования сублимационных кристаллов движение влажного воздуха не должно быть быстрым и, вместе с тем, температура воздуха должна быть ниже нуля. 20 июля 1961 года трещина на глубине 50 м, из которой дул холодный воздух, была заполнена толстым слоем льда, вследствие чего движение воздуха значительно замедлялось. Измеренная нами температура воздуха на глубине 40 м, у стены, не превышала —  $0,5^{\circ}$ . Очевидно, кристаллы такого типа — временное явление для пропасти Вахушти Багратиони.

2. Гидрогенный лед возникает вследствие перехода просочившейся воды в твердую фазу. Представлен в виде ледяных форм больших размеров. У левой стены зала стояла непрозрачная, молочного цвета ледяная колонна, высотой 2,55 м и диаметром 25 см (рис. 2).




Рис. 2. Ледяная колонна в пропасти Вахушти Багратиони

К такому же типу льда относятся и те многочисленные сосульки «сталактиты», которые во многих местах зала опускались с потолка, особенно у стен, и создавали занавеси редкой красоты (рис. 3). С пола поднимались кеглеобразные ледяные «сталагмиты», высота которых достигала 25—30 см, а диаметр 5—10 см. Химический анализ одного из таких «сталагмитов» показал следующее:

Общая минерализация «сталагмита» составляет 0,08 г/л. Он пресный, гидрогенный.

Общее между сталагмитами настоящими и ледяными то, что в обоих случаях происхождение обусловлено падающей каплей; только в первом случае капля насыщена растворенным веществом (бикарбона-

том кальция и др.) и из-за вязкости при падении менее расплескивается. Для настоящих сталагмитов в большинстве случаев характерны цилиндрические и конические формы, так как при увеличении высоты

Таблица

Химический состав ледяного „сталагмита“ (пропасть Вахушти Багратиони)

Ca <sup>++</sup>	Na <sup>+</sup> +K <sup>+</sup>	Mg <sup>++</sup>	HCO <sub>3</sub> <sup>'</sup>	SO <sub>4</sub> <sup>'</sup>	Cl <sup>'</sup>	жесткость Н <sup>о</sup>		СО <sub>2</sub> , мг/л			сухой остаток
						кар-общая	бонатная	связанная	свободная	агрессивная	
2,00	20,24	1,21	49	9,05	3,00	0,5	2,2	17,7	0,14	0	69

(анализ сделан в химической лаборатории Грузгеолуправления)

последних, во время роста, расстояние падения капли уменьшается, вместе с тем уменьшается и сила падения, вследствие чего насыщенная капля меньше расплескивается.



Рис. 3. Ледяные сосульки — „сталактиты“ и „сталагмиты“ в пропасти Вахушти Багратиони

Во втором случае основную роль играет температурный фактор. Очевидно, в том зале, о ледяных образованиях которого идет речь, температура воздуха из отрицательной постепенно переходит в положительную. Теплый воздух направляется вверх, и поэтому таяние ледяных «сталактитов» происходит интенсивнее. В это время интервалы между падениями капель резко сокращаются, из-за уменьшения вязкости капли расплескиваются больше, верхняя часть «сталагмитов» утолщается и получают кеглеобразные «сталагмиты». Такие «сталагмиты» известны в Кунгурский ледяной пещере [10], в Деменовских пещерах в Словакии [11] и др.

К типу гидрогенного льда относятся также подземный ледник пропасти Вахушти Багратиони и такой же ледник в пропасти Мартель, в 2 км от предыдущего. Там, в вертикальном шахтном отрезке пропасти, воздвигается снежный обелиск высотой 30 м. Его верхняя часть в летние месяцы претерпевает интенсивное таяние и к сентябрю суживается настолько, что принимает форму конуса. Его нижняя часть образует ледник, величина глубинного продолжения которого пока неизвестна.

## Выводы

1. Ледяные образования пропасти Вахушти Багратиони (кроме подземного ледника) носят сезонный характер: возникают зимой, а к концу лета исчезают. В связи с этим нужно отметить следующее: весной и большую половину лета пути, ведущие в глубь пропасти Вахушти Багратиони и других снежно-ледяных пропастей Арабики, перекрыты льдом и проникнуть в них невозможно. Самым подходящим периодом для глубинных проникновений и исследований в этом районе можно считать вторую половину августа и первую половину сентября.

2. Пещерный лед определенную роль играет в регулировании режима карстовых вод массива Арабика. В других более низких массивах, где в пещерах и шахтах летом не сохраняются снег и лед, поверхностные выходы карстовых вод претерпевают сезонные колебания, интенсивно уменьшаются в середине лета, а иногда совсем исчезают. На Арабике летом вода, полученная таянием подземного льда и сохранившегося в колодцах и шахтах снега, «помогает» трещинно-карстовым водам в питании источников.

3. В гребневой части известнякового массива Арабика обильно представлены пещеры и шахты с ледяными образованиями, причиной чего нужно считать большую высоту массива (2000—2700 м), низкое расположение снеговой границы, а также узкие закрытые формы верхних частей карстовых пустот, вызванных древним оледенением.

Наконец, нужно сказать, что ледяные образования карстовых пещер и пропастей массива Арабика представляют собой неисследованный объект и их детальное, систематическое изучение должно стать ближайшей задачей грузинских спелеологов.

Академия Наук Грузинской ССР

Спелеологическая комиссия

(Поступило в редакцию 21.5.1962)



თ. კიკიაძე

მღვიმური ყინულის წარმონაქმნები ვახუშტი ბაგრატიონის  
 კარსტულ უფსკრულში (არაბიკას კირაშვლი მასივი)

რ ე ხ ი უ მ ე

ზოგ კარსტულ მღვიმეში, ჩვეულებრივი კალციტური ნალენთი ფორმების გარდა (სტალაქტიტები, სტალაგმიტები და სხვა), გვხვდება ყინულის წარმონაქმნებიც, რომლებიც მრავალნაირი ფორმით ხასიათდებიან და წარმოშობით განსხვავდებიან.

კარსტულ, მღვიმეთა ყინულოვანი წარმონაქმნები გ. მაქსიმოვიჩის აზრით, კრიოსფეროს ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ნაწილია.

საქართველოს ყინულიანი მღვიმეები მოხსენებული აქვთ: ვახუშტი ბაგრატიონს, გ. რადესს, ა. კრუბერს, ლ. მარუაშვილს, მაგრამ თვით ყინულის წარმონაქმნების შესწავლას ჯეროვანი ყურადღება, არ ჰქონია დათმობილი.

არაბიკის მასივის კვლევის დროს ჩვენ რამდენჯერმე მოგვეცა ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრულის ნახვის შესაძლებლობა, და წინამდებარე წერილი წარმოადგენს ამ უფსკრულის ყინულოვანი წარმონაქმნების შესწავლის შედეგს. აქ დადგენილია მიწისქვეშა ყინულის ორი ტიპი: 1. ატმოგენური (სუბლიმაციური) კრისტალები და 2. ჰიდროგენული ყინული.

ვახუშტი ბაგრატიონის კარსტული უფსკრულის ყინულოვანი წარმონაქმნები (მიწისქვეშა ყინვარის გარდა), სეზონური ხასიათისაა, წარმოიშობიან ზამთარი; ზაფხულის დამლევისათვის კი ქრებიან.

მღვიმური ყინული გარკვეულ როლს ასრულებს არაბიკის მასივის კარსტული წყლების რეჟიმის რეგულირებაში. მიწისქვეშა ყინულისა და მიწისქვეშა თოვლის დნობით მიღებულნი წყალი „ეხმარება“ ნაპრალოვან კარსტულ წყლებს წყაროების საზრდოობაში.

არაბიკის მასივის თხემურ ნაწილში უხვადაა წარმოდგენილი ყინულოვანი მღვიმეები და ჭებები, რის მიზეზადაც მასივის სიმაღლე (2000—2700 მ), და თოვლის საზღვრის დაბალი მდებარეობა, აგრეთვე ძველი გაყინვარების გავლენით გამოწვეული კარსტული ღრმულების ვიწრო, დახურული ფორმა უნდა მივიჩნიოთ.

არაბიკის კირქვული მასივის კარსტული მღვიმეებისა და უფსკრულების ყინულოვანი წარმონაქმნები ჯერ გამოუკვლევებლ ობიექტს წარმოადგენს და მისი დეტალური, სისტემატური შესწავლა ქართველ სპელოლოგთა უახლოეს ამოცანად უნდა იქცეს.

1. Г. А. Максимович. Пещерные льды. Известия Всесоюзного географического общества, т. 79, в. 5, 1947.
2. Вахушти Багратиони. Описание царства Грузинского (география Грузии). Тбилиси, 1941 (на грузинском языке).
3. Г. Радде. Путешествие в Мингрельских альпах в трёх их верхних продольных долинах (Рион, Цхенис-цкали и Ингур). Записки Кавк. отд. импер. Русского Геогр. об-ва, кн. XII, в. № 1, 1866.
4. А. А. Крубер. Поездка на Арабику. Естествознание и география, № 1, 1912.
5. Л. И. Маруашвили. Геоморфологическая характеристика Лечхуми. Труды института географии им. Вахушти, АН СССР, т. XII, 1960.
6. Л. И. Маруашвили, З. К. Тинтилозов и Г. З. Чангашвили. Результаты спелеологических исследований 1960 года на известняковом массиве Арабика. Сообщения АН Грузинской ССР, т. XXVI, № 5, 1961.
7. Г. А. Максимович. Классификация льдов пещер. Известия АН СССР, т. 9, № 5—6, 1945.
8. Н. А. Гвоздецкий. Ледяные образования Балаганской пещеры в Приангарье. Природа, № 9, 1950.
9. А. В. Ступишин. Пещерные льды Среднего Поволжья и природа их образования. Спелеология и карстоведение. Материалы совещания по спелеологии и карстоведению, 17—18 декабря, 1958.
10. Г. А. Максимович. Кунгурская ледяная пещера. Тезисы докл. карстоспелеологической конференции. Молотов, 1946.
11. A. Džorpa. Demänovské jaskyne. Slovenská Akadémia vied. Bratislava, 1957.

ბ. უზნაძე

ბოდერძის ფლორის ასაკის შესახებ

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ბ. კაპრაჯამ 21.4.1962)

სამხრეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ვულკანური ტუფების, ბრექჩიების და ლავური ნაკადების მძლავრი კონტინენტური წყებები. ისინი ლიტერატურაში ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით.

წყების უკიდურესად დასავლური გამოსავლები გაშიშვლებულია არსიანის ქედზე გოდერძის გადასავალთან, აღმოსავლეთით ის გრძელდება მდ. ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ მდ. ფოცხოვამდის, სამხრეთით სახელმწიფო საზღვრის გარეთ თურქეთში, ჩრდილო-დასავლეთით კი უჭირავს მცირე ფართობი მდ. ქვაბლიანის მარცხენა ნაპირზე. ტუფოგენური ნალექების ამ ნაწილს გოდერძის წყებას უწოდებენ. აღმოსავლეთით კონტინენტური ვულკანოგენური წყება გაშიშვლებულია მდ. ურაველისა და მტკვრის ხეობების ფერდობებზე და ცნობილია ქისათიბის წყების სახელწოდებით; შემდეგ გარს უყლის სამხრეთიდან ახალქალაქის ზეგანს, ვრცელდება აღმოსავლეთისაკენ აბულ-სამსარის მთების მიდამოებში და მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფ. წალკისაკენ. ეს არის ე. წ. წალკა-ახალქალაქის წყება, რომელსაც ხერხემლიანთა ფაუნის მიხედვით მიაკუთვნებენ აღჩაილურს [1].

წალკა-ახალქალაქის წყება ქისათიბის წყებაზე ახალგაზრდაა. პირველ სოფ. ხერთვისსა და ხიზაბავრას შორის მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ განლაგებულია ქისათიბის წყების გადარეცხილ ზედაპირზე [2].

ქისათიბის წყების ქვედა ნაწილში აღმოჩენილი იყო ამ უკანასკნელ ხანებში ჰიპარიონის ყბის ძვალი, რომელიც შემცველ ქანებს სარმატულად ათარილებს [3].

სოფ. ქისათიბის მიდამოებში წყების ზედა ნაწილი შეიცავს დიატომიტის შრეებს, რომელიც აგებულია მტკნარი წყლის დიატომების ჯავშნებისაგან. დიატომიტში ცნობილია მცენარეთა აღნაბეჭდები, ბაყაყის, მერცხლისა და თევზის ჩონჩხი და ჰიპარიონის ზედა ყბის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ქისათიბის დიატომიტები ქვ. პლიოცენს (მეოტურს — [4]) მიეკუთვნება.

ნ. სხირტლაძე [5] ქისათიბისა და გოდერძის წყებას, ლითოლოგიურა მსგავსების საფუძველზე, აერთებს გოდერძის წყებად, რომელიც წარმოქმნილია მრავალგზის ვულკანური ამოფრქვევით. ვულკანიზმის სიმშვიდის განმავლობაში წყება გადარეცხვას განიცდიდა. ამ დროებითი სიმშვიდის პერიოდებს შეიძლება მიეკუთვნოს დიატომური ტბის წარმოშობა. ნ. სხირტლაძე გოდერ-



ძის ტუფებს საქართველოს სხვა რაიონებში ცნობილ დათარიღებულ ტუფებთან პარალელიზაციის საფუძველზე ზედა სარმატულსა და მეოტურს აკუთვნებს.

გოდერძის წყება არავითარ ორგანულ ნაშთს არ შეიცავს, გარდა განამარხებული მცენარეებისა. ნამარხი ფლორა ცნობილია გასული საუკუნის ბოლო წლებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მან მრავალი პალეობოტანიკოსის ყურადღება მიიქცია, მკვლევრებს შორის არ არსებობს ერთიანი შეხედულება ფლორის ასაკის შესახებ. ი. პალიზინი [6] გოდერძის ფლორას მიაკუთვნებს ქვედა პლიოცენს, მ. უზნაძე [7] — ქვედა და შუა მიოცენს; ფ. მჭედლიშვილი [8] — კიმერიულს; ი. შილკინა [9] ფიქრობს რომ იგი პლიოცენზე ძველი უნდა იყოს; ა. ტახტაჯიანი [10] თვლის პლიოცენურად.

ყველა მკვლევრის მიერ მცენარეული ნაშთები შეგროვილია ერთი და იმავე გაშიშვლებიდან, რომელიც ვრცელდება მდ. ძინძადან დაახლოებით 1 კმ მანძილზე გოდერძის გადასავლის მიმართულებით, შოსეს გასწვრივ. ფლორის შემცველი შრეები მოთავსებულია 10—20 მ სიმაღლის დასტაში, რომელიც წყების ფუძიდან 60—80 მ მანძილითაა დაცილებული. ნამარხი ფლორა წარმოდგენილია ფოთლების აღნაბეჭდებისა და გაქვავებული მერქნების სახით. ზოგჯერ გვხვდება ადგილზე განამარხებული გაქვავებული კუნძები გასქელებული ქვედა ნაწილით, წაქეული გაღუნული ხეები, განახშირებული და თითქმის შეუცვლელი ტოტები. მსხვილმარცვლოვანი ტუფები ყველა მიმართულებით დასერილია პატარა ტოტებით და ფოთლის აღნაბეჭდებით. ყველა ეს მონაცემი იმაზე მიგვიბრუნებს, რომ ფლორა განამარხებულია ადგილზე კონსერვაციის სწრაფი პროცესის პირობებში და ძირითადად ასახავს მცირე უბნის მცენარეულობას.

გოდერძის გადასავლის ფლორა ტენიანი — სუბტროპიკული ჰავის პირობების ამსახველია. მთელი ფლორის 68% შეიცავს ტენიანი სუბტროპიკული ტყის ელემენტებს; 17% მიეკუთვნება თბილ-ზომიერ მცენარეთა სახეებს; 15% — ზომიერი ტყის ფლორების სახეებს. ამ ორ უკანასკნელ ჯგუფისადმი მიკუთვნებული მცენარეები იშვიათია. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ეს მცენარეები განამარხების ადგილიდან მოშორებით იზრდებოდა. ადგილზე განამარხებული ჩანს თანამედროვე ლავრის ტყეების (*Laurisilvae*) მსგავსი ტენიანი — სუბტროპიკული ტყის ფორმაცია.

სხვა რაიონებში გვხვდება მცენარეთა მცირე სახეობის შემცველი შუა-შრეები და ბუდეები. ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს *Vitis teutonica* A. Br. მრავალრიცხოვანი ფოთლის აღნაბეჭდები, რომლებიც *Celastrus* sp. ერთად სოფ. ორქოშანის აშშუშენილ ბრექჩიულ ტუფებშია განამარხებული.

ამგვარად, გოდერძის წყების ხმელეთურ ფაციესში გვხვდება ადგილზე განამარხებული სხვადასხვა ეკოლოგიური ჯგუფის ფლორები: მარადმწვანე სუბტროპიკული ტყის მცენარეულობა გოდერძის გადასავალზე და ნაკლებად სითბომოყვარული ცვენადფოთლოვანი — სოფ. ორქოშანში.

ეს ტყეები იზრდებოდა ტუფებზე და შემდგომი ვულკანური ამოფრქვევების გამო იქვე ნამარხდებოდა. საწყისი ფაზისის ვულკანურმა ლავეებმა და ფერ-

ფლმა მოსპეს მთელი მცენარეულობა გოდერძის წყების თანამედროვე ცვლადობის უბნებში. ახალი ფიტოლანდშაფტები ყალიბდებოდა ვულკანიზმის სიმშვიდის პერიოდში უახლოესი ადგილებიდან იმიგრანტებისა და შესაძლოა ნაწილობრივ შემთხვევით გადარჩენილი სახეების ხარჯზე. ფლორას შეეძლო შემოეღწია ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან, ვინაიდან ყველა დანარჩენი მიმართულებით ილექებოდა ანალოგიური ტუფოგენური წყება, რომელიც ხელს უშლიდა მცენარეული საფარის გავრცელებას. გოდერძის ფლორის კავშირი გურიის ზედა მიოცენურ ფლორასთან კარგად მტკიცდება გოდერძის წყებაში *Quercus guriaca* Uxn. და *Laurus guriaca* Pal. არსებობით.

ნამარხ მცენარეთა დიდი რაოდენობა მცირე სნის წინათ აღმოჩენილ იქნა სოფ. ვალეს მიდამოებში. აქ ტუფოგენური წყება წარმოდგენილია ტბიური ნალექებით [11], სადაც განამარხებულია ჩამოტანილი ფლორა. მასალის წინასწარი გადათვალეობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აქ სანაპირო ფაციესის მცენარეულობასთან ერთად (*Salix* sp. *Myrica lignitum* (Ung.) Sap. და სხვა), გვაქვს რიგი მცენარეები, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნოს სხვადასხვა ფოტოცენოზს. ამჟამად ამ ფლორას ამუშავებს პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი ლ. ჰელიძე.

გოდერძის წყებაში განამარხებული სხვადასხვა ფიტოცენოზის დადგენასთან დაკავშირებით, გადათვალეობულ იქნა საქართველოში განამარხებული ნეოგენური მცენარეების ყველა ცნობილი ადგილი და აღმოჩნდა, რომ განამარხებულია უმთავრესად შერეული ფლორები, რომლებიც შედგება სუბტროპიკული ტყის ფლორების (უმთავრესად ლავრის ტყეები) — თბილი-ზომიერი ტყის ფლორებისა და ზომიერი ტყის ფლორების ელემენტებისაგან. მცენარეებს, რომლებიც ერთსა და იმავე ეკოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნება, გოდერძის ფლორის ანალოგიურად შეეძლოთ შეექმნათ გენეტურად ჰომოგენური ცალკეული ფორმაციები. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ლავრის ტყის ფორმაციას შეეძლო არსებობა არა მარტო ზედა მიოცენამდე [7], არამედ უფრო ხანგრძლივადაც, თითქმის კიმერიულის ბოლომდის. ასაკის დასადგენად გოდერძის ფლორა შედარებულ იქნა საქართველოსა და შეძლებისდაგვარად, აზიერაკავასიის ნეოგენის პორიზონტების ანალოგიური ეკოლოგიური ჯგუფის სახეებთან (სუბტროპიკული ტყის ფლორის სახეებთან). შედარებამ გვიჩვენა, რომ გოდერძის ფლორა უფრო ახლოს დგას სარმატული დროის მცენარეებთან. ამის მაჩვენებელია *Cinnamomum* წარმომადგენლების სიუხვე აღნიშნულ ნალექებში.

სინესტის მოყვარული ლავრის ტყეები მრავალრიცხოვანი გვიმრებით, პალმითა და სხვა მცენარეებით, როგორც ჩანს, ზღვის მახლობლად იზრდებოდა, რადგან ახალციხის დებრესიაში არსებულ ტბას არ შეეძლო მიეწოდებინა ამ ტყეებისათვის საჭირო სინესტე, უნდა დავუშვათ, რომ ტენი მოდიოდა მიოცენური ზღვიდან, რომელიც მდებარეობდა ჩრდილოეთით და დასავლეთით. შუა სარმატის ბოლოდან ამიერკავასიაში ზღვამ დასავლეთისაკენ დაიხია, ხოლო ხმელეთი, რომელიც განლაგებული იყო ზღვასა და საკვლევ ტერიტორიას



შორის (აქარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემა) მიოცენის ბოლოს მთათაწვეთში შობი მოძრაობის გამო მთიან მხარედ გადაიქცა, რომელიც ხელს უშლიდა სინესტის გავრცელებას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავუშვათ, რომ სინესტის მოყვარული ტყეებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა მხოლოდ პლიოცენამდე ან შესაძლებელია ზედა სარმატულამდე.

ფლორის ასაკის ქვედა საზღვრის შესახებ ზოგიერთ წარმოდგენას გვაძლევს ძლიერ დამახასიათებელი, მაგრამ იშვიათი ფორმები, როგორცაა *Vitis teutomea* A. Br. და *Fagus orientalis* Lipsk. foss.. *V. teutomea* ევროპის ფლორაში (გერმანია, ავსტრია) მხოლოდ მიოცენში ჩნდება და უკვე ზედა მიოცენში ფართო გავრცელებით სარგებლობს. ხმელთაშუაზღვიურ ქვეყნებში ცნობილია ზედა მიოცენიდან. საქართველოში კი აღინიშნება პლიოცენურ მცენარეთა სიებში. ასე რომ მათი მასობრივი განვითარება ჩვენში სარმატულზე უფრო ადრე ძნელი წარმოსადგენია. პალიობინის მიერ აღწერილ *Fagus orientalis* ფოთლის ერთადერთ ანაბეჭდს, სამწუხაროდ, არ ერთვის გამოსახულება. *Fagus* არსებობა დამტკიცებულია აგრეთვე აღმოსავლური წიფლის ტიპის მერქნის აღმოჩენით [9]. ამიერკავკასიაში ქვედა სარმატულზე უფრო ძველ ნალექებში წიფლის ნაშთები აღმოჩენილი არ არის. საქართველოში წიფელი ჩნდება ზედა მიოცენში და უკვე ზედა პლიოცენში ტყის შემქმნელი მცენარე ხდება. წიფელს ეს როლი დღემდე აქვს შენარჩუნებული. ამგვარად, აქცესორული სახეების შესწავლის საფუძველზე, გოდერძის ფლორის ქვედა საზღვარი შეგვიძლია გავატაროთ ზედა მიოცენის ქვეშ.

ამგვარად, გოდერძის მრავალფეროვანი ფლორის არსებობის პირობები ზედა მიოცენის (სარმატული სართულის) ფარგლებში თავსდება, რაც საესეებით უთანხმება როგორც ლითოლოგიურ [9], აგრეთვე ხერხემლიანთა ფაუნის [2] მონაცემებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
გეოლოგიური ინსტიტუტი  
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 24.4.1962)

ГЕОЛОГИЯ

М. Д. УЗНАДЗЕ

## О ВОЗРАСТЕ ГОДЕРДЗСКОЙ ФЛОРЫ

Резюме

В низах континентальной фации годердзской свиты имеется захороненная на месте флора различных экологических групп: вечнозеленая субтропическая—близ Годердзского перевала и менее теплолюбивая листопадная—в с. Оргошани. Эти леса росли на туфах и захоронились туфами последующих вулканических излияний. Озерная фация

გოდერძის თუფოვანი შეიცავს მრავალფეროვან ფლორას, რომელიც შედგება გოდერძის თუფოვანის სხვადასხვა ნაწილისგან. გოდერძის თუფოვანის ფლორაში აღინიშნება გოდერძის თუფოვანის სხვადასხვა ნაწილისგან. გოდერძის თუფოვანის ფლორაში აღინიშნება გოდერძის თუფოვანის სხვადასხვა ნაწილისგან.

ფორმაცია ვეჩიოვალური ტიპის გოდერძის ტყეებისა გერმანიაში არსებობდა კამბრიუმდე. შედარებით გამოვლინდა გოდერძის ფლორის კარმის ფლორისადმი. შედარებით გამოვლინდა გოდერძის ფლორის კარმის ფლორისადმი.

სარგებლო პირობები ვეჩიოვალური ტყეებისათვის არსებობდა გოდერძის ტყეებისა გერმანიაში არსებობდა კამბრიუმდე. შედარებით გამოვლინდა გოდერძის ფლორის კარმის ფლორისადმი.

გოდერძის თუფოვანის ფლორის ნაწილი წარმოადგენს გოდერძის თუფოვანის სხვადასხვა ნაწილისგან. გოდერძის თუფოვანის ფლორაში აღინიშნება გოდერძის თუფოვანის სხვადასხვა ნაწილისგან.

ამგვარად, გოდერძის თუფოვანის ფლორაში აღინიშნება გოდერძის თუფოვანის სხვადასხვა ნაწილისგან. გოდერძის თუფოვანის ფლორაში აღინიშნება გოდერძის თუფოვანის სხვადასხვა ნაწილისგან.

#### დავითიანი ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. გ. მ. ზარიძე და ნ. ფ. ტატრისვილი. გოდერძის თუფოვანის ფლორის კარმის ფლორისადმი, დან. სსსრ, 59, № 1, 1948.
2. პ. დ. გამკრელიძე. ახალციხის მაღალი და სამხრეთის ტყეებისა. ტყეებისა გერმანიაში არსებობდა კამბრიუმდე. შედარებით გამოვლინდა გოდერძის ფლორის კარმის ფლორისადმი.
По данным Московского областного онкологического диспансера, за три года (1955—57 гг.) радикальным операциям по поводу рака желудка подверглись только 44,2% госпитализированных больных (Ю. Н. Соколов).

В. Л. Михветадзе сообщает, что с 1953 по 1955 г. в Институте онкологии АМН СССР из 486 стационарных больных с диагнозом рака желудка радикальная операция была произведена 232 (47,7%); из них у 14 больных резекция носила паллиативный характер, остальные оказались неоперабельными (52,2%).

И. Т. Шевченко приводит данные о 2276 больных, оперированных за 1954 год по поводу рака желудка в онкологических учреждениях УССР, из них пробное чревосечение и паллиативная операция были произведены 1382 больным, что составляет 60,7%.

По данным К. Д. Эристави (1951 г.), из 768 госпитализированных больных с диагнозом рака желудка оперировано 543; среди них радикальная операция произведена только 178 больным (33%).

Через факультетскую хирургическую клинику Тбилисского государственного медицинского института (завед. проф. И. К. Пипия) с 1950 по 1959 г. прошло 558 больных с диагнозом рака желудка; оперировано 402 человека, радикальная операция произведена 225 больным (55,9%), паллиативная операция и пробное чревосечение — 177 (44%). 156 больных (27,9%) оказались неоперабельными.

По данным К. П. Вепхвадзе (кафедра онкологии Тбилисского института усовершенствования врачей), из 530 госпитализированных больных с диагнозом рака желудка (1950—1960 гг.) операция была



произведена 241 больному, радикально—37,7%, паллиативно — 62,2%, неоперабельными оказались 54,5%.

Касаясь вопроса операбельности рака желудка, С. А. Холдин (1952 г.) пишет: «В среднем не более 15—20% по отношению к обращающимся за помощью и не более 33—50% принимаемых в стационары больных подвергаются радикальной операции».

Из приведенных выше, далеко не полных, данных явствует, что если на сегодня мы имеем несомненные сдвиги в сторону улучшения прижизненной диагностики рака желудка, достигаемые в 95—98% с помощью рентгенологического метода исследования, то это в основном за счет запущенных форм.

С. А. Холдин приводит результаты наблюдений над 216 больными, подвергшимся резекции желудка, где диагноз рака желудка был установлен рентгенологически с определенной достоверностью или вероятностью на 95,4%. В этой группе больных у 80% можно было обнаружить опухоль простой пальпацией. Ясно, что эти 80% не являлись результатом ранней диагностики.

Из 319 больных раком желудка, прошедших через рентгенологическое отделение Республиканской центральной клинической больницы Министерства здравоохранения Грузинской ССР за последние 10 лет, в 82% одним из основных рентгенологических признаков рака желудка являлся дефект наполнения; при этом у 65 больных наряду с довольно грубым дефектом наполнения можно было прощупать под экраном явное опухолевое образование, связанное с желудком. Большинство из этих больных оперировано; у части больных диагноз уточнен тщательным клинико-рентгенологическим исследованием и последующим наблюдением; в этой группе были больные, по клиническим признакам признанные неоперабельными.

Так как большая часть больных была с запущенными формами рака желудка, то точное определение исходной локализации на основании рентгенологических данных не представлялось возможным. Из 319 больных у 214 раковая опухоль локализовалась в антральной части желудка, у 25—в кардиальном отделе, у 70—в теле желудка.

В рентгенологическом отделении больные были направлены со следующими диагнозами: язва желудка и 12-перстной кишки (50 больных), гастрит (25 больных), холецистит (6 больных), опухоль брюшной полости (6 больных), рак печени (4 больных), рак желудка (82 больных) и без диагноза (146 больных).

Таким образом, из 319 больных раком желудка только 82 (25,7%) был поставлен правильный диагноз, а остальные 74,3% были направлены с ошибочным диагнозом и без диагноза.

Эти данные со всей очевидностью говорят о том, что диагностика рака желудка и в настоящее время находится в крайне неудовлетворительном состоянии, и ни усовершенствование оперативной техники, ни мастерство хирурга не дадут желаемого результата в борьбе против рака желудка до тех пор, пока не будет разрешен вопрос своевременного его распознавания.

Здесь идет речь не о диагностике рака желудка в самой начальной стадии его развития, что, несомненно, весьма желательно, а о выявлении опухоли в той стадии, когда процесс все еще является локализи-



ванным, местноограниченным и еще не распространился за пределы пораженного органа. Ясно, что в таких случаях хирургическое лечение рака желудка с благоприятными ближайшими и отдаленными результатами будет достижением не только высококвалифицированных, но и рядовых хирургов.

Не станем здесь приводить причины запоздалого распознавания рака желудка, так как этому вопросу в периодической медицинской печати уделено немало внимания, укажем лишь, что в целях достижения успехов в диагностике рака желудка наряду с теми мероприятиями, которые были намечены на Межреспубликанском совещании по вопросам рака и предраковых заболеваний желудка, происходившем в мае 1952 г. в Ленинграде, необходимо провести и другие. А именно: каждый больной, поступивший в больничное учреждение (в хирургическое, терапевтическое или рентгенологическое отделение) с запущенной формой рака желудка, должен стать предметом особого обсуждения. Результаты этого обсуждения должны быть доведены через соответствующие лечебные инстанции до сведения тех врачей, которые принимают участие в исследовании и лечении этих больных. Такой подход даст, с одной стороны, ценный материал по выявлению причин и истоков диагностических ошибок, с другой же, поднимет онкологическую настороженность рядовых терапевтов, хирургов и рентгенологов, к которым обычно впервые обращаются такие больные, и поневоле заставит их более углублено ознакомиться с теми достижениями, которые имеются в современной практической медицине в области диагностики и лечения этого заболевания.

Необходимо создать специальные диспансеры желудочно-кишечных заболеваний, оснащенные мощной рентгеновской аппаратурой и соответствующими лабораториями.

Эти диспансеры должны обладать штатом опытных рентгенологов, терапевтов и хирургов-консультантов. Зная о существовании таких диспансеров, практические врачи проявят большую диагностическую бдительность и своевременно будут направлять в эти учреждения больных в неясных случаях заболевания для всестороннего изучения.

Такие диспансеры, проводя широкую диспансеризацию и систематический осмотр больных с предраковыми заболеваниями желудка, могут сыграть колоссальную роль в деле выявления рака желудка в начальной стадии его развития.

Тбилисский государственный  
медицинский институт

(Поступило в редакцию 15.4.1962)

კლინიკური მედიცინა

ა. კვალაშვილი

ქუჩის კიბოს დროული ამოცნობის საკითხისათვის

რეზიუმე

შრომის საფუძვლად დაედო ქუჩის კიბოთი დაავადებული კლინიკურ-რენტგენოლოგიური შესწავლა იმ 319 ავადმყოფისა, რომლებიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გატარდნენ რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ

საავადმყოფოს რენტგენოლოგიურ განყოფილებაში. მათი უმრავლესობა გამოგზავნილი იყო რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან. ზემოაღნიშნულის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრებანი ამ დაავადების დროული გამოცნობის საქმეში.

შორსწასულ კუჭის კიბოთი დაავადებული, რომელიც მიმართავს სამკურნალო დაწესებულებას, აუცილებლად უნდა გახდეს განსაკუთრებული მსჯელობის ობიექტი. ამ მსჯელობის შედეგები ჯანმრთელობის ორგანოების სათანადო ინსტანციების საშუალებით დაყვანილ უნდა იქნეს იმ ექიმამდე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ასეთი ავადმყოფების გამოკვლევაში. ეს ერთი მხრივ მოგვცემს მცდარი ან დაგვიანებული დიაგნოსტიკის მიზეზების გამოვლინების საშუალებას, მეორე მხრივ, კი—გაამახვილებს რიგითი ექიმების (თერაპევტის, ქირურგის, რენტგენოლოგის) ონკოლოგიურ სიფხიზლეს. ისინი უფრო ღრმად გაეცნობიან თანამედროვე პრაქტიკულ მედიცინაში მოპოებულ მიღწევებს კუჭის კიბოს დიაგნოსტიკასა და მკურნალობის საქმეში.

აუცილებელია შეიქმნას კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სპეციალური დისპანსერები, რომლებიც აღიჭურვებიან მძლავრი რენტგენოდიაგნოსტიკური დანადგარებით, ლაბორატორიებითა და სათანადო შტატით. როცა ყოველ პრაქტიკოს ექიმს ეცოდინება ასეთი დისპანსერების არსებობა, ისინი გამოიჩენენ სიფხიზლეს დიაგნოსტიკის დროს და ყოველ გაურკვეველ შემთხვევაში დროულად გაგზავნიან ავადმყოფებს ყოველმხრივი შესწავლისათვის.

ამ დისპანსერების მოვალეობაში შევა კუჭ-ნაწლავის ქრონიკულად დაავადებულთა სისტემატიური აღრიცხვა და გასინჯვა. ცხადია, ეს ღონისძიება დიდ როლს შეასრულებს კიბოს დროულად ამოცნობაში.



კლინიკური მკვლელობა

თ. სიხარულიძე და თ. ლომიძე

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულთა მკურნალობის  
საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა კ. ერისთავმა 14.5.1962)

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების შესახებ ამჟამად მრავალი ლიტერატურული წყარო არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკითხი აღნიშნულ ორგანოთა ერთდროულად მრავალი წყლულის შესახებ ნაკლებადაა შესწავლილი. ამ გარემოებამ საბაბი მოგვცა შეგვეხსავლა უკანასკნელი ათი წლის კლინიკური მასალა.

ეს საკითხი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იგი აშუქებს დროულად ჩატარებული ვრცელი რეზექციის მკურნალობის აუცილებლობას; ეს კი შესაძლებელს ხდის იმ მომდევნო ვართულებათა თავიდან აცილებას, რაც შეიძლება გამოიწვიოს რეზიცირებულ კუჭში დარჩენილმა წყლულმა.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული მეტწილად ერთეულია, მაგრამ ზოგჯერ (იშვიათად) ადგილი აქვს როგორც კუჭში, ისე თორმეტგოჯა ნაწლავში ორი, სამი ან მეტი წყლულის, ან ერთდროულად ორივე ორგანოში, რამდენიმე წყლულის არსებობას.

ერთდროულად მრავალი წყლული ლიტერატურული მონაცემებით გვხვდება შემთხვევათა 10—30%-ში. თ. დეკანოზიძემ სექციურ მასალაში კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში ერთდროულად რამდენიმე წყლული ნახა 7,9%-ში. ვ. სიმონიძემ — 5%-ში. მანგოლის მონაცემებით, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის თანაარსებობას ადგილი აქვს საშუალოდ 3,5%-ში. ფიშერმა და მაკდონალდმა შეისწავლეს მიეთის კლინიკაში 1911—1945 წლებში გატარებული თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებული 45.000 ავადმყოფის ისტორია; აქედან 600 ავადმყოფში ნახეს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის თანაარსებობა (1,3%).

ჩვენს მასალაზე კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის თანაარსებობა ბევრად ნაკლებ პროცენტში აღინიშნება.

1950-დან 1961 წლამდე კლინიკაში წყლულოვანი დაავადების გამო კუჭის რეზექცია გაუკეთდა 1316 ავადმყოფს, აქედან კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ერთობლივი წყლული ნახულ იქნა 12 ავადმყოფში (0,9%).

ლიტერატურულ წყაროებიდან ჩანს, რომ ერთობლივად რამდენიმე წყლული უფრო ხშირად გვხვდება კუჭში, მის მცირე სიმრუდეზე პილორო-ანტრალურ ნაწილში.

ა. იაკოვლევიმა გამოაქვეყნა ერთობლივი წყლულის 5 შემთხვევა; აქედან ერთ ავადმყოფს კუჭის მცირე სიმრუდეზე პილორო-ანტრალურ მდებარეობაში 4 წყლული ჰქონდა, დანარჩენ 4 ავადმყოფს კი ორორი წყლული აღმოაჩინდა. აქედან ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პილორუსისა და მცირე სიმრუდის კალოზურ წყლულის არსებობას, მეორე შემთხვევაში კუჭის ანტრალურ

რი ნაწილის წინა და უკანა კედლის მკონცხავი წყალულები აღინიშნებოდა. მე-სამე შემთხვევაში კალოზური წყალულები სიმეტრიულად იყო განლაგებული კუჭის ფუძის წინა და უკანა კედელზე, მეოთხე ავადმყოფში კი ერთი წყალუი მოთავსებული იყო პილორუსთან ახლო—მცირე სიმრუდებზე, ხოლო მეორე—თორმეტგოჯა ნაწლავის დასაწყისში.

ვ. ს ა მ ს ო ნ ო ვ შ ა კუჭში ერთდროულად რამდენიმე წყალუი ნახა 2 ავადმყოფში; 5 ავადმყოფში კი ორ-ორი წყალუი შემდეგი განლაგებით: 2 შემთხვევაში ერთი წყალუი პილორულ ნაწილში და მეორე მცირე სიმრუდებზე მდებარეობდა, 2 ავადმყოფში ორივე წყალუი პილორულ ნაწილში იყო მოთავსებული; ერთ ავადმყოფში კი მცირე სიმრუდისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყალულის თანაარსებობას ჰქონდა ადგილი.

თ. დ ე კ ა ნ ო ს ი ძ ი ს სექციურ მასალაში (თბილისი) ნახული წყალუოვანი დაავადების 403 შემთხვევიდან 32 შემთხვევაში (7,9%) კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში აღმოჩნდა 2 ან 3 წყალუი; აქედან 29 შემთხვევაში (7,2%) ნახულია 2-2 წყალუი, 3 შემთხვევაში—3-3 წყალუი (0,7%). კუჭში ერთდროულად რამდენიმე წყალუი ნახულია 23 შემთხვევაში—(კუჭის წყალულის შემთხვევათა 8%), 21 შემთხვევაში—2-2 წყალუი, 2 შემთხვევაში—3-3 წყალუი. თორმეტგოჯა ნაწლავში ერთდროულად რამდენიმე წყალუი ნახულია 6 შემთხვევაში (თორმეტგოჯა ნაწლავის წყალულის შემთხვევათა 4,1%). თორმეტგოჯა ნაწლავში ნახულია მხოლოდ 2-2 წყალუი 4 შემთხვევაში (0,9%). ერთდროულად რამდენიმე წყალუი ნახულია კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში. სამ შემთხვევაში ნახულია 2-2 წყალუი, ერთ შემთხვევაში 3-3 წყალუი. წყალუი პილორუსის წინა და უკანა კედელში ლოკალიზებოდა 10 შემთხვევაში, პილორუსში და სხეულში—3 შემთხვევაში, პილორუსში და კარდიაში—2 შემთხვევაში. სხეულში წყალუი ნახულია 5 შემთხვევაში. იგი კუჭის წინა და უკანა კედელში მდებარეობდა. სხეულსა და კარდიაში წყალუი 2 შემთხვევაში აღმოჩნდა მცირე სიმრუდებზე განლაგებული, ხოლო ერთ შემთხვევაში პილორუსში, სხეულში და კარდიაში. თორმეტგოჯა ნაწლავის წყალულის ყველა შემთხვევა ზემო პორიზონტალურ ტიპში წინა და უკანა კედელში ლოკალიზებოდა.

ერთობლივად რამდენიმე წყალუის 32 შემთხვევიდან მწვავე იყო 4 შემთხვევაში.

ჩვენს კლინიკაში 10 წლის განმავლობაში კუჭის რეზექცია გაუკეთდა 1.318 ავადმყოფს. (მაშაკაცი—1.036, ქალი—280). კუჭის რეზექცია თორმეტგოჯა ნაწლავის წყალუის გამო გაუკეთდა 1.221 ავადმყოფს, ხოლო კუჭის წყალუის შედეგად—95 ავადმყოფს. კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში ერთდროულად რამდენიმე წყალუი ჰქონდა 12 ავადმყოფს (0,9%); აქედან 10 მაშაკაცი, ხოლო 2 ქალი იყო (ასაკის მიხედვით: 20 წლამდე—1 ავადმყოფი, 20—40 წლისა—6, 40 წლის ზემოთ—5). დაავადების ხანგრძლივობა 2-დან 14 წელს შეადგენდა. პერიტონეულ სისხლში, გარდა ერთი შემთხვევისა, არავითარ პათოლოგიას არ ჰქონდა ადგილი; ერთ ავადმყოფს კი კუჭიდან ხშირი სისხლიანი პირღებინების გამო მეორადი ანემიის ნიშნები ჰქონდა გამოხატული. შარდში არცერთ ავადმყოფს ცვლილებები არ აღინიშნებოდა.

კუჭის წვენი გამოკვლეულ იქნა 11 შემთხვევაში (ევალდ-ბუჟასის საცდელი საუზმის მიცემის შემდეგ). ერთ ავადმყოფზე, კუჭიდან ხშირი სისხლიანი პირღებინების შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, კუჭის წვენის შესწავლა არ შეეძლო. თავისუფალი მარილები და სეროზო მჟავიანობა 9 ავადმყოფში სორმალური იყო. 2 შემთხვევაში კუჭის წვენის მჟავიანობის მომატებას ჰქონდა ადგილი. ოპერაციამდე რენტგენოლოგიური გამოკვლევისას

კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავის ერთობლივი წყლული ნახულ იქნა 4 ავადმყოფში. ყველა ავადმყოფს, გარდა ორისა, ჩატარებული ჰქონდათ კონსერვატიული მკურნალობა. 9 ავადმყოფს ოპერაცია გაუკეთდა ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ, ხოლო სამს—სპინალური გაუტკივრებით. 4 ავადმყოფს 2-2 წყლული აღმოაჩნდა მცირე სიმრუდესი, ბილორუსთან ახლო, ერთს—მცირე სიმრუდესი 3 წყლული ჰქონდა (ერთი—მცირე სიმრუდის შუა ნაწილში და ორი—სუბკარდიალურად). ერთ ავადმყოფს ერთი წყლული მცირე სიმრუდის სუბკარდიალურ ნაწილში ჰქონდა, ხოლო მეორე—ანტრალურ ნაწილში. ერთ ავადმყოფს—ერთი წყლული მცირე სიმრუდის სუბკარდიალურ ნაწილში, ხოლო მეორე—თორმეტგოჯა ნაწლავში ჰქონდა, სამ ავადმყოფს თითო წყლული აღმოაჩნდა ბილოროდუოდენალურ ნაწილში, ხოლო მეორე—თორმეტგოჯა ნაწლავში. ერთ ავადმყოფს—ერთი წყლული თორმეტგოჯა ნაწლავში, ხოლო მეორე—ბილოროდუოდენალურ ნაწილში აღმოაჩნდა; ერთდროულად რამდენიმე წყლული კი—კუჭის ფუნდალურ ნაწილში. ერთ ავადმყოფს აღმოაჩნდა თორმეტგოჯა ნაწლავის მკოცნავი წყლულები.

ამგვარად, 2-2 წყლული აღმოაჩნდა 10 ავადმყოფს, ერთდროულად რამდენიმე წყლული კი—2-ს.

2-2 წყლული კუჭში აღმოაჩნდა 6 ავადმყოფს: თორმეტგოჯა ნაწლავში 1 შემთხვევაში, ხოლო ერთდროულად კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში — 3 შემთხვევაში. ერთს თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის გარდა კუჭში აღმოაჩნდა რამდენიმე წყლული, ერთ ავადმყოფს კუჭში სამი წყლული ჰქონდა. თორმეტგოჯა ნაწლავში ყველა წყლული ზემო პორიზონტალური ტოტის კედელში მდებარეობდა.

8 ავადმყოფს გაუკეთდა კუჭის ვრცელი რეზექცია, 4-ს კი—სუბტოტალური, 11 შემთხვევაში წარმოებულ იქნა კუჭის რეზექცია ბილორტის მეორე წიქსით წყლულის ამოღებით, ხოლო ერთ შემთხვევაში (კუჭის სუბტოტალური რეზექციისას) — პოლია-რაზელის წესით. 10 ავადმყოფი გაიწერა კლინიკურად განკურნებული, 2—გარდაიცვალა: ერთი—შოკის შედეგად ოპერაციიდან 7 საათის ხოლო მეორე—ოპერაციიდან 6 დღის შემდეგ პერიტონიტის გამო.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ერთობლივი წყლული უმეტეს შემთხვევაში რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს გამოცდილი რენტგენოლოგის მიერაც კი გამოთვცნობი რჩება. ამიტომ ქირურგმა ოპერაციის დროს გულმოდგინედ უნდა დაათვალიეროს კუჭის სეროზული საფარი და ლაპროფანი გარსი, რაც მას საშუალებას მისცემს სწორად განსაზღვროს საკითხი კუჭის რეზექციის სიფართის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთდროულად რამდენიმე წყლულის დროს, რაც წინასწარ არ იყო დიაგნოსტირებული. კუჭის რეზექციის წარმოებისას შესაძლებელია მოშორებული არ იქნეს და რეზექციებულ კუჭში დარჩენილმა წყლულმა პოსტოპერაციულ პერიოდში მოსალოდნელია შესწორება არ განიცადოს. ეს აპირობებს მისთვის დამახასიათებელ კლინიკურ და პათოლოგიურ-ანატომიურ სიმპტომოტოკომპლექსის აღდგენას.

შუუხორციელები წყლულის კლინიკური სურათი, რაც ოპერაციიდან სხვადასხვა დროს (რამდენიმე თვის ან წლის) გავლის შემდეგ შეიძლება კვლავ განვითარდეს, იგივეა, რაც ახასიათებდა ოპერაციამდე კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს. ამ სიმპტომებს ზოგჯერ რეზექცირებული კუჭის ორგანული და ფუნქციური დაავადებაც ემატება. ასეთ შემთხვევაში კლინიკური სურათი უფრო მეტად მრავალფეროვანი ხდება და, აქედან გამომდინარე, დიაგნოსტიკაც რთულდება. ამას გარდა, შუუხორციელებლმა წყლულმა შემდეგში შეიძლება მოგვეცეს ყველა ის გართულება, რაც დამახასიათებელია საერთოდ წყლულოვანი დაავადებისათვის.

მრავალი ქირურგი რეზექციის შემდეგ წყლულის რეციდივსა და მასთან დაკავშირებით სწვადასხვა გართულებას, ოპერაციის წარმოებისას დაშვებული შეცდომით ხსნის. მათი აზრით, საქმე შეეხება ოპერაციის დროს შეუზღვევლ და დარჩენილ წყლულს. ფინსტერერი, რომელიც ვრცელი რეზექციის მომხრეა, აღნიშნავს, რომ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ერთობლივი წყლულის არსებობისას ასეთი კუჭის ვრცელი რეზექციით შესაძლებელია წყლულების მოშორება და რომ რეზექცია გამართლებული არ იქნებოდა, თუ რეზექცირებულ კუჭში წყლულს დაერთობდა.

რეზექციის შემდეგ კუჭში დარჩენილი შეუზღვეველი გართულებული წყლულები ოპერაციის ჩვენებად ითვლება; განმეორებითი ოპერაცია კი ტიპნიკურად ძნელია და სიკვდილიანობის დიდ პროცენტს იძლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი კუჭის რეზექციის წარმოებას უნდა გვახსოვდეს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ერთობლივი წყლულის არსებობა. კუჭი გულმოდგინედ უნდა იქნეს დათვალეირებული და წყლულების არსებობისას უნდა იქნეს ვრცელი რეზექცია, რათა თავიდან ავიცილინოთ რეზექცირებულ კუჭში წყლულის დატოვება და მასთან დაკავშირებით წყლის რეციდივი მისთვის დამახასიათებელი გართულებებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 12.5.1962)

## КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА

Т. С. СИХАРУЛИДЗЕ и Т. А. ЛОМИДЗЕ

### К ВОПРОСУ ЛЕЧЕНИЯ МНОЖЕСТВЕННЫХ ЯЗВ ЖЕЛУДКА И ДВЕНАДЦАТИПЕРСТНОЙ КИШКИ

#### Резюме

Вопросы о множественных язвах желудка и двенадцатиперстной кишки освещены в литературе недостаточно. Это обстоятельство побудило нас изучить материал клиники по этому вопросу за последние десять лет.

С 1950 по 1961 год в клинике госпитальной хирургии лечебного факультета Тбилисского государственного медицинского института по поводу язвенной болезни произведена резекция желудка 1316 больным, множественные язвы желудка и двенадцатиперстной кишки найдены у 12 больных, что составляет 0,9%, из них 10 мужчин и 2 женщины.

До операции рентгенологически одновременно в желудке и двенадцатиперстной кишке язвы обнаружены только у четырех больных. У четырех больных было по 2 язвы на малой кривизне; у одного — три язвы на малой кривизне. У следующего исследуемого нами больного одна язва располагалась в антральной части, а другая — в субкардиальной части желудка на малой кривизне. У седьмого больного одна язва находилась в субкардиальной части малой кривизны, а другая — в двенадцатиперстной кишке. У троих больных было обнаружено по одной язве в пилорoduodenальной части и двенадцатиперстной кишке. У од-



ного больного по одной язве имелось в пилородуоденальной части и двенадцатиперстной кишке и одновременно несколько язв было в фундальной части желудка. У двенадцатого больного обнаружены целующиеся язвы двенадцатиперстной кишки.

Всем больным следана обширная резекция желудка по Бильрот-II, из них двое умерли. Множественные язвы желудка и двенадцатиперстной кишки при рентгенологическом исследовании в большинстве случаев остаются неустановленными, поэтому хирург во время операции должен внимательно осмотреть серозный покров желудка и слизистую оболочку, чтобы не упустить наличия язвы. В том случае, если имеется одновременно несколько язв и они предварительно не диагностированы, то при резекции желудка язвы могут быть не удалены и в послеоперационном периоде могут не зажить, это обуславливает восстановление характерного для язвы клинического симптомокомплекса.

Таким образом, язва, оставшаяся в желудке после резекции, незажившая и осложненная, является показанием к операции, а вторичная операция технически сложна и дает большой процент смертности.

Исходя из вышесказанного, при резекции желудка нужно всегда помнить о возможности наличия множественных язв желудка и двенадцатиперстной кишки. Желудок должен быть внимательно осмотрен, а при наличии множественных язв желателно произвести обширную резекцию желудка, чтобы избежать оставления язвы в резецированном желудке, а в связи с этим и рецидива язвы со свойственными ему осложнениями.



კლინიკური გაციონა

ბ. ჩახავაძე, თ. ბუჯინაშვილი, ბ. კინტარია

**ნაყოფის მდგომარეობის კლინიკური შეფასებისათვის პრაქტიკულ მეთოდში დღემდე სარგებლობენ მხოლოდ აუსკულტაციით. აუსკულტაციის მეთოდები ვეიან ავლენენ ნაყოფის კარდიალურ ციკლში მომხდარ ცვლილებებს; აღნიშნულ ცვლილებათა ნაადრევი გამოვლინება კი აუცილებელია სათანადო მკურნალობის დროულად ჩატარებისათვის. დღეისათვის გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის რეგისტრაციისათვის მოწოდებულია ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფია.**

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. ტატიშვილმა 20.6.1962)

ნაყოფის მდგომარეობის კლინიკური შეფასებისათვის პრაქტიკულ მეთოდში დღემდე სარგებლობენ მხოლოდ აუსკულტაციით. აუსკულტაციის მეთოდები ვეიან ავლენენ ნაყოფის კარდიალურ ციკლში მომხდარ ცვლილებებს; აღნიშნულ ცვლილებათა ნაადრევი გამოვლინება კი აუცილებელია სათანადო მკურნალობის დროულად ჩატარებისათვის. დღეისათვის გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის რეგისტრაციისათვის მოწოდებულია ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფია.

ნაყოფის ელექტროკარდიოგრამა პირველად 1906 წ. რეგისტრირებულია კრემერის [1] მიერ დედის ელექტროკარდიოგრამაზე ნადების სახით. მას შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი მკვლევარი ცდილობდა მიეღო ნაყოფის სრულყოფილი ელექტროკარდიოგრამა [2].

აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა. შემუშავებულ იქნა სხვადასხვა მეთოდი ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფიისათვის [3, 4].

მკვლევართა მიერ მოწოდებული მეთოდები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:


1. ორსული ქალის მუცლისწინა კედელს ყოფენ რამდენიმე ზონად და ამ ზონებში ეჭებენ წიბრილებს, სადაც დედის ელექტროკარდიოგრამის კომპლექსებს შორის ნადების სახით შესაძლებელი ხდება ნაყოფის QRS კომპლექსის ჩაწერა;

2. ერთი ელექტროდი შეყავთ საშვილოსნოში და ედება ნაყოფზე ელექტროდის ფიქსაციისა და ზუსტი ორიენტაციის გარეშე, ხოლო მეორე ელექტროდი თავსდება დედის მუცლის წინა კედელზე.

არცერთი აღნიშნული მეთოდი არ იძლევა ნაყოფის სრულყოფილი, დედის ელექტროკარდიოგრამისაგან თავისუფალ ელექტროკარდიოგრამის მიღების შესაძლებლობას, რის გამოც შეუძლებელია მიღებული მრუდების ელექტროფიზიოლოგიური ინტერპრეტაცია, რასაც თვით მკვლევარებიც აღნიშნავენ.



1961 წლიდან ჩვენ შევიმუშავეთ მშობიარობის პროცესში ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფიის ორიგინალური მეთოდი, რაც შემდეგში მდგომარეობს (იხ. სურ. 1).



სურ. 1

დიელექტრიკული ნივთიერებისაგან დამზადებულ ორ პატარა ხუფში ჩასმულია ვერცხლის ელექტროდი. ელექტროდი პოლიეთილენის წვრილ მილში გატარებული გამტარების საშუალებით უერთდება ელექტროკარდიოგრაფს, ხოლო თვით ხუფი იმავე პოლიეთილენის მილით უკავშირდება ვაკუმაპარატს. ელექტროდების ნაყოფის თავზე ფიქსაციისათვის საკმარისია პაერის გაიშვითება ვერცხლისწყლის სვეტის 100 მმ-მდე (მეთოდიკა წინასწარ, ექსპერიმენტულად შემოწმებულ იქნა ცხოველებზე).

სამეანო მაშებიტა და ვაკუმექსტრაქტორით ოპერაციის წარმოების დროს ნაყოფის ელექტროკარდიოგრამის ცვლილებების შესწავლის მიზნით შევიმუშავეთ შემდეგი მეთოდიკა.

1. დიელექტრიკული ნივთიერებისაგან დამზადებულ სამეანო მაშების ტოტებში მონტირებულ იქნა ვერცხლის ელექტროდები, რომლებიც იზოლირებულ-

ლი გატარების საშუალებით უკავშირდება ელექტროკარდიოგრაფს (სურ. 2). ამ გზით შესაძლებელი შეიქნა შეგვესწავლა ნაყოფის ეკგ ცვლილებები მამების დადების მომენტში, მათი ჩაკეტივისას, ტრაქციებსა და პაუზებში.




სურ. 2

2. ვაკუმექსტრაქტორის ხუფში, რომელიც ედება ნაყოფის თავზე, მონტირებულია ვერცხლის ელექტროდი ზამბარიან საყრდენზე, ხუფისაგან იზოლირებულად. მეორე ელექტროდი მოთავსებულია დიელექტრიკულ პატარა ხუფში და პოლიეთილენის მილით უკავშირდება ვაკუმექსტრაქტორის ხუფს. აღნიშნული ელექტროდებიდან გატარები დაკავშირებულია ელექტროკარდიოგრაფთან (იხ. სურ. 3).

ჩვენ მიერ კონსტრუირებული ელექტროდები და შემუშავებული მეთოდიკა საშუალებას იძლევა მშობიარობის დროს ნებისმიერ მომენტში მივიღოთ ნაყოფის სრულყოფილი ელექტროკარდიოგრაფა, რომელზედაც კარგად არის გამოხატული როგორც P, QRS, T კბილები, ისე PQ და ST ინტერვალები. კარდიოგრაფა თავისუფალია ყოველგვარი ნადებებისაგან და შემადგენელი

კომპონენტები ისევე მკაფიოდ არის გამოხატული, როგორც მოზრდილი ადამიანის ელექტროკარდიოგრამის სტანდარტულ განხრებში (იხ. სურ. 4).

აღნიშნული მეთოდით ჩვენ შევისწავლეთ ნაყოფის ელექტროკარდიოგრამის ცვლილებები ნორმალური მშობიარობის დროს 50 შემთხვევაში, ორსულთა ნეფროპათიის დროს მშობიარობისას — 25 შემთხვევაში, სამეანო მაშებისა და ვაკუმექტრაქტორის ხმარების დროს — 20—20 შემთხვევაში.




სურ. 3

ნაყოფის მკაფიო ელექტროკარდიოგრამა მიღებულ იქნა ყველა შემთხვევაში. ნაყოფის ეკგ კბილების მიმართულება უმრავლეს შემთხვევაში ემთხვეოდა დედის ეკგ კბილების მიმართულებას; 20 შემთხვევაში კი ქონდა საწინააღმდეგო მიმართულება. ჯდომით წინამდებარეობის 10 შემთხვევიდან 6 შემთხვევაში ნაყოფის ეკგ კბილები ემთხვეოდა დედის ეკგ კბილების მიმართულებას, 4 შემთხვევაში კი ქონდა საწინააღმდეგო მიმართულება.

ამრიგად, ნაყოფის წინამდებარე ნაწილის დადგენაში ელექტროკარდიოგრამას არ შეუძლია შეასრულოს წამყვანი როლი. ამავე აზრს აზიარებს ზოგიერთი სხვა მკვლევარიც [4].

მშობიარობის პროცესში ნაყოფის ეკგ-ს კბილებისა და ინტერვალების საშუალო სიდიდეები, ჩვენი მონაცემების მიხედვით, ასეთია: PQ—0,08—0,10; QRS—0,06—0,08; P—1—2; Q—0—2 მმ; R—8—12 მმ; S—2—7 მმ, T—2 მმ; QRST—0,2—0,25. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ნაყოფის ეკგ-ზე აღინიშნება rS კომპლექსი, სადაც S აღწევს 8—10 მმ-ს.

შესწავლილ 50 შემთხვევიდან, სადაც 30 იყო პირველი მშობიარე, ხოლო 20 განმეორებით — ყელის გახსნის პერიოდში, როდესაც ნაყოფის თავი ფიქსირებულია მენჯის შესავალთან ან დგას მენჯის შესავალში მცირე სეგმენტით.



სურ. 4. *a*—დედის ელექტროკარდიოგრაფი, *ბ*—ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფი ნაყოფის თავის მენჯის შესავალში დგომის დროს (ნორმალური მშობიარობა), *გ*—ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფი თავის ძვლოვან მენჯში გაელის დროს (ნორმალური მშობიარობა), *დ*—ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფი თავის ძვლოვან მენჯში გაელის დროს (ორსულთა ნეფროპათია), *ე*—ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფი კინთვების დროს (ნორმალური მშობიარობა), *ფ*—ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფი კინთვების დროს, ორსულთა ნეფროპათია, *გ*—ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფი მამების დადებამდე, *ზ*—ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფი მამებით ტრაქციის დროს, *ი*—ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფი ვაკუუმექსტრაქციის დადებამდე, *ი*—ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფი ვაკუუმექსტრაქციის დროს

სამშობიარო მოქმედებასთან დაკავშირებით ელექტროკარდიოგრამაზე ცვლილებები არ აღინიშნებოდა არცერთ შემთხვევაში.

ნაყოფის თავის გავლისას ძვლოვან მენჯის ვიწრო ნაწილში ეკვ-ზე აღინიშნებოდა T კბილის ზომიერად გამოხატული დეპრესია, რაც მაჩვენებელი იმისა, რომ ამ დროს ნაყოფის გულის კუნთი რამდენადმე განიცდის ჰიპოქსიას. აღნიშნული ცვლილებები აღინიშნებოდა ჩვენს მასალაზე 30 პირველადი მშობიარედან. 22 შემთხვევაში და 20 განმეორებითი მშობიარობიდან 10 შემთხვევაში. ჭინთვების დროს, განსაკუთრებით ნაყოფის თავის შეჭრისა და გამოჭრის მომენტში, 50-დან 26 შემთხვევაში აღინიშნებოდა დაბალვოლტაჟიანი ეკვ, დაბალი, ზოგჯერ კი წაშლილი T კბილი კარდიალური ციკლის განგაღძლივება  $\pm 0,06-0,8$  ფარგლებში. 16 შემთხვევაში კარდიალური ციკლის ხანგრძლივობა იცვლებოდა  $\pm 0,02-0,04$ -ის ფარგლებში, ხოლო 8 შემთხვევაში აღინიშნებოდა გულისცემის შენელება 100-მდე. ამრიგად, ჩვენი მასალის მიხედვით ჭინთვების დროს ნაყოფის გულისცემას აქვს ტენდენცია შენელებისაკენ.

ჩვენ შევისწავლეთ 25 მშობიარე ნეფროპათიის კლინიკურად გამოხატული ნიშნების დროს: შეშუპება, ალბუმინურია, ჰიპერტონია; მათ შორის 10 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მყარ ნეფროპათიას, რომელიც მიუხედავად წინასწარ ჩატარებული მკურნალობისა, არ გამოსწორდა. ყველა 25 შემთხვევაში ნაყოფის ელექტროკარდიოგრამისათვის დამახასიათებელი იყო სამშობიარო მოქმედების დასაწყისშივე მკაფიოდ გამოხატული ჰიპოქსიის სურათი. ნაყოფის თავის ძვლოვანი მენჯის ვიწრო ნაწილში გავლისას სამშობიარო შეტევების დროს ყველა შემთხვევაში აღინიშნებოდა კარდიალური ციკლის ხანგრძლივობის ცვლილებები  $\pm 0,04$ -ის ფარგლებში. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ნაყოფის გულისცემა აუსკულტაციით ნორმის ფარგლებშია, ეკვ-ზე ვითარდება ცვლილებები, რომლებიც მიგვითითებენ, რომ ნაყოფი განიცდის ჟანგბადის მნიშვნელოვან ნაკლოვანებას. ეს განსაკუთრებით საგრძნობი ხდება ჭინთვების დროს. კარდიალური ციკლის განგაღძლივება და დაბალვოლტაჟიანი T კბილი გამოხატული იყო მყარი ნეფროპათიის ყველა 10 შემთხვევაში. ჩვენ მიერ შესწავლილი 25 შემთხვევიდან 5 შემთხვევაში აღინიშნებოდა მშობიარობის პროცესში კლინიკურად გამოხატული ნაყოფის ასფიქსია. ამ დროს ნაყოფის ელექტროკარდიოგრამაზე აღინიშნებოდა თავის ტვინის დრმა ჰიპოქსიისათვის დამახასიათებელი ცვლილებები: ბრადიკარდია, ზოგჯერ კი წაშლილი T კბილი, არითმია, დასაწყისში მაღალვოლტაჟიანი ეკვ (გულის კუნთის ავზნებადობის ვადლიერება), რომელიც შემდეგ იცვლებოდა ალტერნაციული, დაბალვოლტაჟიანი ეკვ-თი.

ჩვენ აგრეთვე შევადარეთ ნაყოფის ელექტროკარდიოგრამის ცვლილებები სამეანო მაშებისა და ვაკუმექსტრაქტორის ხმარების დროს (20-20 შემთხვევა).

ელექტროკარდიოგრამას ვიღებდით მაშებისა და ვაკუმექსტრაქტორის დადებამდე, მაშების ჩაყეტვისა და ვაკუმის ხუფში ჰაერის გაიშვითების დროს, ტრაქციების დროს და ტრაქციებს შორის პაუზებში. დაკვირვებამ გვიჩვენა,

რომ მაშების დადების დროს ნაყოფის ელექტროკარდიოგრამაზე ცვლილებები კითარდება ძლიერ სწრაფად მაშების ჩაქცევიდან რამდენიმე წამში (განსაკუთრებით ნეფროპათიისა და ასფიქსიის დროს). ცვლილებები კიდევ უფრო ღრმავდებოდა ტრაქციებთან დაკავშირებით. ნაყოფის ეკგ ღრმა ცვლილებებს განიცდიდა მაშინ, როდესაც მაშები ედებოდა ასფიქსიის გამო. ასფიქსიის სურათი, რომელიც აღინიშნებოდა მაშების დადებამდე, მაშების დადების შემდეგ კიდევ უფრო ღრმავდებოდა.

10 შემთხვევაში დედის მხრივ ჩვენებით ნახმარი იყო ღრუს მაშები. ნაყოფის ეკგ-ზე აღინიშნებოდა შემდეგი ცვლილებები: სინუსური ბრადიკარდია. ზოგჯერ მკვეთრად გამოხატული (55—60) არითმია, მეტწილად ექსტრასისტოლური, QRS კომპლექსის ამპლიტუდის დაქვეითება, დეფორმირული R კბილი, მაღალი T, ზოგჯერ ღრმა S კბილი. ორ შემთხვევაში აღინიშნა მკვეთრი ტაქიკარდია. გულისცემა — 180—200; გამოსავლის მაშების ხმარებისას 6 შემთხვევაში აღინიშნებოდა კარდიალური ციკლის გახანგრძლივება 0,08—0,11, ST სეგმენტის ელევაცია, დაბალი T კბილი.

4 შემთხვევაში ეკგ-ზე აღინიშნა მხოლოდ კარდიალური ციკლის ხანგრძლივობის შემცირება 0,02-ით. ეკგ კბილები ცვლილებებს არ განიცდიდნენ.

ვაკუმექსტრაქტორით ნაყოფის გამოყვანის დროს ნაყოფის ეკგ-ზე არცერთ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია კარდიოგრამის კბილების დეფორმაციას და ST-სეგმენტის ცვლილებებს. აღინიშნებოდა მხოლოდ კარდიალური ციკლის ხანგრძლივობის შეცვლა  $\pm 0,04$ -ის ფარგლებში. 6 შემთხვევაში აღინიშნებოდა დაბალი T კბილი. ნაყოფის თავის მენჯის ღრუში დგომისას კარდიოგრამაზე იყო ისეთივე ცვლილებები, როგორც მაშინ, როდესაც ვაკუმი ედებოდა მენჯის გამოსავალში. 5 შემთხვევაში ვაკუმექსტრაქტორი დადებულ იქნა ნაყოფის თავის მენჯის შესავალში მცირე ან დიდი სეგმენტით დგომისას (სამაღლო მაშების შესაბამისად). ნაყოფის ელექტროკარდიოგრამაზე აღინიშნებოდა ზომიერად გამოხატული სინუსური ტახიკარდია 160—166, მაღალი T კბილი. ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ბრადიკარდიას, რითში — 100.

ნაყოფის ასფიქსიის გამო ვაკუმექსტრაქტორი ნახმარი იქნა 5 შემთხვევაში. ეკგ-ზე ნაყოფის მდგრადობის შესამჩნევ გაუარესებას ადგილი არ ჰქონია.

## დასკვნები

1. ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფიის ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდი შესაძლებლობას იძლევა ყოველ მომენტში ჩაეწერათ ნაყოფის იზოლირებული, სრულყოფილი ეკგ ყველა დამახასიათებელი კომპონენტით. მიღებული მრუდი მორფოლოგიური და ელექტროფიზიოლოგიური გარჩევის შესაძლებლობას იძლევა.

2. ნორმალური მშობიარობის დროს ნაყოფის ეკგ-ზე აღინიშნება ზომიერად გამოხატული ჰიპოქსიის მოვლენები ნაყოფის თავის ძეალოვანი მენჯის ვიწრო ნაწილში დგომისა და შეჭრა-გამოჭრის დროს.



3. ორსულთა ნეფროპათიის დროს, მშობიარობის დასაწყისშივე ნაეკტროკარდიოგრაფიაზე აღინიშნება ჰიპოქსიის სურათი, რაც სამშობიარო მოქმედების გაძლიერებასთან ერთად კიდევ უფრო ღრმავდება.

4. ნაყოფისათვის ვაკუმექსტრაქტორი სამეანო მაშებთან შედარებით წარმოადგენს უფრო დამზოგავ და ნაკლებად ტრავმულ ინსტრუმენტს.

5. ნაყოფის ასფექსიის ჩვენებით მშობიარობის ოპერაციული დამთავრებისას სამეანო მაშები უნდა შეიცვალოს ვაკუმექსტრაქტორით, ვინაიდან სამეანო მაშები კიდევ უფრო აღრმავებს ასფექსის მდგომარეობას.

ექიმთა დახელოვნების თბილისის

სახელმწიფო ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვლიდა 20.6.1962)

## КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА

К. В. ЧАЧАВА, О. Н. БУДЖИАШВИЛИ, П. И. КИНТРАИА

### ЭЛЕКТРОКАРДИОГРАММА ПЛОДА В ПРОЦЕССЕ РОДОВ В НОРМЕ И ПАТОЛОГИИ

#### Резюме

Нами разработан оригинальный метод электрокардиографии плода в процессе родов, который дает возможность регистрировать ЭКГ без наводки материнской ЭКГ. В кардиограмме четко выражены зубцы P, QRS, T и интервалы PQ и ST.

Для изучения изменения ЭКГ плода при наложении щипцов и вакуум-экстрактора электроды вмонтировались в указанные инструменты. Наблюдения показали, что при прохождении головки в узкой части таза и при врезывании и прорезывании головки плод находится в состоянии гипоксии, что особенно резко выражено при нефропатии. Щипцы более травмируют головку плода, чем вакуум-экстрактор. При асфиксиях более бережным для плода является вакуум-экстрактор, которым по возможности должны быть заменены акушерские щипцы.

#### დავითიანური ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. V. M. Cremer. Über die direkte Ableitung der aktionsströme des menschlichen Hersens vom Oesophagus und über das Elektrokardiogramm des fötus Muenchener medizinische wochenschrift. April, 1906, 811—813.
2. S. D. Larks and R. Abdul-Karim. The normal fetal electrocardiogram, with a proposed system of standardized terminology. JRE Transactions on bio-medical electronics. April, 1960, 136—139.
3. V. Luca et M. Simionesco. L'électrocardiographie foetale monopolaire intra-uterine au cours de la grossesse et du travail. Gynecologie et obstétrique, 57, № 5, 1958.
4. Cl. Sureau et R. Trocellier. Un problem technique d'électrocardiographie foetale. Gynecologie et obstétrique, 60, № 1, 1961.

კლინიკური მედიცინა

ა. ლორთქიფანიძე

მალთა რბალების ღიაობის ცისტური ფორმის  
საქონისებრი

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ბ. ქავთარაძემ 13.5.1962)

ძველ და შუა საუკუნეებში მალთა რკალების ღიაობის ცისტური ფორმის მკურნალობას სხვადასხვა მეთოდებით აწარმოებდნენ. მორტონს თიაქრის პარკში შეყავდა ხსნარი, რომელიც იწვევდა შეზორცებების განვითარებას. აღნიშნული ხსნარის შეყვანის შედეგად, არაიშვიათად აღდილი ჰქონდა ციანოზის განვითარებას, ზოგად კრუნჩხვებს, მჯავის სისუსტეს. ყოველივე ხსენებულის ფონზე ვითარდებოდა უეცარი სიკვდილი, ამის გამო ქირურგთა უმრავლესობა აღნიშნულ წესს აღარ მიმართავდა. თიაქრის პარკში შეყავდათ აგრეთვე ალკოჰოლი, წყალი, კალიოდატა.

ბ ე ლ მ ა მოგვაწოდა თიაქრის პარკის ირგვლივ ელასტიური ლიგატურისა და მომჭერის დადების მეთოდი (უსისხლო მეთოდი), მაგრამ ეს მეთოდი საშიშია, რადგან შესაძლებელია მოხდეს ზურგის ტვინის ან ნერვული ღეროების გატყულება. გარდა ამისა, აწარმოებდნენ თიაქრის პარკის პუნქციას.

ყველაზე უბრალო მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს კოლოდიუმით გაყვნილი ნახვევისა და არტანის ხმარება. მომდევნო წესი უახლოვდება სისხლიან მეთოდს, რაც მდგომარეობს თიაქრის პარკის გაკვეთასა და შიგთავსის მოცილებაში.

ყველა ზემოთ ხსენებული მეთოდი მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობისაა და მას საღვთისოდ არავითარი პრაქტიკული ღირებულება არა აქვს.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, ანტისეპტიკის განვითარების ეტაპზე, ქირურგებს საშუალება მიეცათ ეწარმოებინათ თიაქრის პარკის გაკვეთა, შიგთავსის მოცილება და პარკის კედელზე ნაკერის დადება.

გარდა ამისა, აწარმოებდნენ თიაქრის პარკის ამპუტაციას კანზე ნაკერების დადებით. მაგრამ ზემოხსენებულის გამო აღდილი ჰქონდა სწრაფი რეციდივის განვითარებას, რის შემდეგაც ქირურგებმა თავიანთი აზრი წარმართეს დეფექტის ძვალ-პლასტიკური დახურვისაკენ.

მ. გ. ო. ბ. ე. ნ. კ. ო. მ. [1] გააკეთა ოპერაცია კომბინირებული მანკის დროს (მალთა რკალების ღიაობის ცისტური ფორმისა და თავის ტვინის წყალმანკის დროს). ოპერაციის შემდეგ თავის გარშემოწერილობა შემცირდა, ამიტომ, მისი აზრით, ასეთი სახის გართულება არ ჩაითვლება აბსოლუტურ უკუჩვენებად.



ჩვენს კლინიკაში ჩატარდა ოპერაცია ზემოთ ხსენებული კომბინირებულ მანკის დროს, მაგრამ ოპერაციის შემდეგ თავის გარშემოწერილობა არ მომეტებულა.

ქირურგიული მკურნალობის მიზანია გართულებების თავიდან აცილება და შეძლებისდაგვარად დაკარგული ფუნქციის აღდგენა. ამ თანდაყოლილი მანკის ღია ფორმის მკურნალობა მარტო ნეიროქირურგების საქმე როდია. ასეთი ბავშვები, ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგაც, უნდა იმყოფებოდნენ სხვადასხვა სპეციალისტების (ორთოპედების, პედიატრების, ფიზიოთერაპევტებისა და უროლოგების) მეთვალყურეობის ქვეშ.

ასეპტიკის განვითარების ეტაპზე მალთა რკალების ღიაობის ცისტურა ფორმის ოპერაციულმა მკურნალობამ შედარებით წარმატებას მიაღწია.

ლიტერატურული მონაცემებით, ხსენებული მანკის ოპერაციული მკურნალობის მომხრეა მრავალი მკვლევარი.

რაც შეეხება დეფექტის დახურვას, მკვლევართა ერთი ჯგუფი [2, 3] აწარმოებდა რბილი ქსოვილებით, ზოგი მათგანი (გერმანელი ქირურგები) კი კმაყოფილებოდნენ მხოლოდ თიაქრის პარკის ამოკვეთითა და ზურგის ტვინის გარსებზე ნაკერების დადებით; იმ დროს, როცა ზოგიერთი რუსი ქირურგი ილტვოდა ანატომიური ურთიერთდამოკიდებულების აღდგენისაკენ და ხერხემლის არხის დახურვის მიზნით იყენებდა ძვალ-პლასტიკურ მეთოდს (ა. ბ. ბ. რ. ვ. პ. დ. ი. ა. კ. ო. ნ. ვ. ი. ვ. ზ. ე. ნ. ე. კ. ო. [4, 5]).

ი. ს. ვ. ი. დ. ლ. ე. რ. ი. [6] დეფექტის დახურვას გვირჩევენ პლასტმასით — კაპროლაქტამისა და პოლიეთილენის გამოყენებით. ამ მიმე მანკის თავიდან მოცილება მხოლოდ რადიკალური ოპერაციული მეთოდითაა შესაძლებელი, რადგან ლიტერატურული მონაცემები უოპერაციოდ სიკვდილიანობის დიდ პროცენტზე მიგვიჩვენებენ. უკანასკნელი კი შეიძლება აიხსნას ანტიბიოტიკების უქონლობით [7].

მანკის ღია ფორმის ოპერაციულ მკურნალობას აქვს როგორც ჩვენება, ისე უკუჩვენება. წინააღმდეგჩვენებად თვლიან: თავის ტვინის წყალმანკს, ქვედა კიდურებისა და სფინქტერების (შარდის ბუშტი და სწორი ნაწლავი) დამზლას [6, 8, 9, 10].

დროებით უკუჩვენებად შეიძლება ჩაითვალოს: რბილი ქსოვილების მაცერაცია, ეკზემა დეფექტის არეში, საერთო სისუსტე. წყლულოვანი ფორმის ლიქვორული ფისტულისას ოპერაცია ჩაითვლება აბსოლუტურ უკუჩვენებად. სწორედ ამ დროსაა საჭირო გადაუდებელი ქირურგიული ჩარევა, რათა თავიდან ავიცილინოთ საშიში გართულება მენინგიტის სახით. ოპერაცია სასიცოცხლო ჩვენებაა, ამიტომაც იგი უნდა გამოვიყენოთ ყოველთვის, თუკი ბავშვის საერთო მდგომარეობა არაა მისული უკიდურესობამდე. გარდა ამისა, მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ბავშვის ცხოველმყოფელობის შენარჩუნება; ეს კი მშობლებისათვის უძვირფასესი განძია.

ჩვენს საკუთარ მასალაზე მალთა რკალების ღიაობის ცისტურა ფორმით (1946—1962 წწ.) გატარდა 83 ავადმყოფი; აქედან მღედრობითი სქესი აღინიშნებოდა 36 შემთხვევაში (43,4%), მამრობითი — 47 (56,6%) (იხ. ცხრილი).

სხვადასხვა სახის ანომალიები	რაოდენობა	%
ტერფმრუდობა და ტერფის დეფორმაცია	2	2,4 %
თავის ტვინის წყალმანკი	2	2,4 %
სტოლიოზი	2	2,4 %
სიელმე	1	1,2 %
სწორი ნაწლავის გამოვარდნა	1	1,2 %
კრანოსტენოზი	1	1,2 %
ჰიპერტროფიზი	1	1,2 %
<b>ს უ ლ</b>	<b>10</b>	<b>12,2 %</b>

კომბინირებული მანკი აღინიშნებოდა 10 შემთხვევაში (12,2%), ოპერაცია გაუკეთდა 81-ს (96,7%). ორ შემთხვევაში ოპერაცია უკუნაჩვენები იყო პროგრესიულად მიმდინარე თავის ტვინის წყალმანკისა და ბავშვის ზოგადი სისუსტის გამო.

ილუსტრაციისათვის მოგვყავს ისტორიის მოკლე ამონაწერი.

ავადმყოფი ა. თ., 1 წლისა და 7 თვის (ავად. ისტ. № 3696, 1961) მიღებულ იქნა ნეიროქირურგიულ კლინიკაში დიაგნოზით: მანკის ცისტური ფორმა გავაკუდუსუნის არეში, თავის ტვინის წყალმანკი. ბავშვი ინტელექტუალურად ჩამორჩენილია, ვერ დადის, ვერ ლაპარაკობს, ოპერაცია არ გაკეთებულა.

ჩვენი მასალის მიხედვით, ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა ორი ავადმყოფი (2,4%). სიკვდილის მიზეზი ორივე შემთხვევაში იყო მენინგიტი.

მანკის შემთხვევათა უმრავლესობა ლოკალიზდებოდა წელის არეში (83-დან 55—66,3%). დეფექტის პლასტიკა ყველა შემთხვევაში წარმოებდა რბილი ქსოვილებით კუნთ-ამონევროტიული და ფასციალური შრით (უკანასკნელს ვხმარობდით გავისა და გავაკუდუსუნის არეში, რადგან ხსენებულ მიდამოში კუნთოვანი ქსოვილი სუსტადაა განვითარებული). რეციდივის განვითარებას არცერთ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი.

ბავშვებს ოპერაცია უნდა გაუკეთდეს ნაადრევ ასაკში, რათა ნერვული სისტემის მხრივ არ განვითარდეს მეორადი მოვლენები, რაც შესაძლებელია გამოვლინდეს სფინქტერების (შარდის ბუშტი და სწორი ნაწლავი) ქვედა კიდურთა პარეზით, დამბლებით ან ტროფიკული მოშლილობით.

დეფექტის პლასტიკა უნდა ვაწარმოოთ ძვლოვანი ფირფიტის გამოყენების გარეშე, რადგან რბილი ქსოვილებით წარმოებული პლასტიკა, ხსენებულ მეთოდთან შედარებით, ტექნიკურად ადვილი შესასრულებელი და ნაკლებად ტრავმულია.

ილუსტრაციისათვის მოგვყავს ავადმყოფობის ისტორიის მოკლე ამონაწერი.

ავადმყოფი ა. ვ., ვაჟი, 5 წლისა (ისტ. № 1230, 1960), მიღებულ იქნა ნეიროქირურგიულ კლინიკაში დიაგნოზით: მენინგოცელე წელის არეში. დახედ-



ვით: წელის არეში აღსანიშნავია, მამაკაცის მუშტის ოდენობის რბილი კონსისტენციის სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნი. პალპაციით შეიგრძნება ფლუქტუაცია. რენტგენოლოგიურად აღსანიშნავია წელის III—IV—V მალეების დონეზე მალთა რკალების განუვითარებლობა. ნევროლოგიურად ცვლილება არ აღინიშნება.

ოპერაცია განხორციელებულ იქნა ზოგადი პოტენცირებული ტკივილ-დაღუშვებით, თიაქრის პარკში აღმოჩნდა გამკვირვალე ფერის თავ-ზურგტვინის სითხე. დეფექტი დაიხურა კუნთ-აპონევროზული შრით. მე-8 დღეს მოეხსნა ნაკერები. კლინიკიდან გაეწერა განკურნებული. შორეული შედეგების შესწავლიდან გამოირკვა, რომ ბავშვი ვითარდება სრულიად ნორმალურად. ნერვული სისტემის მხრივ არავითარი პათოლოგია არ აღინიშნება. ბავშვი დადის სკოლაში.

ავადმყოფი ქალი, ჩ. ი., 22 წლისა (ისტ. № 3542, 1961), მიღებულ იქნა ნეიროქირურგიულ კლინიკაში დიაგნოზით: დერმოიდული ცისტა გავა-წელის არეში — ჰიპერტრიქოზი. დახედვით გავა-წელის არეში მოსჩანს მანდარინის ოდენობის რბილი კონსისტენციის სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნი. მის გარშემო კუდუსუნის მიმართულებით აღსანიშნავია ჰიპერტრიქოზი. ნერვული სისტემის მხრივ ცვლილებები არ აღინიშნება. რენტგენოლოგიურად აღსანიშნავია გავა-წელის მალეების დონეზე, მალთა რკალების განუვითარებლობა.

ოპერაცია გაკეთდა ადგილობრივი ნოვოკაინის 0,5%-იანი ხსნარით.

ოპერაციისას თიაქრის პარკში აღმოჩნდა მცირე რაოდენობით თავზურგტვინის სითხე. გარდა ხსენებულისა, ადგილი ჰქონდა ცხიმოვანი კონგლომერატის არსებობას. დეფექტი დაიხურა კუნთ-აპონევროზული შრით. კლინიკიდან გაეწერა განკურნებული. ამჟამად თავს კარგად გრძნობს.

ოპერაციის შემდგომ პერიოდში, კიდურთა მოძრაობების აღდგენის მიზნით, საჭიროა ვისმართო მედიკამენტოზური (დიბაზოლი, ვიტამინები B<sub>1</sub>—B<sub>12</sub>) და ფიზიო-თერაპიული საშუალებები (მასაჟი, აბაზანა, დიათერმია კალიუმ-იოდატით, ვალვანიზაცია). ასეთი კომპლექსური ენერგიული მკურნალობის შედეგად ავადმყოფები უმეტესად შემდგომში შრომისუნარიანი ხდებიან.

## დასკვნები

1. მალთა რკალების ღიაობის ცისტური ფორმის მკურნალობა მხოლოდ რადიკალური ოპერაციული მეთოდითაა შესაძლებელი. მისი განხორციელება უნდა მოხდეს ბავშვის ნაადრევ პერიოდში, რათა ნერვული სისტემის მხრივ არ განვითარდეს მეორადი ცვლილებები: სფინქტერებისა და ქვედა კიდურების პარეზი ან დამბლები, აგრეთვე ტროფიკული მოშლილობები.

2. დეფექტის პლასტიკა უნდა წარმოებდეს რბილი ქსოვილების მეშვეობით, რადგან, ძვალ-პლასტიკურ მეთოდთან შედარებით, ხსენებული ადგილი შესასრულებელი და ნაკლებად ტრავმულია.

3. სფინქტერებისა და ქვედა კიდურთა დამბლების შემთხვევაში ოპერაციის მაინც უნდა გაკეთდეს, რადგან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ბავშვთა ცხოველყოფელობის შენარჩუნება.

ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი  
თბილისი

გვინთა დახელოვნების თბილისის  
სახელმწიფო ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 13.5.1962)

КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА

М. Г. ЛОРДКИПАНИДЗЕ

К ВОПРОСУ О ЛЕЧЕНИИ КИСТОЗНЫХ ФОРМ  
РАСЩЕПЛЕНИЯ ПОЗВОНОЧНИКА

Резюме

Единственным и наилучшим способом лечения этого тяжелого порока является радикальная операция. Операцию необходимо производить в раннем возрасте.

Предпочтение должно отдаваться пластике дефекта с помощью мягких тканей (кожно-апоневротическим и фасциальным слоем), являющимся менее травматичной и технически легко исполняемой.

Операция — это жизненное показание, она должна осуществляться во всех случаях, если только позволяет общее состояние больного.

დავითაშვილი ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. М. Д. Горбенко. Случай spina bifida, осложненной водянкой головы. Врач. газета, № 42, 1910, 1235—1236.
2. Hildebrand. Die Behandlung der spina bifida. Arch. f. Klein. chir. 46, 1883, 200—214.
3. Berger. Sur un cas de spina bifida. La semaine medicale, 1896, 323.
4. А. А. Бобров. Новый способ костно-пластической операции при врожденных отверстиях в позвоночнике, Хир. вестник, 1894.
5. П. П. Дьяконов. Операция Spina bifida с костно-пластическим закрытием отверстия позвоночника. Хир. вестник, 1889, 600—604.
6. И. А. Свидлер. Аллопластика пластмассами дефектов позвоночника при спинномозговых грыжах. Автореферат, Харьков, 1962.
7. H. Hennig. Spaltbildungen der Wirbelbogen im dorsalen und lumbalen Bereiche der Wirbelsäule. Dissert. Königsberg, 1938.
8. მ. ჩაჩავა. ხერხეულის განვითარების მანკი. კვლევა ქირურგია, ტ. II, თბილისი, 1951.
9. გ. კოკოჩაშვილი. ხერხეულისა და ზურგის თანდაყოლილი და შექმნილი დეფორმაციები. ბავშვთა ასაკის ქირურგია ორთოპედიით. თბილისი, 1952, გვ. 396—403.
10. В. М. Угрюмов, И. С. Васкин, Л. В. Абраков. Оперативная нейрохирургия, техника операции при спинномозговых грыжах. М., 1939, 244—246.

თ. ბრეზაძე

ელექტროკარდიოგრაფიული და ელექტროენცეფალოგრაფიული მონაცემები კორონარული უკმარისობის (გულის ანგინის) დროს

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. ტატიშვილმა 15.5.1962)

გვირგვინოვან სისხლძარღვთა დაავადება თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომაც, რომ ინტენსიური კვლევა-ძიება წარმოებს ამ დაავადების ყველაზე ხშირი გამოვლინების — გულის ანგინის—გარშემო, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ყველაზე უფრო შემოქმედებით პერიოდში ვითარდება.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა გვირგვინოვანი დაავადების ერთ-ერთი გამოვლინების—გულის ანგინის დროს—მოსალოდნელი ძვრები თავის ტვინის ქერქში. ამ ორი ორგანოს ფუნქციური ურთიერთ-კავშირის დასადგენად ჩვენ კლინიკურ პირობებში ვაწარმოეთ ელექტროკარდიოგრაფიული და ელექტროენცეფალოგრაფიული მონაცემების პარალელური შესწავლა, რაც 1954 წელს დაიწყო და 1955 წელს გამოქვეყნდა [1, 2].

ჩვენ შემდეგ ანალოგიური ნაშრომი გამოქვეყნეს 1956 წელს კ. ზამი-სლოვამ და ლ. ბონდარმა [3]. 1957—59 წლებში ა. მეშჩერი-აკოვა და ფ. იასონოვსკაიამ [4, 5]. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ დღემდე არ მოიპოვება გამოქვეყნებული ნაშრომი, შესრულებული აღნიშნული კომპლექსური მეთოდების გამოყენებით.

კლინიკური დიაგნოზის დაზუსტების შემდეგ ავადმყოფებს ვიკვლევდით სპეციალურად მოწყობილ ხმაგაუმტარ ეკრანირებულ საკანში.

თავის ტვინის ბიოელექტრული აქტივობის სარეგისტრაციოდ გამოვიყენეთ 6-არხიანი მელნით ჩამწერი ელექტროენცეფალოგრაფი, ზოგ შემთხვევაში ჩაწერებს ვაწარმოებდით 16-არხიანი მელნით ჩამწერ „ალუარის“ ტიპის აპარატით. ვიღებდით უნიპოლარულს, ბიპოლარულსა და ქერქის ბაზალურ განხრებს. გულის კუნთის ბიოელექტრული აქტივობის ჩასაწერად გამოვიყენეთ 6-არხიანი „ელემას“ ფირმის ელექტროკარდიოგრაფი. განხრებად ავირჩიეთ I—II—III—CR<sub>4</sub>—CR<sub>6</sub>. აღნიშნული მეთოდით შესწავლილია 71 ავადმყოფი.

71 ავადმყოფიდან 28-ს ევგ და ეკრადიული გამოკვლევები ჩაუტარდა დინამიკაში, ე. ი. მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ. საკონტროლო ჯგუფში გვეყავდა 20 ავადმყოფი კორონარული უკმარისობით, ანგინოზური შეტევების გარეშე. ამგვარად, სულ გამოკვლეულ იქნა 91 ავადმყოფი.

## საკუთარი მასალის ანალიზი

ავადმყოფთა წლოვანების მიხედვით ასეთი სურათია: 30-დან 40 წლამდე — 8 ავადმყოფი, 41-დან 50 წლამდე — 16, 51-დან 60 წლამდე — 25, 61-დან 70 წლამდე — 12; სულ კი — 71 ავადმყოფი.

ყველაზე მეტი რაოდენობა ავადმყოფებისა მოდის 41-დან 60 წლის ასაკზე. 51 ავადმყოფი იყო გონებრივი მოშუშავე, ხოლო 20 ავადმყოფის საქმიანობა უპირატესად ფიზიკურ მუშაობასთან იყო დაკავშირებული. 71 ავადმყოფიდან ნორმოსთენიური კონსტიტუციისა იყო 28, ჰიპერსთენიური — 36, ასთენიური — 7. დედაკაცი იყო 8, მამაკაცი — 63. ალკოჰოლს ეტანებოდა 44 ავადმყოფი, თამბაქოს — 31; მათ შორის ორივეს ერთად 43 ავადმყოფი. ნერვული სისტემის გადაძაბვას ფსიქიური ტრავმის სახით, რასაც ავადმყოფები უკავშირებდნენ თავიანთი დაავადების განვითარებას, აღნიშნავდა ყველა ავადმყოფი.

დაავადების ხანგრძლივობის მიხედვით ჩვენი მასალა ასეთ სურათს იძლევა: 1 თვიდან 1 წლამდე — 32 შემთხვევა, 1 წლიდან 3 წლამდე — 23, 3 წლიდან 5 წლამდე — 10, 5 წლიდან 10 წლამდე — 6 შემთხვევა.

ამგვარად, დაავადების ხანგრძლივობის მიხედვით მეტი შემთხვევები 1 თვიდან 3 წლამდე მოდის (55 შემთხვევა).

არტერიული სისხლის წნევა ყველა ავადმყოფს ნორმალური ჰქონდა. გულის საზღვარი გადიდებული მარცხნივ 1—2 სმ-ით აღმოაჩნდა 50 ავადმყოფს. 10 ავადმყოფს აღენიშნებოდა გულის გარდღეარდმო საზღვრის მომატება. 56 ავადმყოფს აღმოაჩნდა აორტის გაფართოება. 63 ავადმყოფს გულის ტონები მოყრუებული ჰქონდა.

ყველა 71 შემთხვევაში შესწავლილ იქნა ნევროლოგიური სტატუსი, მათგან 43 შემთხვევაში აღინიშნა აგზნებულობის მომატება. ორგანიული დაზიანების შემთხვევა არ ყოფილა.

ელექტროენცეფალოგრაფიული მონაცემებით ჩვენი მასალა დაყავით ორ ჯგუფად: I ხარისხი, სადაც  $\alpha$  არ არის ნორმალური სახით და დეფორმაციას განიცდის ზედდამთხვეული  $\beta$ -ტალღებით ( $\alpha + \beta$ ); II ხარისხი, სადაც წამყვანს წარმოადგენს  $\beta$ -აქტივობა.

მასალის განხილვა კორონარული უკმარისობის ხარისხების მიხედვით

I ხარისხის კორონარულ უკმარისობაში შევიდა 19 ავადმყოფი: 2 დედაკაცი და 17 მამაკაცი, 33-დან 56 წლამდე.

ფიზიკური დატვირთვით განვითარებულ გულის ანგინოზური შეტევა აღენიშნებოდა 14 ავადმყოფს, ხოლო მოსვენებით მდგომარეობაში — 2 ავადმყოფს; ორივე მდგომარეობაში — 3 ავადმყოფს.

რენტგენოლოგიური გამოკვლევის შემდეგ 16 ავადმყოფს აღმოაჩნდა აორტის ათეროსკლეროზული ცვლილებები, ხოლო 3 ავადმყოფს აორტა შეცვლილი არ ჰქონდა.

I ხარისხის ელექტროენცეფალოგრაფიული მონაცემები აღმოაჩნდა 14 ავადმყოფს, ხოლო II ხარისხისა — 5-ს.

II ხარისხის კორონარული უკმარისობის ავადმყოფების რაოდენობა 25-ს უდრიდა; აქედან 4 დედაკაცი და 21 მამაკაცი, 36-დან 66 წლამდე. ფიზიკური დატვირთვის შედეგად განვითარებული გულის ანგინის შეტევა აღენიშნა 19 ავადმყოფს, მოსვენებით პირობებში — 6-ს, ხოლო ორივე შემთხვევაში — 8 ავადმყოფს. აორტის ათეროსკლეროზული დაზიანება აღმოაჩნდა 19 ავადმყოფს. ანამნეზში ფსიქიური ტრავმა ყველა შემთხვევაში აღინიშნებოდა. 16 ავადმყოფს აღენიშნებოდა ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური ცვლილებები. I ხარისხის ელექტროენცეფალოგრაფიული ცვლილებები ჰქონდა 11 ავადმყოფს, II ხარისხისა — 14-ს.

III ხარისხის კორონარული უკმარისობა. ამ ჯგუფში შევიდა 27 ავადმყოფი; აქედან 2 დედაკაცი და 25 მამაკაცი 44-დან 68 წლის ასაკამდე. დამატებითი სტენოკარდია ჰქონდა 12-ს, ხოლო მოსვენებითი სტენოკარდია — 9-ს. ორივე ერთად ჰქონდა 6 ავადმყოფს. ამ ჯგუფის 21 ავადმყოფს აორტის მხრივ აღმოაჩნდა ათეროსკლეროზული დაზიანება.

ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური ცვლილებები აღმოაჩნდა 14 ავადმყოფს, I ხარისხის ელექტროენცეფალოგრაფიული ცვლილებები — 10-ს, ხოლო II ხარისხის ცვლილებები — 17-ს. აღნიშნული ავადმყოფების ელექტროენცეფალოგრაფიული ცვლილებები ატარებდა დიფუზურ ხასიათს და ვრცელდებოდა ქერქის როგორც ზემო, ისე მის ბაზალურ ნაწილებში.

### მიღებული შედეგების განხილვა

ჩვენს შემთხვევებში თვალსაჩინო ფაქტს წარმოადგენდა სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული დაზიანება, რომლის კრიტერიუმად აორტის რენტგენოლოგიური (78,9%) და ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები მივიჩნიეთ.

ჩვენ მიერ გამოკვლეულ ყველა ავადმყოფს აღენიშნებოდა ძლიერი ნერვიული გაღიზიანება ფსიქოტრავმებისა და უარყოფითი ემოციების სახით, რაც სტენოკარდიით დაავადების მიზეზი გახდა.

საგულისხმო ცვლილებები მივიღეთ ელექტროენცეფალოგრაფიული მონაცემებში, სახელდობრ, ელექტროენცეფალოგრაფიული სურათი თითქმის ყველა შემთხვევაში შეცვლილი აღმოჩნდა. ამაზე მიგვითითებს ის გარემოება რომ ელექტროენცეფალოგრაფია აღნიშნულ ავადმყოფებისა ხასიათდება  $\alpha$  რითმის დეფორმაციით, ზოგჯერ არარეგულარული ხასიათისა.  $\alpha$ -რიტმზე დამახვეულია  $\beta$ -ტალღები 18—30-მდე ერთ სეკუნდში (დაბალი ამპლიტუდის 10—12 მიკროვოლტი). სინათლითა და ბგერით გამაღიზიანებლებზე ელექტროენცეფალოგრაფია ხასიათდება რითმის ზომაზე მეტი გახშირებითა და შემდეგმედების გახანგრძლივებით.

სტენოკარდიული შეტევის ერთ შემთხვევაში მოვასწარით ეგე-ის გადაღება, სადაც  $\beta$ -ტალღებთან ერთად აღინიშნა მაღალი „პიკისებური“ რხევები დი-32. „მოამბე“, ტ. XXXI, № 2, 1963

ცხრილი 1

ავადმყოფთა განაწილება კორონარული სისხლის მიმოქცევის უკმარისობისა და თავის ტვინის ქერქის ელექტრული აქტივობის მიხედვით

თავის ტვინის ქერქის ელექტრული აქტივობის ცვლილებების ხარისხი	კორონარული სისხლის მიმოქცევის უკმარისობის ხარისხები (ლ. ფოგელსონით)			
	I	II	III	სულ
I	14	11	10	71 ავ.
II	5	14	17	
	19	25	27	
$\chi^2 = 6,320$		$p < 0,05$		

ცხრილი 2

კლინიკური და ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემების დაპირისპირება მკურნალობის შემდეგ

მეთოდი	შემთხვევების რაოდენობა	შეტევები მოხსნა. ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემების ნორმალიზაცია	გაუმჯობესება	უცვლელი მდგომარეობა	შენიშვნა
სტენოკარდიული სინდრომი	28	23	2	3	სტატისტიკური დამუშავების დროს მე-3 და მე-4 გრაფა გაერთიანებულ იქნა
ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები	28	3	12	13	
$\chi^2 = 7,087$			$p < 0,01$		

ცხრილი 3

კლინიკური და ელექტროენცეფალოგრაფიული მონაცემების დაპირისპირება მკურნალობის შემდეგ

მეთოდი	შემთხვევების რაოდენობა	მკურნალობის შედეგები			
		შეტევების მოხსნა. ენცეფალოგრაფიული ცვლილებების ნორმალიზაცია	გაუმჯობესება	უცვლელი მდგომარეობა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კლინიკური მონაცემები (სტენოკარდიული სინდრომი)	28	25	2	3	სტატისტიკურ დამუშავების დროს მე-3 და მე-4 გრაფა გაერთიანდა
ელექტროენცეფალოგრაფიული მონაცემები	28	15	11	2	
$\chi^2 = 0,0878$			$p < 0,95$		



ეგრაფიული და ეგრაფიული მონაცემების დაპირისპირება მკურნალობის შემდეგ

მკურნალობის შედეგები

მეთოდი	შემთხვე- რაოდ.	გამოს- წორდა	გაუმჯო- ბესდა	უცვლელი მდგომარე- ობა	შენიშვნა
ელექტროენცეფალოგრა- ფიული მონაცემები	28	15	11	2	სტატისტიკური დამუშავების დროს მე-3 და მე-4 გრაფა გა- ერთიანდა
ელექტროკარდიოგრა- ფიული მონაცემები	28	3	12	13	
$\chi^2 = 17,3419$			$p < 0,01$		

ფუნქურად გაგრცელებული. ზემოთ აღნიშნული ცვლილებები ელექტროენცე-  
ფალოგრაფისა მიგვიითითებს თავის ტვინის ქერქის ფუნქციის დარღვევაზე, მის  
აგზნებულ მდგომარეობაზე.

ჩვენს მასალის დამუშავების დროს ეეგ და ეკგ ცვლილებებს შორის კავ-  
შირის დასადგენად გამოვიყენეთ ვარიაციული სტატისტიკის მეთოდი. აღმო-  
ჩნდა, რომ ეეგ და ეკგრაფიული მონაცემები იცვლება დაავადების სიმძიმის  
პარალელურად, ე. ი. რაც უფრო მკვეთრადაა გამოხატული ელექტროკარდიო-  
გრაფიული ცვლილებები, მით უფრო მატულობს ელექტროენცეფალოგრა-  
ფიულ ტალღათა რბევის სიხშირე.

გულის ანგინის კლინიკური ფორმები და ელექტროენცეფალოგრაფიული  
მონაცემები შევუდარეთ ერთმანეთს, მაგრამ რაიმე დამახასიათებელი კორელა-  
ცია ვერ მივიღეთ.

როდესაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ვაღწევდით ავადმყოფის განკურ-  
ნებას (ტკივილების მოხსნა და ეკგ-ს გაუმჯობესება), მაშინ ელექტროენცეფა-  
ლოგრაფიული მონაცემები უმჯობესდებოდა უმრავლეს შემთხვევებში და თით-  
ქმის ნორმას უახლოვდებოდა.

ჩვენს მასალაზე გარკვევით აღინიშნა პარალელიზმი კლინიკურ ელექტრო-  
კარდიოგრაფიული და კლინიკურ ელექტროენცეფალოგრაფიულ მონაცემებს  
შორის და ნაწილობრივ ეგრაფიული და ეკგრაფიული მონაცემებს შორისაც  
(იხ. ცხრილები 1, 2, 3, 4).

ზემოთ აღნიშნული ფაქტები მიუთითებენ, რომ გულის ანგინით დაავადე-  
ბულებში ცენტრალური ნერვული მექანიზმების, კერძოდ თავის ტვინის ქერ-  
ქის ელექტრული აქტივობის ცვალებადობა, მჭიდრო კავშირში იმყოფება კო-  
რონარულ უკმარისობასთან.

საკონტროლო ავადმყოფებს, რომელთაც ეკგრაფიულ მონაცემებში გა-  
მოხატული ჰქონდათ კორონარული უკმარისობა ანგინოზური შეტევების გარე-  
შე, ელექტროენცეფალოგრაფია შეუცვლელი აღმოაჩნდათ. ამას დაემატა აგრეთ-

ვე სტენოკარდიით შეპყრობილ ავადმყოფთა ის რაოდენობა, რომლებიც გამოკვლეულნი იყვნენ მკურნალობის შემდეგ და რომელთაც ელექტროენცეფალოგრამა გამოუსწორდათ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ელექტროენცეფალოგრამის ნორმალიზაცია მკურნალობის შემდეგ აღნიშნულ ავადმყოფებში შედეგია თავის ტვინის ქერქის იმ რეაქციისა, რომელიც გამოწვეულია გულიდან გამომდინარე არანორმალური იმპულსების შეწყვეტისა, სტენოკარდიის გავლის გამო.

რაც შეეხება  $\alpha$ -რიტმის დაკნინების ნერვულ მექანიზმს აღნიშნულ ავადმყოფებში, ის ალბათ შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ.

ცნობილია, რომ ელექტრული აქტივობის სინქრონიზებული ხასიათი, რომელსაც  $\alpha$ -რიტმიც მიეკუთვნება, გაპირობებულია ტვინის ღეროს ბადებრივი ფორმაციის დიდი ტვინის ქერქზე გავლენით. თუ ამავალი გამააქტივებელი გავლენა ბადებრივი ფორმაციისა გაძლიერებულია, რასაც ადგილი აქვს სხვადასხვა პერიფერიული ვალიზაციებისა და დაყურადების, აგრეთვე დაძაბვის დროს, მაშინ დიდი ტვინის ქერქის ელექტრული აქტივობის სინქრონიზებული მდგომარეობა ისპობა და ნელი ტალღები ( $\alpha$ -რიტმი) შეიცვლება მცირე ამპლიტუდის სწრაფი ( $\beta$ -ტალღები) პოტენციალებით (ე. წ. დესინქრონიზაციის ანუ აქტივაციის რეაქცია). ჩვენ შემთხვევებში ასეთ მოვლენებს ჰქონდა ადგილი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ის არანორმალური იმპულსაცია, რაც კორონარულ სისხლის ძარღვებში აღიძვრის შეტევის დროს, ბადებრივი ფორმაციის გააქტივების გზით მოქმედებს ქერქის ელემენტებზე და იწვევს  $\alpha$ -რიტმის დათრგუნვას. ამაში დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს არა მარტო იმპულსაციის სისხლის ძარღვებიდან, არამედ აგრეთვე იმ მუდმივ დაძაბულ მდგომარეობას, რასაც ასეთი ავადმყოფი განიცდის შეტევებს შორის ან მათ მოლოდინში, ვინაიდან დესინქრონიზაციის რეაქცია უკანასკნელი მდგომარეობითაც იწვევა.

ამგვარად, ჩვენი მასალის მიხედვით დასტურდება გვირგვინოვან სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის და უარყოფით ფსიქოემოციური ფაქტორების როლი გულის ანგინის განვითარებაში.

კორონარული უკმარისობით — resp გულის ანგინით დაავადებულების ელექტროენცეფალოგრაფიული მონაცემები შეცვლილია, რაც გამოიხატება ძირითადი რითმის გაქრობაში და ხშირი  $\beta$ -ტალღების წარმოშობაში (დესინქრონიზაციის ანუ აქტივაციის რეაქცია).

ელექტროენცეფალოგრამის ასეთი ცვლილებები დიფუზური ხასიათისაა და ვრცელდება თავის ტვინის ქერქის ყველა უბანზე. უჭრდეთა ეს გაძლიერებული მეტაბოლიზმი აღნიშნული დაავადების დროს თავის ტვინის ქერქის აგზნებითი მდგომარეობის გაძლიერების მაჩვენებელია.

ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემების გაუარესებასთან ერთად მატულობს ცვლილებები ელექტროენცეფალოგრაფიულ მონაცემებში, რაც მიუთითებს ამ ორ ურთიერთპირობადებულ დამოკიდებულებაზე და მათ გარკვეულ

პარალელისმზე კორონარული უკმარისობის დროს.

გულის ანგინის კლინიკური ფორმების შედარების დროს ჩვენ ვერ ვნახეთ კორელაცია თავის ტვინის ქერქის ბიოელექტრულ აქტივობასა და ელექტროკარდიოგრაფიულ მონაცემებს შორის.

კორონარული უკმარისობით შეპყრობილი პირები, გულის ანგინის შეტევის გარეშე, ელექტროკარდიოგრაფიულად გამოხატულ კორონარულ უკმარისობაში არ იძლევიან იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს თავის ტვინის ქერქის ბიოელექტრული აქტივობის მხრივ, რასაც ანგინოზური შეტევებით შეპყრობილი ავადმყოფები იძლევიან.

მკურნალობის ეფექტურობის პარალელურად უმჯობესდება ელექტროენცეფალოგრაფიული მონაცემები, რაც გამოიხატება  $\alpha$ -რიტმის აღდგენით, მისი ნორმალური სიხშირითა და ფორმით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ელექტროენცეფალოგრაფიის ცვლილებები არის შედეგი თავის ტვინის ქერქის რეაქციისა, რაც გამოწვეულია კორონარული სისხლის ძარღვებიდან გამომდინარე არანორმალური იმპულსებით, იგი ბადებრივი ფორმაციის გააქტივების გზით მოქმედებს ქერქის ელემენტებზე და იწვევს  $\alpha$ -რიტმის დათრგუნვას, ე. წ. დესინქრონიზაციას.

ჩვენი მასალის მიხედვით, როგორც მკურნალობამდე, ისე მკურნალობის შემდეგ აღინიშნება ურთიერთდამოკიდებულება კლინიკურ-ელექტროკარდიოგრაფიულ, კლინიკურ-ელექტროენცეფალოგრაფიულ მონაცემებს შორის.

ელექტროენცეფალოგრაფიული ცვლილებები კორონარული უკმარისობით (გულის ანგინით) დაავადებულებში ერთ-ერთ დამახასიათებელ, თუმცა არასპეციფიკურ სიმპტომად შეიძლება ჩაითვალოს და რეკომენდებულ იქნეს თერაპიულ კლინიკებში როგორც გამოკვლევის ერთ-ერთი მეთოდი აღნიშნული დაავადების დროს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მ. წინამძღვრი შვილის სახელობის  
 კლინიკური და ექსპერიმენტული  
 კარდიოლოგიის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 15.5.1962)

## КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА

О. М. БРЕГАДЗЕ

### ЭЛЕКТРОКАРДИОГРАФИЧЕСКИЕ И ЭЛЕКТРОЭНЦЕФАЛОГРАФИЧЕСКИЕ ДАННЫЕ ПРИ КОРОНАРНОЙ НЕДОСТАТОЧНОСТИ (ГРУДНАЯ ЖАБА)

Резюме

Нашей целью было установление изменения биоэлектрической активности в коре головного мозга у больных коронарной недостаточностью с наличием приступов грудной жабы. Для этого мы отобрали типичные случаи и сопоставили данные ЭЭГ и ЭКГ. Был обследован 71 больной. Из них в динамике лечения—28. В контрольной группе было 20 больных с выраженной коронарной недостаточностью без стенокардических приступов. После анализа клинического материала были сделаны следующие выводы.



Роль атеросклероза коронарных сосудов и отрицательные психоэмоциональные факторы в развитии грудной жабы подтверждаются.

При коронарной недостаточности (грудная жаба) ЭЭГ изменяется, что выражается в исчезновении основного ритма и появлении учащенных волн. Такое изменение ЭЭГ диффузного характера распространяется на все участки коры головного мозга (десинхронизация или реакция активации). В связи с ухудшением данных ЭКГ ухудшаются и показатели ЭЭГ, что указывает на их взаимообусловленность и параллелизм при коронарной недостаточности (грудная жаба). Корреляция между данными ЭЭГ и ЭКГ по клиническим формам грудной жабы нами не отмечена.

У больных с электрокардиографически выявленной коронарной недостаточностью, но без характерных приступов грудной жабы ЭЭГ не имеет тех значительных изменений, которые характерны больным с ангинозными приступами.

Параллельно с эффективным лечением улучшаются данные ЭЭГ, выражающиеся в восстановлении ритма, его частоты и формы.

Мы полагаем, что изменения ЭЭГ являются следствием реакции коры головного мозга, вызванной ненормальными импульсами из сердца, в частности из коронарных сосудов, раздражающими сетевидную формацию, которая действует на элементы коры головного мозга и вызывает десинхронизацию основного ритма.

Отмечена взаимосвязь между клинико-электрокардиографическими, клинико-электроэнцефалографическими и электрокардиографическими и электроэнцефалографическими показателями.

Изменения ЭЭГ при коронарной недостаточности с наличием приступов грудной жабы можно считать характерным, но не специфическим показателем. Поэтому ЭЭГ следует рекомендовать в терапевтических клиниках как один из методов исследования при коронарной болезни.

#### დამოწმებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. О. М. Брегадзе. ЭЭГ и ЭКГ параллели при коронарной болезни. Тез. докл. научной сессии, посвященной проблемам физиологии и патологии сосудистой системы. А., 1955.
2. თ. ბ რ ე გ ა ძ ე. ელექტროენცეფალოგრაფიული და ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემების ურთიერთდამოკიდებულება კორონარული დაავადების დროს. კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტ. შრომები, თბილისი, ტ. IV, 1956.
3. К. Замислова и Л. Бондарь. Состояние высшей нервной деятельности при нарушении коронарного кровообращения. Атеросклероз и коронарная недостаточность. Медгиз, 1956.
4. А. В. Мещерякова, Ф. П. Ясиновская. Электрическая активность коры головного мозга при стенокардии. Научн. работы аспирантов и клинич. ординаторов Центр. ин-та усоверш. врачей, М., 4, 1957, 32—42.
5. А. В. Мещерякова, Ф. П. Ясиновская. Биотоки коры головного мозга в течение приступа грудной жабы. Грудная жаба и инфаркт миокарда, М., 1959. 76—89.
6. С. П. Нарикашвили. Некоторые вопросы физиологии и патологии сетевидной формации головного мозга. Тбилиси, 1959.



ენათმეცნიერება

ალ. შავომებრძოლი

დენტოლამბიალიზებული თანხმოვნები ტაბასარანულ ენაში<sup>(1)</sup>

(წარმოადგინა აკადემიკოსმა არნ. ჩიქობავამ 29.3.1962)

ტაბასარანულ ენაში ბილაბიალიზებულ თანხმოვნებთან ერთად, რომლებიც მრავალ დაღესტნურ ენაში მოიპოვება, გვაქვს დენტოლამბიალიზებული თანხმოვნებიც.

ბილაბიალიზებულ თანხმოვნებს ტაბასარანულის ყველა კილო-თქმა არ განარჩევს. ისინი არა გვაქვს, მაგალითად, ტაბასარანულის ჩრდილოური დიალექტის ხანალის თქმაში, რომელიც შეისწავლეს პ. უსლარმა და ა. დირმა. ასეთი თანხმოვნები გარჩეულია ტაბასარანულის სამხრულ დიალექტში, რომელიც საფუძვლად უძევს სამწერლო ტაბასარანულ ენას.

რაც შეეხება დენტოლამბიალიზებულ თანხმოვნებს, ისინი ტაბასარანულის ყველა კილო-თქმაში გვაქვს.

ტაბასარანულ ენაში დენტოლამბიალიზებული შეიძლება იყოს მხოლოდ შიშინა თანხმოვნები. ბილაბიალიზებულნი კი შიშინა თანხმოვნები არ შეიძლება იყვნენ<sup>(2)</sup>.

ტაბასარანულ ენაში წარმოდგენილია შემდეგი დენტოლამბიალიზებული თანხმოვნები:

- ა) აფრიკატები: ჯ<sup>0</sup>, ჩ<sup>0</sup>, ჩ<sup>0</sup>ა, კ<sup>0</sup>
- ბ) სპირანტები: ჟ<sup>0</sup>, შ<sup>0</sup>, შ<sup>0</sup>ა

ნ. ტრუბეცკოის ვარაუდით, წინარე აღმოსავლურ-კავკასიური მაგარი აფრიკატი წა, რომელიც ამჟამად შემონახული აქვთ ხუნძურ-ანდიურ ენებს, შეცვლილია: ტაბასარანულში მაგარი ცა-ით, აღლულურში თა-ით, ლეზგიურში ტ-ით (მახვილიანი ზმოვნის წინ) ან თ-ით (დანარჩენ პოზიციებში), ლაქურში მარტივი აბრუპტივი წ-ით ([2], გვ. 90).

(<sup>1</sup> მოხსენიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომას 21.XII.1957 წ.

(<sup>2</sup> ტაბასარანული ენის დენტოლამბიალიზებული თანხმოვნები თავის ბუნებით აფხაზური ენის ლამბიალიზებულ თანხმოვნებს გვაგონებენ, რასაც აღნიშნავდა ჯერ კიდევ პ. უსლარი: ჩვენ არ ვლაპარაკობთ მათი იდენტურობის შესახებ,—წერდა პ. უსლარი,—მაგრამ ზუნება კი ათ ერთგვარი აქვთ" [1].

წი (ხუნდ.-ანდ.): ცა (ტაბ.): თი (აღ.): ტ/თ (ლევზ.): წ (ლაკ.)

ნაწი (ხუნდ.) : ნიცა : ნეთა : ნეთ—ნიტერ: ნაწ „ტილი“  
 მიწა (ანდ.) : იციბ : ითეფ : ჭერწი<sup>(1)</sup> : ნაწუ „ტკბილი“  
 აწად (ხუნდ.) : მარციბ : მართეფ : მარწ „სუფთა“  
 ჰოწიო (ხუნდ.) : რაცა : რათა : რათ „კალო“  
 იცურუბ : ითეფ : ტალ : წუწი „ივადმყოფი“

ანალოგიურ შესატყვისობებს ადგილი აქვს ტაბასარანული შიშინა დენტოლაბიალიზებული მაგარი აფრიკატი ჩ<sup>წ</sup>-სათვისაც:

წაარ (ხუნდ.): ჩ<sup>წ</sup>იურ (ტაბ.): თაურ (აღ.): ტურ (ლევზ.): წა (ლაკ.) „სახელი“  
 ჰრწიო : აჩ<sup>წ</sup>ა : ითაჟ : ჭირთ : ნიწ „თაფლი“  
 მურჩ<sup>წ</sup>ა : მურთა : მურწუ „კუთხე“  
 მურჩ<sup>წ</sup>აურ : თაურ : ტურ „კოვზი“  
 დურჩ<sup>წ</sup>აუხ : თაუთას „რწევა“

ტაბასარანულ შიშინა დენტოლაბიალიზებულ აფრიკატ ჩ<sup>წ</sup>-ს (სისინა აფრიკატ ცა-ს შესატყვისობებისაგან განსხვავებით) მონათესავე ენებში შესატყვისება ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ბ გ ე რ ბ ი :

ჩ<sup>წ</sup>იურ (ტაბ.): ტურ (ლევზ.) „სახელი“  
 აჩ<sup>წ</sup>ა (ტაბ.): ითაჟ (აღ.) „თაფლი“

აღუღურ თაურ, ლევზიურ ტურ სიტყვებში, რომელთა შესატყვისია ტაბასარანული მურჩ<sup>წ</sup>იურ („კოვზი“), ძირეული თანხმოვნები აგრეთვე ლაბიალიზებულია (აქ უ ხმოვნის წინამავალი თანხმოვნის ლაბიალიზაცია იკარგება ან თვითონ ხმოვანი უ მიღებულია ლაბიალიზაციის უ ელემენტის და არალაბიალური ხმოვნის შერწყმით).

ლაბიალიზაციის უქონლობა ლაკურის შესატყვის სიტყვებში მეორეული უნდა იყოს<sup>(2)</sup>.

ტაბასარანული ენის შიშინა დენტოლაბიალიზებულ ფშვინვიერ აფრიკატ ჩ<sup>წ</sup>-ს აღუღურში შესატყვისება სისინა ფშვინვიერი აფრიკატი ც (ცჟ):

ჩ<sup>წ</sup>ულ (ტაბ.): ცულ (აღ.) „შემოდგომა“<sup>(3)</sup>  
 ჩ<sup>წ</sup>უნ<sup>წ</sup> (ტაბ.): ცუც (აღ.) „anus“

(<sup>1</sup> ლევზ. სიტყვაში ჭერწი „ტკბილი“ წ-ს მოსალოდნელი ტ-ს ადგილი უკავია, რაც შეიძლება იყოს ტ-ს აფრიკატიზაციის შედეგი.

(<sup>2</sup> პ. უსლარიის ლაკური ენის მასალაში ლაბიალიზაცია არაა წარმოდგენილი:

ქაიცა, მაგრამ, შდრ. კუმუზ. დიალ. ქაჟაიცა „ქაკი“  
 კი- „ „ „ კტი- „ორი“  
 მორჩი „ „ „ მურჩიტი „ტუჩი“

(<sup>3</sup> შდრ. წახურული ცუჟულ „შემოდგომა“; აგრეთვე ლევზიური გ<sup>წ</sup>ულ „შემოდგომა“, სადაც ძირეული თამხმოვანია გ<sup>წ</sup> (ტაბასარანული ჩ<sup>წ</sup>-ს შესატყვისად).

ტაბასარანულის დენტოლაბიალიზებული მკლერი აფრიკატის ჯგუფის წევრებსა და ლეზგიური შედარებით იშვიათად ადასტურებს შესაბამის სისინა თანხმოვანს; შდრ.:

ჯგულერჯ<sup>0</sup> (ტაბ.): ზულიზ (||ზუელეზ) (ალ.): ცუტელეგ (ლეზგ.) „ელენთა“  
 ჯ<sup>0</sup>ურ (ტაბ. ენა, დიუბ. თქმა): ზურ (ალ.): ცურარ (ლეზგ.) „შარდი“

ასეთ შემთხვევაში ალულ. ზ-სა და ლეზგ. ც-სათვის ამოსავალი შეიძლება იყოს მკლერი აფრიკატი ძ: ძ→ზ დეზაფრიკატიზაციის შედეგად, ძ→ცო დაყრუებისა და გემინაციის შედეგად, ე. ი. ზ←ძ→ცო<sup>1</sup>.

ტაბასარანულის დენტოლაბიალიზებულ მკლერ აფრიკატ ჯ<sup>0</sup>-ს ალულურში ჩვეულებრივ შეესატყვისება ჯ ან სპირანტი ფ:

ჯ<sup>0</sup>ურხუზ (ტაბ.): ჯირხუას (ალ.) „დავარცხნა“  
 ჯ<sup>0</sup>უყუ : ჯუყ (||უყუ) „საჯდომი“  
 რუჯ<sup>0</sup> : რუყ „კული“  
 ჯ<sup>0</sup>ური : ყური „ათამი“

ტაბასარანულის შიშინა დენტოლაბიალიზებულ აბრუბტივ აფრიკატ ჰ<sup>0</sup>-ს ალულურსა და ლეზგიურში შეესატყვისება იმავე რიგის აფრიკატი ჰ (ჰუ):

ჰ<sup>0</sup>ალ (ტაბ.): ჰულ (ალ.): ჰულ (ლეზგ.) „ტირიფი“  
 ჰ<sup>0</sup>ეჰ : ჰუჰა „შრათი“  
 ჰ<sup>0</sup>ურყუზ : ჰირტყუას „ღეჰვა“  
 ულდუჰ<sup>0</sup>უზ : ალაჰჰუას : ეუჰჰუნ „ჩამოსვლა“

ასეთ შესატყვისობათა შესახებ ნ. ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ ლეზგიურში ძველი ლაბიალიზებული სიბილანტები შეცვლილია ლაბიალიზებული წინაველარულებითო ([2], გვ. 79):

ჯ<sup>0</sup>ულ (ტაბ.): ჰულ (ლეზგ.) „ძნა“  
 ჯ<sup>0</sup>ური : გური „ატამი“  
 უშუზ : უგ'უნ „თიბვა“

ასეთივეა შესატყვისობები:

იჩუ (ტაბ.): ჰუნ (ლეზგ.) „თქვენ“  
 ჰ<sup>0</sup>ალ : ჰელ „საფეთქელი“  
 ჰ<sup>0</sup>ეჰ : ჰუჰა „შრათი“

თვით ლეზგიური ენის დიალექტთა შორის დასტურდება შესატყვისობა შიშინა აფრიკატებისა უკანაენისმიერებთან [3]:

ჰულ (ახტის დიალ.): ჰულ (სამწ. ლეზგ.) „ცხრა“  
 ჩუნ (მიც. ბრ. ჩუზ): ჰუნ (მიც. ბრ. ჰუზ) „თქვენ“

(<sup>1</sup> ტაბასარანულსა, ალულურსა და ლეზგიურ ენებს შორის დასტურდება შესატყვისობა ძ (ტაბ.): ზ (ალ.): ცო (ლეზგ.):

ძან (ტაბ.): ზან (ალ.): ცოლ (ლეზგ.) „ჯამი“  
 ძად : ზან : ცოად „მკალი“  
 ძვარ : ზაჰ : ცოჰ „ცა“

ამ შესატყვისობისათვის ამოსავალია ძ, რომელიც ტაბასარანულს შემოუნაბავს: ზ ← ძ → ც.



სპორადულად ტაბასარანულ შიშინა დენტოლაბიალიზებულ აფრიკატ  $\text{ჭ}^{\text{ჰ}}$  ალულურსა და ლეზგიურში შესატყვისად შეიძლება ჰქონდეს  $\text{წ}$  ( $\text{წ}^{\text{ჰ}}$ )-ც; შდრ.:

ჭ<sup>ჰ</sup>ურდ (ტაბ.) : წურდ (აღ. ენა, სოფ. არსულის მეტყვე.) „კოშკი“  
ჭ<sup>ჰ</sup>ეპ (ტაბ.) : წ<sup>ჰ</sup>ეპ (ლეზგ. ენა, კურახ. კილო) „შრატ“.

ტაბასარანული ულჭ<sup>ჰ</sup>ამ (ან ურჭ<sup>ჰ</sup>იმ) „წარბი“- სიტყვის ფარდია ლეზგიურში რიჭ<sup>ჰ</sup>ამ (ან რაჭ<sup>ჰ</sup>ამ)<sup>(1)</sup>, რაც აგრეთვე ადასტურებს შესატყვისობას  $\text{ჭ}^{\text{ჰ}}$  :  $\text{წ}$ .

ტაბასარანულის ჩრდილოური დიალექტის ხანალის თქმაში რიცხვით სახელში ძალ-ჭ<sup>ჰ</sup>-ურ „ორმოცი“ წარმოდგენილია დენტოლაბიალიზებული შიშინა აბრუპტივი  $\text{ჭ}^{\text{ჰ}}$ , რომლისათვისაც, როგორც ჩანს, ამოსავალი უნდა იყოს სი-სინა აფრიკატი  $\text{წ}$ —ძირეული თანხმოვანი „ათის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელისა ძიჭ<sup>ჰ</sup>ებ, რომელიც ათობით თვლაში მეორდება ათეულებში დაწყებული ორმოცდაათიდან (ხ<sup>ჰ</sup>-ურ „ორმოცდაათი“, ძირხ<sup>ჰ</sup>-წ-უმ „სამოცი“...).

სისინა აფრიკატი  $\text{წ}$  „ორმოცის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელში წარმოდგენილია სხვა დადესტნურ ენებშიც: ძალ-წ-ურ (აღ.), ძულ-წ-ურ (რუთ.), ძახ-წ-ურ (|| ძახ-კ-ურ) (ლეზგ.), აღჭ-წ-ალ (დარგ.), მუყ-წ-ალბა (ლაკ.)...

ამ შემთხვევაში ჩვენ ამოვდივართ იმ ვარაუდიდან, რომ „ათის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელის ძირეული თანხმოვანი ისტორიულად არის სისინა აბრუპტივი  $\text{წ}$ , რომელიც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო აგრეთვე „ორმოცის“ აღმნიშვნელ ტაბასარანულ რიცხვით სახელში.

ამეამად მის ნაცვლად წარმოდგენილია დენტოლაბიალიზებული შიშინა აბრუპტივი  $\text{ჭ}^{\text{ჰ}}$  (ან მარტივი შიშინა აფრიკატი  $\text{ჭ}^{\text{ჰ}}$ <sup>(2)</sup>), რომელიც მეორეულია სისინა წ-სთან შედარებით.

ტაბასარანული შიშინა დენტოლაბიალიზებული სპირანტები ახლო მათესავე ენებში ამგვარებენ შესატყვისობას სისინა სპირანტებთან.

ტაბასარანულ შ<sup>ჰ</sup>-ს ალულურსა და ლეზგიურში შესატყვისება ს (ს<sup>ჰ</sup>):

შ <sup>ჰ</sup> უმ (ტაბ., ხივის თქმა) :	სუს (აღულ.) :	სუას (ლეზგ.)	„პატარძალი“
უმ <sup>ჰ</sup> :	სიბ :	სიჭ	„პირი“
შ <sup>ჰ</sup> უმ :	სუმ :	სამ	„ნაწვერალი“
შ <sup>ჰ</sup> უთაუმ <sup>ჰ</sup> :	სუთაუს :		„საწყაული“
უმ <sup>ჰ</sup> ჯარ :	უსჯარ (უსჯერ) :		„მაჩვი“
შ <sup>ჰ</sup> იტრამ :	სურეტ :		„სალამური“

(1) შდრ. ალულური უნეტ „წარბი“, სადაც ტ გვაქვს წ-ს შესატყვისად (ტ შეიძლება მიღებული იყოს წ-ს დეზაფრიკატიზაციის შედეგად).

(2) ხივის თქმაში „ორმოცის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელში ძალჭ<sup>ჰ</sup>ებ შიშინა აბრუპტივი არაა დენტოლაბიალიზებული, იგივე (არადენტოლაბიალიზებული) ბგერა არის წარმოდგენილი „ოცდაათის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელში სიმ-კ-უმ. ორივე შემთხვევაში კ-სათვის ამოსავალი აგრეთვე უნდა ყოფილიყო სისინა წ.



მ<sup>1</sup> : ისტ ( || →უს )<sup>(1)</sup> „ადგილი“  
შ<sup>1</sup>ურ : საურ „ლანილი“

შ<sup>2</sup> (ტაბ.) : ზ (ლეზგ.)

ეშურბა (ტაბ.) : ზირბა (ლეზგ.) „საწყაული (დიდი)“

შესატყვისობები შიშინა დენტოლაბიალიზებულსა და სისინა თანხმოვნებს შორის შეიძლება გვეკონდეს თვით ტაბასარანულშიც, — ამ ენის ცალკეულ თქმებს შორის:

ჩ<sup>1</sup> : ცა (d)

ჩაურ (ხივის თქმა) : ცაურ (ხან. თქმა) : ძურ (დიუბ. თქმა) „შარდი“

შ<sup>2</sup> : ს<sup>(2)</sup>

შ<sup>2</sup>უშ<sup>2</sup> (სამხრ. დიალ., ხივის თქმა) : სუსუ (ჩრდ. დიალ., დიუბ. თქმა) „პატარძალი“

ურშ<sup>2</sup>იელ (ჩრდ. დიალ., ხანალ. თქმა) : ურსალ (ხივის თქმა) „ნეხვის გროვა“

კ<sup>3</sup> : წ

ბიჭ<sup>3</sup>ი<sup>(3)</sup> (დიუბ. თქმა) : ბიწი (ხივის თქმა) „პატარა“

ამრიგად, ტაბასარანულის ახლო მონათესავე ენათა და აგრეთვე თვით ტაბასარანული ენის დიალექტთა მონაცემები ამჟღავნებენ სისინა თანხმოვანთა შესატყვისობებს შიშინა დენტოლაბიალიზებულ თანხმოვნებთან.

შიშინა დენტოლაბიალიზებულ და სისინა თანხმოვანთა შესატყვისობისას ტაბასარანულ ენაში ამოსავალი, შეიძლება იყოს შიშინა თანხმოვნები. ეს ვარაუდი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ განვითარების უფრო ადრინდელი საფეხურისათვის ამოსავალი იყოს სისინა ვარიანტები.

შესატყვისობებს შიშინა ლაბიალიზებულსა და სისინა თანხმოვნებს შორის ადასტურებს ლეზგიური ენის დიალექტებიც: სამწერლო ლეზგიური ენის სისინა თანხმოვნების შესატყვისად ახტის დიალექტში შიშინები გვაქვს [3]:

ახტ. დიალ.	ჩაშ—სამწ.	ლეზგ.	ცაშ,	მაგ.:	ჩაშარ	: ცაშარ	„შარდი“
„	ქშ	„	წშ	„	ქშალარ	: წშელერ	„საფეთქლები“
„	ეშ	„	ზშ	„	ეშალ	: ზშალ	„დულილი“
„	შშ	„	სშ	„	შშაშ	: სშას	„პატარძალი“

(<sup>1</sup> შდრ. აგრეთვე დუშაყ (ტაბ.): თისაყ (აღ.) „იქ“.

(<sup>2</sup> ჩრდილოურ დიალექტში, რომელსაც გემინირებული სპირანტები მოჰკავება, სამხრული დიალექტის სპირანტის შ<sup>2</sup>-ს შესატყვისად გვაქვს როგორც შ<sup>2</sup>, ისე შ<sup>2</sup>ჰ:

სამხ. დიალ.: მ<sup>2</sup>ი „ლაშე“, „ადგილი“

შდრ. ჩრდილ. დიალ.: მ<sup>2</sup>ი „ადგილი“, მ<sup>2</sup>იჰ „ლაშე“.

(<sup>3</sup> თვით დიუბეურ თქმაში ბიჭ<sup>3</sup>-ის („პატარა“) პარალელურად იხმარება აგრეთვე ბიწი (შდრ. ბიწი „პატარა“ ლეზგიურსა და აღლურ ენებში).



ამ შეესატყვისობებში ლეზგიურშიც, ტაბასარანულის მსგავსად, ამოსავლად შიშინას ვგარაუდობთ.

ლაკურის დიალექტებში შენიშნულია ანალოგიური პროცესი—შიშინა ლაბიალიზებული თანხმოვნების გადასვლა შესაბამის სისინებში, ამ ნიადაგზე ლუზუხური დიალექტის შიშინა ლაბიალიზებულ თანხმოვნებს შეესატყვისება შესაბამისი სისინები ვიზილიურ დიალექტში [4]:

ლემ. დიალ.	ჩოქ—ვიზლ. დიალ.	ცხტ.	მაგ.	ჩოქაქუ	: ცხტაბუ	„სიყვარული“
„	ჩტ	„	„	ჩტარსა	: ცტარსა	„ყვლსაბამი“
„	ჭტ	„	„	ურჭტახსა	: ურჭტახსა	„მარჯვენა“
„	შოქ	„	„	შოქატი	: სოქატი	„ტალა“
„	შტ	„	„	შტუშტა	: სტუშტა	„ბოთლი“

შდრ. აგრეთვე ქართველურ ენებში, სადაც, როგორც ცნობილია, ქართ. შიშინა შ-ს შეესატყვისება ზანურში შქ, სვანურში შგ, ე. ი. შიშინა სპირანტის შესატყვისად გვაქვს შიშინა კომპლექსი.

მაგრამ, მეორე მხრივ, ქართ. შ-ს, თუ მას ლაბიალური თანხმოვანი ვ || ტ მისდევს, ზანურსა და სვანურში შეესატყვისება ს ი ს ი ნ ა კომპლექსი. ასეთ შემთხვევაში კი ამოსავალი შიშინა ვარიანტი:

ქართ. შგ || შტ : ზან. შქგ → სქგ : სვან. შგგ → სგგ.

ქართ. ჯგ || ჯტ : ზან. ჯგგ → ძგგ (სვან. სგგ.) [5].

\* \* \*

დენტოლაბიალიზებული თანხმოვანთა წარმოთქმის მხრივ თვით ტაბასარანულის კილო-თქმებში ვითარება ყველგან ერთნაირი არ არის.

ზოგ თქმაში დენტოლაბიალიზებული შიშინა აფრიკატები (ჯ<sup>0</sup>, ჩ<sup>0</sup>, ჩ<sup>0</sup>ა, კ<sup>0</sup>) წარმოითქმიან, როგორც ნახევრად შიშინები (სისინა-შიშინები), რაც უნდა წარმოადგენდეს სისინათა და შიშინათა შორის გარდამავალ საფეხურს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 29.3.1962)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

А. А. МАГОМЕТОВ

## ДЕНТОЛАБИАЛИЗОВАННЫЕ СОГЛАСНЫЕ В ТАБАСАРАНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В табасаранском языке наряду с билабиализованными согласными имеются также дентолабиализованные согласные. Билабиализованные ныне представлены не во всех говорах табасаранского языка, дентолабиализованные же являются достоянием табасаранского языка в целом.

Дентолабиализованные согласные в табасаранском языке могут быть только шипящие, билабиализованными же шипящие не встречаются.

В табасаранском языке представлены следующие дентолабиализованные согласные:

ა) აფრიკატი:  $\text{t}^{\text{h}}$   $\text{t}^{\text{h}}$   $\text{t}^{\text{h}}$   $\text{t}^{\text{h}}$ .

ბ) სპირანტი:  $\text{t}^{\text{h}}$   $\text{t}^{\text{h}}$   $\text{t}^{\text{h}}$ .

При учете данных близкородственных языков, а также диалектов самого табасаранского языка в качестве соответствий шипящих дентолабиализованных согласных могут быть представлены свистящие звуки. Исходными предполагаются шипящие варианты (такое предположение не исключает возможности—хронологически на более древнем этапе—исходности свистящих вариантов).

В отношении произношения дентолабиализованных согласных в говорах табасаранского языка наблюдается некоторое различие. В некоторых говорах дентолабиализованные шипящие аффрикаты ( $\text{t}^{\text{h}}$   $\text{t}^{\text{h}}$   $\text{t}^{\text{h}}$   $\text{t}^{\text{h}}$ ) произносятся как полушипящие (свистяще-шипящие). В этом случае, по-видимому, представлена промежуточная ступень перехода одних в другие.

Из лезгинских языков дентолабиализованные шипящие представлены также в агульском языке, однако не во всех говорах, а лишь в речи аулов Бурцаг и Арсуг, относящейся к кошанскому говору.

#### დამონუმბული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. П. К. Услар. Табасаранский язык. ხელნაწერი, 1875.
2. N. Trubetzkoy. Nordkaukasische Wortgleichungen. Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes. XXXVII. Wien, 1930.
3. Р. Гайдаров. Ахтынский диалект лезгинского языка. Махачкала, 1961.
4. Г. Муркелинский. Краткие сведения о вихлинском диалекте лакского языка. Языки Дагестана. I, Махачкала, 1948.
5. თ. გამყრელიძე. სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართულურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი. თბილისი, 1959.

0. ნანობაშვილი

### საამქრო ნაბეზობანი თელავში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაიამ 22.1.1962)

1951—1954 წლების განმავლობაში, როცა მუშაობა გვიხდებოდა თელავის შინამრეწველობისა და ხელოსნობის ეთნოგრაფიულ შესწავლაზე, მივაკვლიეთ სალხინო ბაღებს, რომლებიც იქაურ სხვადასხვა სახის ხელოსნებს ეკუთვნოდნენ.

ასეთი ბაღები ჩვენ აღმოვაჩინეთ სიღნაღშიც, ხოლო საქართველოს სხვა ქალაქებში ასეთი რამ ჯერჯერობით არაა გამოვლენილი. აღსანიშნავია, რომ ლ. რჩეულიშვილს ერთგან (ყვარელში) სალხინო ციხე აქვს დამოწმებული (1), გვ. 115—122).

ცნობილია, რომ საქართველოს ძველ ქალაქებში ხელოსნობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა (2), გვ. 12). ხელოსნები ამქრულ ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებულნი. ასე იყო თელავშიც. თელავში რამდენიმე ამქრული ორგანიზაცია არსებობდა და ზოგიერთ მათგანს იქვე სალხინო ბაღი ჰქონდა მოწყობილი. ბაღს შემოვლებული ჰქონდა ქვითკირის ზღუდე. შიგ აგებული იყო ქვითკირისავე შენობა, ხოლო ეზოში დეკორატიული მცენარეები იყო დარგული. ბაღს სამეთვალყურეოდ მიჩენილი ჰყავდა საგანგებო პირი.

შენობის კედლებზე იყო ცალკე ამქრებისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნების აღბეჭდვა, რომლებიც მათ საქმიანობას უკავშირდებოდა. მაგალითად, მეფართლეების ამქრის ბაღში მოთავსებული შენობის ერთ-ერთ კედელში დატანებულ ქვაზე ამოკვეთილი იყო მაკრატელი და ნახევარადლი, ხოლო მეწვრილმანეებისაზე—სასწორი, შაქრის თავი და ა. შ.

ამგვარი შენობის კედელში დატანებულ ქვაზე ამოკვეთილია ხელოსნების გვარი, სახელი და მამის სახელი. ეს წარწერები ზოგი დროთა ვითარების გამო გადაშლილია და ძნელად ამოიკითხება.

ამეამად თელავში ოთხი სალხინო ბაღია აღმოჩენილი: სირაჯების, მეწვრილმანეების, დერციკებისა (თერძების, იგივე მეჩოხეების, მექუდეებისა და მეფართლეების ერთად) და დურგლების.

შეგროვილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დადგინდა, რომ ბაღი ჯერ მიკიტნებსა და სირაჯებს მოუწყვიათ, შემდეგ მეწვრილმანეებს და დერციკებს, ბოლოს კი — დურგლებს.

სირაჯების ბაღში მოთავსებული შენობა დღეისათვის ვადაკეთებულია (იხ. სურ. 1) საცხოვრებელ ბინად. ბაღს შემოვლებული აქვს ქვითკირის ზღუდე, რომლის სიმაღლეა  $1\frac{1}{2}$  მეტრი, სიგანე —  $\frac{1}{2}$  მეტრი.


მეწვრილმანეების ბაღი (სურ. 2) მდებარეობს სირაჯების სალხინო ბაღის დასავლეთით. ბაღის თავში არსებული შენობის მხოლოდ კედლების ნაშთია დარჩენილი. ყურადღებას იქცევს, როგორც აღინიშნა, კედელში დატანებული ქვაზე ამოკვეთილი სასწორი და შაქრის თავი. იმავე ქვაზე არის წარწერა: „თელავის მეწვრილმანეების ამქრის სალხინო ბაღი. ნასყიდი არის 1905 წ. მაისის



სურ. 1

3-ს“ (სურ. 3). გასაგებია, რომ თარიღი ზუსტად მიგვითითებს ბალის ბისა და მის მოქმედებაში შესვლის დროზე.

დერციკების ბაღი იმყოფებოდა მაისურაძეების უბნის დასავლეთით ორაგუბის ქუჩაზე. ბალის ზემოთ დაახლოებით 500 მეტრის დაშორებით ორაგუბის ტყეა. ბალის ეზოში მოთავსებულია კრამიტით დახურული ქვითიკირის შენობა. შენობის წინ ერთ მხარეს კედელი გრძელდება. კედლის მოპირდაპირე მხარეს აგურით ნაშენი ოთხკუთხი ორი ბოძი დგას. ეტყობა კედელსა და ბოძებზე აღრე გადახურვა იყო, რაც ფარდულს ჰქმნიდა, სადაც ამქრის წვერების ნაღი-მი ტარდებოდა. შენობის წინ გაგრძელებულ ქვითიკირის კედელში დატანებულა სამი ბრტყელი ქვა.



სურ. 2

პირველ ქვაზე ხელოსანთა სახელისა და მამის სახელის ინიციალები და გვარებია ამოკვეთილი (სულ 43 ხელოსანი).

მეორე ქვის თავში ფერებით დახატულია ვაზის მცენარე მცირე ზომის ფოთლებითა და ყურძნის მოზრდილი მტევნებით. იქვე ამოკვეთილია: მაკრატელი, ნახევარადლი, ყვავილები და წარწერა: „ეს ქვა შევწირე გ. ქოვლიევი“ და შემდეგ ამოკვეთილია 13 ხელოსნის ინიციალები.

მესამე ქვაც ფრიად საინტერესოა. ორ პატარა ზომის ხის ქვეშ დახატულია მუხარადი, აქეთ-იქით ორი მტრედი და ქვემოთ დაწერილია 26 კაცის გვარი და ინიციალები. სამივე ქვაზე 82 ხელოსნის გვარი და სახელია აღბეჭდილი. უნდა ვიფიქროთ, რომ დერციკების ამქარში სულ მცირე 82 ხელოსანი იყო გაერთიანებული.

მესამე ქვაზე აღნიშნული „დ. მ. მოსიევი“ (დომიტრი მოსეს ძე მოსიაშვილია). მეორე სახელად მას „მალა-მალას“ უწოდებენ. 1955 წელს მან გვითხრა: „ჩვენი ბაღი ახლანდელი სამხედრო კომისარიატის შენობის ეზოში იყო მოთავსებული. ქვაზე წარწერის გასაკეთებლად ხუთ-ხუთი მანეთი გადაგვახდევინეს. ვიგოლა მენავეთე იყო მისი დამწერი“. დურგლების ბაღი რიყეს მარჯვნივ, „ტრახყანთ“ ბალის ზემოთ ცოტა მოშორებით ყოფილა მოწყობილი. დურ-

გლების ბალის ტერიტორიაზე, უკანასკნელ წლებში წყალთა მეურნეობის შენობაა აგებული. ძველი ბალიდან მცირედენი ქვეთყირის ღობელაა შემორჩენილი.

მეჩეჟეებსა და მეზღვეებსაც სდომიათ ცალკე სალხინო ბაღების მოწყობა. მაგრამ 1905 წლის რევოლუციას შეუშლია მათთვის ხელი და გ-ნზრახვა ვერ განუხორციელებიათ.



სურ. 3

დღემდე შემორჩენილ ამქართა ბაღებში არსებულ შენობათა ნაშთები; შემოვლებული ზღუდეები, ეზოებში მოთავსებული ნარგავები და ეთნოგრაფიული ცნობები ადასტურებენ, რომ ბაღები იმ დროს კარგად ყოფილა მოწყობილი. ამქრის წიგრების გარდა სხვა მოსახლეობაც იყო ამ ბაღებით დაინტერესებული. ხშირად მოსახლეობა ფსონს აგროვებდა და ლხინს ამქრის ბაღებში იხდიდა. ზოგი ქორწილს იქვე ატარებდა. ადგილობრივი ღრმად მოხუცებულების თქმით, ეკონომიურად ყველაზე ძლიერი სირაჯების ამქარი ყოფილა.

სხვადასხვა მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ამქარში გაერთიანებულ ხელოსნობა წლის გარკვეულ დროს ნადიმებს სალხინო ბაღებში ატარებდა. ნადიმი ორ-სამ დღეს გრძელდებოდა. ნადიმს სხვა მოწვეული პირებიც ესწრებოდნენ, და იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ მონადიმენი სუფრაზე 4-5 თამადას ირჩევდნენ ზოლზე.

ძირითადად აქ, მართალია, ხელოსნები ლხინობდნენ. მაგრამ ამავე დროს ისინი ქვრივ-ობლებს, პოლიტიკურ პატიმრებსა და ეკონომიურად გაჭირვებულ პირებსაც არ ივიწყებდნენ, მათ საჭმელ-სასმელს უგზავნიდნენ. ნადიმი იმიტომ იმართებოდა, რომ შეგირდი დაელოცათ და ხელოსნად გაეხადათ. ეს იყო ამქრის დღე. უნდა ითქვას, რომ ამქრის დღე კარგად აქვს აღწერილი განსვენებულ ეთნოგრაფ ლუბა ბოკორიშვილს. ის წერს: „ჩვენ მთზრობელებს კარგად აღარ ახსოვთ, თუ როდის მოდიოდა ამქრის დღე; ზოგი პირველ მაისს ასახელებს, ზოგი ელიობას და ზოგი კი ზაფხულს რომელიმე თვის ორშაბათ დღეს. ამქრის დღესასწაული, ე. წ. ამქრობა სამ-ოთხ დღეს გრძელდებოდა. ამქრის სუფრა წინასწარ შერჩეულ ბაღნარში უნდა გაეშალათ. ამქრობის დღეებში ის ამ-

ქრის ბაღს წარმოადგენდა. საკრავებთან შეხმატებილებული სადღესასწაულო ამქრის ბაიარღს უსტაბაშის მიერ დანიშნული ბაიარატარი ხელში აიღებდა და შესაკრებელი ბაღისაკენ მიმავალ ამქარს წინ გაუძღვებოდა, უკან გამობრუნების დროსაც პროცესიას ბაიარატარი უნდა გამოსძლოლოდა... დასალოცად გამზადებულ პირს... ამქრის სასარგებლოდ .. გარკვეული რაოდენობის თანხა უნდა გადაეხადნა. დალოცვის ცერემონიას შესრულების დროს უსტაბაშის მახლობლად ისტატები შეგროვდებოდნენ, ხელდასხმაშიც მონაწილეობდნენ. მომავალ ოსტატს გაშლილ ხალიჩაზე უნდა დაეჩოქნა. დაჩოქილ პირს უსტაბაში წამოაყენებდა, წელზე სარტყელს შემოაკრავდა... ამის შემდეგ დასალოცის ორივე ხელის ცერს მარცხენა ხელში დაიჭერდა, მარჯვენა ხელით ყურს აუწვევდა და დაახლოებით შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: რატომ აქამდის ხელობა არ გისწავლიათ, სად იყავ აქამდისო? ამ სიტყვების წარმოთქმის უმაღლე ლოყაზე სამ სილას შემოაკრავდა, მესამედ შემოკრულ მაგარ სილას კვლავ ზემოხსენებულ კითხვას მიაყოლებდა... ამ მომენტიდან დალოცვილი პირი ნამდვილი ოსტატის სახელს ატარებდა და ოსტატის გვერდით ჯდებოდა“ (13, გვ. 158, 159).

პროფ. გ. ჩიტაიას აზრით, საერთოდ „უსტაბაშის მიერ შეგირდის დალოცვაში სილის გარტყმაც იგულისხმებოდა. ეს სილა უსტაბაშსა და ხელოსანს შორის უმცროს-უფროსობის უკანასკნელ მიჯნას აღნიშნავდა“. ამ წესჩვეულებას ხელდასხმა ეწოდებოდა და ამ ხელდასხმის მიზანი იყო ახალი წევრის ინკორპორაცია, სამქროს გაერთიანებაში მიღება. ეს წესჩვეულება ითვალისწინებდა ორ მომენტს: „ხელის დარტყმა ხელდასხმულის მომწიფების სიმბოლიური ნიშანი უნდა ყოფილიყო, ხოლო ცერების შეკვრა—ამქრის წესების შესრულების სიმტკიცესა და დაცვას ნიშნავდა“ (14, გვ. 13).

მას შემდეგ, რაც ყველა ზემოთდასახელებული წესი შესრულდებოდა, ამქრის წევრები და მოწვეული პირები, სუფრას შემოუსხდებოდნენ და 2—3 დღეს ლხინობდნენ.

ასეთი იყო ხელოსანთა ამქრის სალხინო ბაღების დანიშნულება თელავში, რომელიც გარკვეულ ეტაპზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხელოსნებისათვის. დროთა ვითარებაში ხელოსნობამ თავისი დრო მოქაპა და ის შრომის ორგანიზაციის უფრო მაღალმა ფორმამ შეცვალა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

(რედაქციას მოუვიდა 21.1.1962)

## ЭТНОГРАФИЯ

И. Д. НАНОБАШВИЛИ

### ЦЕХОВЫЕ СТРОЕНИЯ В ТЕЛАВИ

#### Резюме

В 1951—1954 гг. во время этнографического изучения кустарничества и ремесленничества в городе Телави нами были исследованы увеселительные сады, принадлежавшие местным ремесленникам. Было подтверждено существование таких садов и в городе Сигнахи. В других же городах Грузии они пока еще не обнаружены.

Ремесленничество играло значительную роль в жизни древних городов Грузии. Ремесленники объединялись в цеховые организации. При некоторых из них имелись сады увеселительного назначения.



В настоящее время в Телави обнаружено четыре увеселительных сада, принадлежавших торговцам вином, кустарям, «дерщикам» (в которые входили шапочники, закройщики и торговцы тканями) и столбам.

Остатки домов, построенных в садах, ограждения, насаждения и этнографические материалы доказывают, что в то время сады были очень хорошо устроены.

В определенное время года ремесленники собирались в садах и пировали. В частности, в садах они праздновали «День цеха». Нередко в садах проводили время и другие жители города.

#### დავითიშვილი ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ლ. დ. რჩეულიშვილი. Башня, возведенная для увеселений. Сообщения АН ГССР, т. XXI, № 1, 1958.
2. შ. მესხია. ხელოსნობა ძველ საქართველოში (V—XII სს) თბილისი, 1945.
3. ლ. ბოჭორიშვილი. მასალები კახეთის ქალაქების ოქრომკედლობის შესახებ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, თბილისი, 1956.
4. გ. ჩიბაია. ოქრომკედლობა საქართველოში. თბილისი, 1930.

მთ. რედაქტორი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი რ. დვალი

Гл. редактор — академик Академии Наук Грузинской ССР

Р. Р. Двали

ხელნაწერილია დახაზულად 30.8.1963; შეკვ. № 1030; ანაწეობის ზომა 7×11;  
ქალაქის ზომა 70×108; სააღრიცხვო-საგამომც. ფურცლების რაოდენობა 20;  
ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა 16; უფ 03748; ტირაჟი 1400.

Подписано к печати 30.8.1963; зак № 1030; размер набора 7×11; размер  
бумаги 70×108; количество уч.-изд. листов 20; количество печатных  
листов 16; УЭ 03748; тираж 1400

შიხასისი — СОДЕРЖАНИЕ — CONTENTS

მათემატიკა — МАТЕМАТИКА — MATHEMATICS

ვ. კოკილაშვილი. ფურიეს ლაკუნარული მწკრივების შესახებ . . . . .	257
*В. М. Кокшавили. Об обобщённых лакунарных рядах Фурье . . . . .	262
В. В. Бадагдзе. Об аппроксимации дифференциальных уравнений второго порядка эллиптического типа разностными уравнениями . . . . .	263
*ვ. ბადაგაძე. მეორე რიგის ელიფსური ტიპის დიფერენციალური განტოლების აპროქსიმაციის შესახებ სხვაობიანი განტოლებებით . . . . .	268
ჯ. ანთიძე. ლექსიკონის აგებულება ქართული ენიდან მანქანური თარგმანისათვის . . . . .	271
*Дж. Г. Антидзе. Строение словаря для машинного перевода с грузинского языка . . . . .	276

ფიზიკა — ФИЗИКА — PHYSICS

Т. В. Бурджанадзе, П. Л. Привалов, Н. Н. Тавхелидзе. Вакуумный адиабатный калориметр с автоматической регулировкой тепловых ширм для исследования тепловых свойств растворов макромолекул . . . . .	277
*თ. ბურჯანაძე, პ. პრივალოვი, ნ. თავხელიძე. ადიაბატური ვაკუუმური კალორიმეტრი მიკრომოლეკულური ხსნარების სითბური თვისებების შესასწავლად . . . . .	281

გეოფიზიკა — ГЕОФИЗИКА — GEOPHYSICS

Г. Е. Гугунава. Выбор частот электромагнитного поля, отражающих морфологию опорного горизонта на территории Восточной Грузии . . . . .	283
*გ. გუგუნავა. საყრდენი ჰორიზონტის ამსახველი ელექტრომაგნიტური ველის სისწორეთა აღმოსაფლეთ საჭარბელოს ტერიტორიაზე . . . . .	288

ქიმია — ХИМИЯ — CHEMISTRY

ბ. მხარეულიშვილი, მ. გოთგობანი, ე. დავითაშვილი. ლანთანის ჰიდროქსიდის წარმოქმნის რეაქციის შესახებ . . . . .	289
*Н. В. Мзарелишвили, М. Я. Гиоргобиани, Е. Г. Давиташвили. О реакции образования гидроксида лантана . . . . .	294

ბიოქიმია — БИОХИМИЯ — BIOCHEMISTRY

Г. В. Микадзе. Сократительные свойства пленочных нитей миозина В гладкой мускулатуры . . . . .	295
*გ. მიკაძე. გლუვი კუნთის მიოზინ В-ს შრიული ძაფების შეკუმშვადი თვისებები . . . . .	300
Т. Г. Саакашвили. К изучению состава некоторых микроэлементов в гипертрофированной предстательной железе . . . . .	303
*თ. სააკაშვილი. „ჰიპერტროფიულ“ წინამდებარე ჯირკვალში ზოგიერთი მიკროელემენტის შემცველობის საკითხისათვის . . . . .	307

\* ვარკვლავით აღნიშნული სათაური ეკუთვნის წინა წერილის რეზიუმეს ან თარგმანს

\* Заглавие, отмеченное звездочкой, относится к резюме или к переводу предшествующей статьи.

\* A title marked with an asterisk applies to a summary or translation of the preceding article.



ვ. კაკაბაძე, ზ. ნიკოლაიშვილი, ნ. მშვენიერაძე. მაგნიუმნიტრატის მიღება სერპენტინიტზე ნიტროზული აირების მოქმედებით . . . . .	309
V. M. Kakabadze, Z. G. Nikolaiashvili, N. G. Mshvenieradze. Получение нитрата магния путем обработки серпентинита нитрозными газами . . . . .	316

გეოგრაფია—ГЕОГРАФИЯ—GEOGRAPHY

გრ. დედუარიანი. მდინარე რიონის ტერასები ქუთაისის მიდამოებში . . . . .	317
*Г. С. Девдариани. Террасы р. Риони в окрестностях Кутаиси . . . . .	323

სპელეოლოგია—СПЕЛЕОЛОГИЯ—SPELEOLOGIA

T. Z. Kiknadze. Образования пещерного льда в карстовой пропасти Вахушти Багратиони . . . . .	325
*თ. კიკნაძე. მღვიმური ყინულის წარმოქმნები ვახუშტი ბაგრატიონის კარსტულ უფსკრულში (არაბიკას კირქვული მასივი) . . . . .	330

გეოლოგია—ГЕОЛОГИЯ—GEOLOGY

მ. უხნაძე. გოდერძის ფლორის ასაკის შესახებ . . . . .	333
*М. Д. Уznaдзе. О возрасте годердзской флоры . . . . .	336

პეტროგრაფია—ПЕТРОГРАФИЯ—PETROGRAPHY

Г. А. Микадзе. О палеогеновом вулканизме Тетрицкаройского района . . . . .	339
*გ. მიქაძე. თეთრი წყაროს რაიონის პალეოგენური ვულკანიზმის შესახებ . . . . .	345

სამშენებლო მექანიკა—СТРОИТЕЛЬНАЯ МЕХАНИКА—  
STRUCTURAL MECHANICS

Л. Г. Мухадзе. Расчет пологих оболочек с применением обобщенного метода Мориса Леви . . . . .	347
*ლ. მუხაძე. დამრეცი გარსების ანგარიში მორის ლევის განზოგადებული მეთოდის გამოყენებით . . . . .	354
К. З. Галустов. Расчет трещиностойкости предварительно напряженных железобетонных балок . . . . .	355
*კ. გალუსტოვი. წინასწარდაძაბული რკინაბეტონის კოჭების ანგარიში ბზარ მედეგობაზე . . . . .	359

ტელემექანიკა და ავტომატიკა—ТЕЛЕМЕХАНИКА И АВТОМАТИКА—  
TELEMECHANICS AND AUTOMATICS

М. В. Каджаров. Анализ работы преобразователей, работающих по методу пространственного кодирования без физического представления Кода . . . . .	361
*მ. კაჯაროვი. სივრცული კოდირების მეთოდით მომუშავე გარდამქმნელების ანალიზი კოდის ფიზიკური წარმოდგენის გარეშე . . . . .	367

ენერგეტიკა—ЭНЕРГЕТИКА—POWER ENGINEERING

Г. М. Сехниашвили, Л. И. Мгалоблишвили. Об основных факторах, влияющих на магнитные потери электрических машин постоянного тока . . . . .	369
*გ. სეხნიაშვილი, ლ. მგალობლიშვილი. მუდმივი დენის ელექტრული მანქანების მაგნიტურ კარგებზე მოქმედი ფაქტორების შესახებ . . . . .	374



გ. ივანოვი. ნატეხიანობა დაბზულობის პირობებში სხვადასხვა დამეტრიანი მუხტების აფეთქებისას. . . . . 377

\*В. С. Иванов. Кусковатость при взрывании зарядов различного диаметра в условиях зажима . . . . . 383

მეტალურგია—МЕТАЛЛУРГИЯ—METALLURGY

ა. ვაშაკიძე. სხულის დეფორმაციის გამოკვლევა ბლუნინგ 1000-ზე გლინვის დროს . . . . . 385

\*А. С. Вашакидзе. Исследование деформации слитка при прокате на блюминге 1000 . . . . . 391

ბოტანიკა—БОТАНИКА—BOTANY

გ. დვალაძე. გვარ *Allium L.*-ში პოლიემბრიონის შესწავლისათვის . . . . . 393

\*Г. Е. Гваладзе. К изучению полиэмбрионии в роде *Allium L.* . . . . . 397

К. Р. Кимеридзе. Материалы к изучению формации осоки вздутой в высокогорных районах Кавказа . . . . . 399

\*კ. კიმერიძე. მასალები *Cariceta inflatae* შესწავლისათვის კავკასიონის მაღალმთიანეთში . . . . . 406

მიკრობიოლოგია—МИКРОБИОЛОГИЯ—MICROBIOLOGY

ლ. ალექსი-მესხიშვილი. ობის სოკოების წინააღმდეგ ბრძოლის ელექტროფიზიკური მეთოდების შესახებ . . . . . 407

\*Л. Г. Алекси-Месхишвили. Материалы об электрофизических методах борьбы с плесневыми грибами. . . . . 411

ზოოლოგია—ЗООЛОГИЯ—ZOOLOGY

ბ. ჯაფარიძე. ჯავშნიანი ტკიპების (*Acari, Oribatei*) ფაუნისათვის საქართველოდან . . . . . 413

\*Н. И. Джапаридзе. К фауне панцирных клещей Грузии (*Acari, Oribatei*) . . . . . 419

თ. მუსხელიშვილი. ამიერკავკასიის ფერადი ფსევნის... საქართველოში არსებობის შესახებ . . . . . 421

\*Т. А. Мухелишвили. О наличии в Грузии закавказской разноцветной ящурки . . . . . 423

პარაზიტოლოგია—ПАЗАРИТОЛОГИЯ—PARASITOLOGY

გ. გოდერძიშვილი. სხვადასხვა ხანგრძლივობის მშიერი დიეტის გავლენა დარიშხანზე კალს ეფექტიანობაზე ცხვრის თიხანეზოზის დროს . . . . . 425

\*Г. И. Годердзишвили. Влияние голодной диеты разной продолжительности на эффективность мышьяковокислого олова при тизаниеозе овец . . . . . 430

Г. А. Какулия. Новый вид нематоды четырехзубого гравера... . . . . 433

\*გ. კაკულია. ოთხბილა ქერქეპიას ნემატოდის ახალი სახეობა... . . . . 436

მეცხარეობის მედიცინა—ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА—EXPERIMENTAL MEDICINE

ბ. კალანდაძე. ზოგიერთი ჰისტოქიმიური ცვლილება თირკმლებში ექსპერიმენტული მწვავე ნეფრიტის დროს . . . . . 439

\*Н. И. Каландадзе. О некоторых гистохимических изменениях в почках при экспериментальном остром нефрите . . . . . 443



თ. კობახიძე. ძოწი სათითურასა და ეანგოვანა სათითურას ფოთლების ბიოლოგიური აქტივობის შესახებ . . . . . 447

\*Т. Д. Кобахидзе. О биологической активности листьев красной (пурпуровой) и ржавой наперстянок . . . . . 454

ლ. ქელიძე. ბაჭყალის ტუჩებისა და პირის ღრუს სტრუქტურის მდგომარეობა სხივური ზემოქმედების პირობებში . . . . . 455

\*Л. Н. Челидзе. Состояние структуры губ и слизистой оболочки полости рта у крольчат в условиях лучевого воздействия . . . . . 462

კლინიკური მედიცინა—КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА—CLINICAL MEDICINE

В. Д. Махатадзе. Влияние некоторых пищевых продуктов на моторную функцию желчного пузыря . . . . . 463

\*გ. მახათაძე. ზოგიერთი საკვები პროდუქტის გავლენა ნაღვლის ბუშტის მორთულ ფუნქციაზე . . . . . 469

А. А. Квалишвили. К вопросу своевременного распознавания рака желудка . . . . . 471

\*ა. კვალიაშვილი. კუჭის კიბოს დროული ამოცნობის საკითხისათვის . . . . . 473

თ. სინარულიძე და თ. ლომიძე. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულთა მკურნალობის საკითხისათვის . . . . . 475

\*Т. С. Сихарулидзе и Т. Л. Ломидзе. К вопросу лечения множественных язв желудка и двенадцатиперстной кишки . . . . . 478

კ. ჩახავა, თ. ბუჯიაშვილი, პ. კონტრაია. ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფიის ციკლებები ორსულთა ნეფროპათიისა და ზოგიერთი სამეანო ოპერაციის დროს . . . . . 481

\*К. В. Чачава, О. Н. Буджиашвили, П. И. Кинтраиа. Электрокардиограмма плода в процессе родов в норме и патологии . . . . . 488

გ. ლორთქიფანიძე. მალთა რკალების ღიაობის ცისტური ფორმის მკურნალობის საკითხისათვის . . . . . 489

\*М. Г. Лордкипанидзе. К вопросу о лечении кистозных форм расщепления позвоночника . . . . . 493

თ. ბრეგაძე. ელექტროკარდიოგრაფიული და ელექტროენცეფალოგრაფიული მონაცემები კორონარულ უკმარისობის დროს . . . . . 495

\*О. М. Брегадзе. Электрокардиографические и электроэнцефалографические данные при коронарной недостаточности . . . . . 501

ენათმეცნიერება—ЯЗЫКОЗНАНИЕ—LINGUISTICS

ალ. მაჭომეტოვი. დენტოლბიალიზებული თანხმოვნები ტაბასარანულ ენაში . . . . . 503

\*А. А. Магомедов. Дентолабиализованные согласные в табасаранском языке . . . . . 508

ეთნოგრაფია—ЭТНОГРАФИЯ—ETHNOGRAPHY

ი. ნანობაშვილი. საანქრო ნაგებობანი თელავში . . . . . 511

\*И. Д. Нанобашвили. Цеховые строения в Телави . . . . . 515

## ПОЛОЖЕНИЕ О «СООБЩЕНИЯХ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР»

1. В «Сообщениях Академии Наук Грузинской ССР» публикуются статьи научных работников Академии Наук Грузинской ССР и других ученых, содержащие сжатое изложение основных результатов их исследований.

2. «Сообщениями» руководит редакционная коллегия, избираемая общим собранием Академии Наук Грузинской ССР.

3. «Сообщения» выходят ежемесячно отдельными выпусками приблизительно в объеме 16 печатных листов каждый. Выпуски каждого квартала (три выпуска) составляют один том.

4. Статьи должны быть представлены на двух языках: на грузинском и русском. На одном из них, по желанию автора,—полный текст, а на другом языке—краткое изложение основного текста.

5. Объем статьи, включая иллюстрации, не должен превышать 20.000 типографских знаков (8 страниц журнала). Разделение статьи на отдельные части для опубликования в разных выпусках «Сообщений» не допускается.

6. Статьи действительных членов и членов-корреспондентов Академии Наук Грузинской ССР сдаются непосредственно в редакцию «Сообщений» для опубликования, а статьи других авторов публикуются только по представлению действительных членов или членов-корреспондентов Академии. Статьи, поступившие без представления, направляются редакцией одному из действительных членов или членов-корреспондентов Академии на рассмотрение, с тем чтобы в случае положительной оценки статья была представлена для опубликования.

7. Статьи (а также соответствующие иллюстрации и чертежи) должны быть представлены автором в одном экземпляре, в совершенно готовом для печатания виде. Формулы должны быть четко вписаны в текст от руки. Текстовые части из иллюстрациях должны быть выполнены на обоих языках. Никакие исправления и дополнения после принятия к печати не допускаются.

8. Данные о цитированной литературе должны быть по возможности полными: необходимо указать полное заглавие статьи, название журнала, в котором опубликована статья, номер серии, тома, выпуска, год издания; если имеется ссылка на книгу, то необходимо указать полное наименование книги, место и год издания.

9. Цитируемая литература должна приводиться в конце статьи в виде списка. При ссылке на литературу в тексте статьи или в подстрочных примечаниях следует указывать номер по списку, заключая его в квадратные скобки.

10. В конце текста статьи автор на соответствующем языке должен указать название и местонахождение того научного учреждения, где выполнена работа.

Статья датируется днем поступления ее в редакцию.

11. Автору представляется одна корректура в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или напечатать ее без визы автора.

12. Автор получает бесплатно 25 оттисков своей статьи.

АДРЕС РЕДАКЦИИ: ТБИЛИСИ, УЛ. ДЗЕРЖИНСКОГО, 8.

Телефон 3-03-52



„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“

დ ბ ზ უ ლ ე ბ ა

1. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ იბეჭდება აკადემიის მეცნიერი მუშაკებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოკლედ გადმოცემულია მათი გამოკვლევების მთავარი შედეგები.

2. „მოამბეს“ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

3. „მოამბე“ გამოდის თვეში ერთხელ, ცალკე ნაკვეთებად, დაახლოებით 16 ბეჭდური თაბახი. ყოველი კვარტალის ნაკვეთები (სამი ნაკვეთი) შეადგენს ერთ ტომს.

4. „მოამბეში“ დასაბუქდად წერილები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ენაზე: ქართულად და რუსულად. ერთ-ერთ მათგანზე, ავტორის სურვილისამებრ, — სრული ძირითადი ტექსტი ხოლო მეორეზე — ძირითადი ტექსტის შემოკლებული გამოცემა.

5. წერილის მოცულობა (ორივე ტექსტისა), ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 20.000 სასტამბო ნიშანს (ცენტრალის 8 გვ.რდა); არ შეიძლება წერილის დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში განთავსებულად.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერილები უშუალოდ გადაეცემა დასაბუქდად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორების წერილები იბეჭდება აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონდენტის წარდგინებით. წარდგინების გარეშე შემოსულ წერილს „მოამბის“ რედაქცია გადასცემს აკადემიის რომელიმე ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს განსაზღვრულად, ოთა მან, დადებითად შეუახებინ შემთხვევაში, წარმოადგინოს იგი დასაბუქდად.

7. წერილები (აგრეთვე სათანადო ილუსტრაციები და ნახაზები) ავტორმა უნდა წარმოადგინოს თითო ცალად, დასაბუქდად საცხებით მოზადებული. ფორმულები ხელით უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტში მკაფიოდ. ილუსტრაციებზე ტექსტობრივი წარწერები ორივე ენაზე უნდა იყოს შესრულებული. წერილის დასაბუქდად მიღების შემდეგ ტექსტში შესწორებებისა და დამატებების შეტანა აღარ შეიძლება.

8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები შექლებისდა გვარად სრული უნდა იყოს: საჭიროა აღინიშნოს წერილის სრული სათაური, სახელწოდება ფრანგულსა, რომელშიც დაბეჭდილია წერილი, — ნომერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა, გამოცემის წელი; თუ დამოწმებულია წიგნი, საელაღბებულა წიგნის სრული სახელწოდების, გამოცემის ადგილისა და წელის მითითება.

9. დამოწმებული ლიტერატურის სია წერილს ერთვის ბოლოში. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტში თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იქნეს შესაბამისი ნომერი სიის მიხედვით.

10. წერილის ტექსტის ბოლოს ავტორმა შესაბამის ენაზე უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია ნაშრომი.

წერილი თარიღდება რედაქციაში შემოსვლის დღით.

11. ავტორს ეძლევა გვერდებზედ შეყრული ერთი კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (ჩვეულებრივად არა უმეტეს ორი დღისა). თუ კორექტურა დადგენილი ვადისათვის არ იქნა წარმოდგენილი, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიხის გარეშე.

12. ავტორს უფასოდ ეძლევა მისი წერილის 25 ამონაბეჭდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ძმარქონისკის ქ. 8

ტელეფონი 3-03-52